

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე

2013, №3

უკონიტი დაჯიბი

1.სამუშაოზე აღდგენა.

იძულებითი განაცდური

საძიებელი

1. სამუშაოზე აღდგენა. იძულებითი განაცდური

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პირობები
სამუშაოზე აღდგენა. განაცდურის ანაზღაურება
იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პირობები

2. სამივლინებო თანხების ანაზღაურება

სამივლინებო დავალიანების ხანდაზმულობის
ვადის შეწყვეტა ვადის აღიარების შემთხვევაში
სამივლინებო თანხების ანაზღაურების ხანდაზმულობა

3. თანამდებობაზე დანიშნა და გათავისუფლება

შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე
აქტის გასაჩივრების ხანდაზმულობა
სამსახურიდან გათავისუფლება არადამაკმაყოფილებელი
პროფესიული ჩვევების გამო
სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმება
თანამდებობაზე დანიშნა
შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის საფუძველი

4. სახელფასო და პრემიის თანხის დავალიანება

კრედიტორული დავალიანების ხანდაზმულობის
ვადის შეწყვეტა ვადის აღიარების გამო
პრემიის თანხის დავალიანების ანაზღაურება
პრემიის თანხის ანაზღაურება
სახელფასო დავალიანების ანაზღაურება
ლიკვიდაციის გამო გასასვლელი დახმარების
ანაზღაურების საფუძველი
სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

1. სამუშაო ალბანა. იძულებითი განაცდური

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პირობები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-498-493(3კ-11)

20 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ზ-მა 2009 წლის 23 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების – თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიისა და თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს მიმართ, რომლითაც თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერის 2009 წლის 6 აპრილის №328 „კ“ ბრძანებისა და თვითმმართველი ქ. ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 ივნისის №229 განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ს. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქ. ქუთაისის მერის 2009 წლის 6 აპრილის №328 „კ“ ბრძანება, ქ. ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 ივნისის №229 განკარგულება; ქ. ქუთაისის მერს დაევალა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. ზ-ის მერის ... საქალაქო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ქუთაისის მერიამ და ქ. ქუთაისის საკრებულომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს სააპელაციო საჩივრები, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება და ს. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. ზ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით ს. ზ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ს. ზ-ის სასარჩელო მოთხოვნა 2007 წლის 20 აპრილიდან 2009 წლის 6 აპრილამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების და შესაბამისად ქ. ქუთაისის მერის 2009 წლის 6 აპრილის №328 „კ“ ბრძანების და თვითმმართველი ქალაქის ქ. ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 ივნისის №229 განკარგულების იმ ნაწილში ბათილად ცნობაზე, რომლითაც ს. ზ-ი 2007 წლის 20 აპრილიდან გათავისუფლდა თანამდებობიდან. საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში, კერძოდ, სადავო აქტების – ქ. ქუთაისის მერის 2009 წლის 6 აპრილის №328 „კ“ ბრძანებისა და თვითმმართველი ქალაქის- ქ. ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 ივნისის №229 განკარგულების დანარჩენ ნაწილებში ბათილად ცნობაზე, ს. ზ-ის ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურში შესაბამის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე ქ. ქუთაისის მერისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებაზე უარის თქმის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერის 2009 წლის 6 აპრილის №328 „კ“ ბრძანება და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 იანვრის №229 განკარგულება ს. ზ-ის თანამდებობიდან 2007 წლის 20 აპრილიდან გათავისუფლების შესახებ და ქალაქ ქუთაისის მერიას დაეკისრა ს. ზ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2007 წლის 20 აპრილიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – ს. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ ქუთაისის მერის 2009 წლის 6 აპრილის №328 „კ“ ბრძანება და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 იანვრის №229

განკარგულება ს. ზ-ის თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... თანამდებობიდან 2007 წლის 20 აპრილიდან გათავისუფლების ნაწილში; ს. ზ-ი ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... თანამდებობიდან გათავისუფლებულად ჩაითვალა 2009 წლის 6 აპრილიდან; ს. ზ-ს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური, თვეში – 228,80 ლარის ოდენობით 2007 წლის 20 აპრილიდან – 2009 წლის 6 აპრილამდე პერიოდზე გაანგარიშებით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. ზ-ი, არის საშუალო სპეციალური განათლების მქონე, ... სპეციალობით, ს. ზ-ი 1978-2007 წლებში მუშაობდა ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურში. ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 26 იანვრის №30 ბრძანებით ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი „თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის სტრუქტურული ერთეულების (მერიის აპარატისა და საქალაქო სამსახურის) სამტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ ქ. ქუთაისის მერის 2006 წლის 29 დეკემბრის №623 ბრძანების №11 დანართში. ამასთანავე, ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 18 აპრილის №351 ბრძანებით დამტკიცდა თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერის, მერიის სტრუქტურული ერთეულების (მერიის აპარატისა და საქალაქო სამსახურის) სამტატო განრიგი და ქ. ქუთაისის მერის 2006 წლის 29 დეკემბრის №623 ბრძანება ძალდაკარგულად გამოცხადდა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... სამტატო ერთეულების რაოდენობა შემცირდა 6 ერთეულით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის №838 „კ“ ბრძანება, რომელიც გახდა ს. ზ-ისათვის სამსახურიდან გათავისუფლებისა და შესაბამისად, ხელფასის შეწყვეტის საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილდაა ცნობილი სადავო საკითხის გადაწყვეტლად და მერიას დაევალა არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა ს. ზ-ის სამსახურიდან გათავისუფლების, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის №838 „კ“ ბრძანება არ წარმოადგენს ს. ზ-ის სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივ საფუძველს და შესაბამისად, შრომითი გასამართლოს გაუცემლობის პირობას, ვინაიდან, ხელფასის გაცემის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლება და შესაბამისი ბრძანება, აღნიშნული კი სასამართლო გადაწყვეტილებით უკანონოდ (ბათილად) არის ცნობილი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტი წარმოშობს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ვალდებულებას, მიზნად ისახავს პირის უფლებებში აღდგენას, ამასთანავე, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისაკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე. კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით ს. ზ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. ს. ზ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის №838 „კ“ ბრძანების ბათილად ცნობა წარმოშობს ადმინისტრაციის ვალდებულებას, აღადგინოს ხსენებული ბრძანების გამოცემამდე არსებული მდგომარეობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე და 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, 2009 წლის 6 აპრილის №328 „კ“ ბრძანების გამოცემამდე პერიოდის, იძულებითი განაცდური ს. ზ-ს უნდა აუნაზღაურდეს.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის აღმჭურველი ნორმა არ განასხვავებს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას იმისდა მიხედვით, აღდგენილი იქნება თუ არა მოხელე წინანდელ სამსახურში და არსებით მნიშვნელობას ანიჭებს სამსახურიდან მოხელის უკანონოდ გათავისუფლებას, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურდა მოხელის გათავისუფლების უკანონობა და ბათილად იქნა ცნობილი ამის თაობაზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, განაცდურის ანაზღაურებისათვის აღარ აქვს მნიშვნელობა, აღდგენილი იქნება თუ არა მოხელე წინანდელ სამსახურში, რადგან მისი სამსახურში იძულებითი არყოფნა გამოწვეული იყო სწორედ დაწესებულების ადმინისტრაციის უკანონო მოქმედებით და შესაბამისად, ამ შემთხვევაში არ არსებობდა ხელფასის გაუცემლობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როცა დადგენილია, რომ ს. ზ-ის სამუშაოდან გათავისუფლება მოხდა კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი სამუშაოზე აღდგენის სამართლებრივი საფუძველი, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება ახალი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე (მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების თარიღის მითითების მიზნით) პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რამდენადაც მისი აზრით, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არ საჭიროებდა საქმის გარემოებების დამატებით გამოკვლევასა და საკითხი არ მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. ზ-ი თვითმმართველი ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... თანამდებობიდან გათავისუფლებულად უნდა ჩაითვალოს ქ. ქუთაისის მერის მიერ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე – 2009 წლის 6 აპრილიდან და მას უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური – ხელფასი (თანამდებობრივი სარგო), რაც შეადგენს ხელზე ასაღებ თანხას – 228, 80 ლარს. იძულებითი მოცდენის პერიოდი უნდა განისაზღვროს 2007 წლის 20 აპრილიდან – 2009 წლის 6 მაისამდე.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ქუთაისის საკრებულომ, ქ. ქუთაისის მერიამ და ს. ზ-მა.

ს. ზ-მა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ქუთაისის მერიისათვის ს. ზ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება 2007 წლის 20 აპრილიდან 6 აპრილამდე პერიოდზე გაანგარიშებით და იმ თანამდებობრივი სარგოების ჯამური ოდენობის გაანგარიშებით, რომელსაც შეადგენდა ქ. ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... ხელფასი მითითებულ პერიოდში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის განჩინებით ს. ზ-ის საკასაციო საჩივარს უარი ეთქვა განსახილველად დაშვებაზე; ქ. ქუთაისის მერიისა და ქ. ქუთაისის საკრებულოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

კასატორებმა – ქ. ქუთაისის საკრებულომ და ქ. ქუთაისის მერიამ საკასაციო საჩივარში აღნიშნეს, რომ ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის №338 „კ“ ბრძანება, რომელიც გახდა ს. ზ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, ბათილად იქნა ცნობილი, თუმცა ქუთაისის მერიას ცალსახად არ დავალებია ს. ზ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, მითითებული გადაწყვეტილებით მერია მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო ვალდებული აენაზღაურებინა მისთვის იძულებითი განაცდური, თუკი მოხდებოდა ამ უკანასკნელის სამსახურში აღდგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. ქუთაისის საკრებულომ და ქ. ქუთაისის მერიამ მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2009 წლის 24 ივნისის №229 განკარგულების ბათილად ცნობისა (2007 წლის 20 აპრილიდან გათავისუფლების ნაწილში) და იძულებითი განაცდურის (2007 წლის 20 აპრილიდან 2009 წლის 6 აპრილამდე) ანაზღაურების თაობაზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ქუთაისის მერიისა და ქ. ქუთაისის საკრებულოს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ზ-ის სარჩელი ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილადაა ცნობილი, რომ ქ. ქუთაისის მერის 2007 წლის 20 აპრილის №838 „კ“ ბრძანება, რომელიც გახდა ს. ზ-ის სამსახურიდან გათავისუფლებისა და შესაბამისად, ხელფასის შეწყვეტის საფუძველი, სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაწყვეტილად და მერიას დაევალა არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა ს. ზ-ის სამსახურიდან გათავისუფლების, სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ქალაქ ქუთაისის მერის მიერ 2009 წლის 6 აპრილს მიღებულ იქნა №328 „კ“ ბრძანება, რომლითაც თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის ... საქალაქო სამსახურის ... ს. ზ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის 20 აპრილიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოში ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოყენებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოპასუხეს დაეკისრა ს. ზ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. თუმცა, აქვე საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზე: სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისა და საკასაციო საჩივრის წარდგენის შემდგომ 5.05.11 წ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული კანონის 112-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ხოლო ამავე კანონის 127-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოცემა ს. ზ-ის სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება.

საგულისხმოა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე 5.05.11წ. №4650 კანონს, რომელმაც ახლებულად მოაწესრიგა იძულებითი განაცდური პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ სამსახურიდან განთა-

ვისუფლებაზე გაცემული ბრძანების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში აღდგენას, ამავე კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მიენიჭა უკუქცევითი ძალა და იგი გავრცელდა ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ყველა სამართალურთიერთობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხელე აღდგენილ იქნა სამსახურში და მას მიეცა განაცდური ხელფასი.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47.1 მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. საკაცო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სწორედ ასეთ შემთხვევას, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, კანონის მე-2 მუხლში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ეს კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა მანამდე წარმოშობილ ურთიერთობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა იმ შემთხვევაში, თუ აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება.

აღნიშნული მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს არსებულ ვითარებაში არ ავალებს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება არ ეწინააღმდეგება კანონს, რის გამოც სასამართლო მოკლებულია მატერიალურ და პროცესუალურ საფუძველს დააკმაყოფილოს მოთხოვნა იძულებითი ანაზღაურების გაცემის თაობაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკაცო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში გაუქმებისა და საქმეზე ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების კანონისმიერი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკაცო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. ქუთაისის მერიისა და ქ. ქუთაისის საკრებულოს საკაცო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება ს. ზ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. ზ-ის სარჩელს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე ეთქვას უარი;
4. საკაცო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა. განაცდურის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-640-635(2კ-11)

8 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 30 ივლისს კ. მ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ და ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოთხოვნა.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2003-2005 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის ... განყოფილებაში ..., განყოფილების ..., გამგეობის ... მოადგილედ, ... განყოფილების ... თავმჯდომარედ და ა.შ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი 2005 წლის 13 აპრილს ქ. თბილისის მერიაში ჩატარებული რეორგანიზაციის საფუძველზე გაანთავისუფლეს სამსახურიდან. მოსარჩელის განმარტებით, მისი სამსახურიდან გაანთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 აპრილის

№№240/1-03 და 2006 წლის 21 დეკემბრის №614/1-03 განკარგულებები სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

მოსარჩელის განმარტებით, გასაჩივრებული ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულების თანახმად, იგი სამსახურიდან განთავისუფლებულად 2005 წლის 13 აპრილიდან ჩაითვალა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას, მოპასუხემ დაარღვია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, აგრეთვე ამავე კოდექსის 206-ე და 207-ე მუხლები და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე, 97-ე მუხლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით კ. მ-ას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულების მე-4 პუნქტი განთავისუფლების ვადის მითითების ნაწილში (2005 წლის 13 აპრილიდან); კ. მ-ას სარჩელი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას მოსარჩელისათვის 2005 წლის 13 აპრილიდან 2008 წლის 9 ივლისამდე პერიოდის განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაეკისრა; კ. მ-ას სარჩელი ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულების სამსახურიდან დათხოვნის ნაწილში ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და 2008 წლის 9 ივლისის შემდგომი პერიოდის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-ამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამაც. აპელანტმა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. მ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; კ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი კ. მ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით კ. მ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. მ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; კ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელე კ. მ-ას აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი, სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან 2005 წლის 13 აპრილიდან სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულების გამოცემამდე პერიოდის განმავლობაში, გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კ. მ-ას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 აპრილის №240/1-03 და 2006 წლის 21 დეკემბრის №614/1-03 განკარგულებები სასამართლოს მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას საქმისათვის არ-

სებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინა მნიშვნელოვანი ფაქტები, რომ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოიცა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 2005 წლის 13 აპრილისათვის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა, მოხელის სამსახურიდან განთავისუფლებას შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების გამო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხელეს შესთავაზებდნენ სხვა თანამდებობას და იგი უარს განაცხადებდა ამ თანამდებობაზე და ნიშნავდა. ამავ კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარებოდა დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობდა აღდგენაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 იანვრის და 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებებით დასტურდებოდა, რომ კ. მ-ას დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებისას არ იყო დაცული, მისი განთავისუფლების პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ამოღებულია 23.12.2005წ. №2470 კანონით) იმპერატიული დანაწესი, კერძოდ, მოსარჩელეს არ შეეთავაზა სხვა თანამდებობა და ამდენად, არ იყო ცნობილი იყო თუ არა იგი თანახმა და ნიშნულიყო სხვა თანამდებობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე აღდგენილი უნდა ყოფილიყო იმავე თანამდებობაზე, რომელიც მას ეკავა განთავისუფლებამდე, ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა უკანონოდ განთავისუფლებული მოხელის სხვა თანამდებობაზე აღდგენას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულებით დასტურდებოდა, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით კ. მ-ას შესთავაზეს თბილისის ვაკე-საბურთალოს გამგეობის ... განყოფილებაში ... თანამდებობაზე დანიშნა, რაზედაც მან უარი განაცხადა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 12 აპრილის №10 ბრძანების (რომლითაც დამტკიცდა ქ. თბილისის ვაკე საბურთალოს რაიონის გამგეობის სტრუქტურისა და სამტატო ნუსხა) საფუძველზე, 2005 წლის 13 აპრილიდან ... განყოფილებაში აღარ არსებობდა და შემცირებული იქნა ... 3 სამტატო ერთეული (რომელთაგან ერთი განთავისუფლებამდე ეკავა კ. მ-ას). ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის მე-2 (ამოღებულია 23.12.2005წ. №2470 კანონით) და მე-3 ნაწილის თანახმად, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულებით კ. მ-ას განთავისუფლება 2005 წლის 13 აპრილიდან იყო კანონშესაბამისი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 დეკემბრის №ბს-1230-805(კ-05) და 2005 წლის 28 ნოემბრის №ბს-1043-625(კ-05) განჩინებებზე და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შემადგენელი ნაწილი, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო, პირის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემიდან ახალ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ამასთან, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ითვლებოდა, რომ მოხელე, კანონით დადგენილი წესით, სამსახურიდან განთავისუფლებული არ იყო, რის გამოც მას მიეცემოდა იძულებითი განაცდური ხელფასი, იმ ხელფასის შესაბამისად, რომელსაც იგი იღებდა სადავო ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემამდე. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კ. მ-ას უნდა ანაზღაურებოდა იძულებითი განაცდური ხელფასი განთავისუფლების დღიდან სადავო აქტის გამოცემის დღემდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. მ-ამ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის განმარტებით, თუ სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო კანონიერი, მაშინ გაურკვეველი იყო თუ რატომ დაეკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 8 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. მ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დასაშვებად იქნა ცნობილი კ. მ-ას და ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ კ. მ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 აპრილის №240/1-03 განკარგულების თანახმად, „ქ. თბილისის მერიის მმართველობის სისტემის რეორგანიზაციისა და ცალკეული სამსახურების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2005 წლის 4 მარტის №21 განკარგულების მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 12 აპრილის №10 ბრძანებით დამტკიცებული ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის სტრუქტურისა და სამტაგო ერთეულების ნუსხის შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის თანახმად, კ. მ-ა განთავისუფლდა სამსახურიდან. 2005 წლის 13 მაისს კ. მ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ გამგეობის მიმართ და თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2005 წლის 13 აპრილის №240/1-03 განკარგულების მისი განთავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასის და მისი კუთვნილი მანქანის ამორტიზაციისა და რემონტის ხარჯების ანაზღაურება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით კ. მ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოსარჩელის განთავისუფლების ნაწილში სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 13 აპრილის თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის №240/1-03 განკარგულება და მოპასუხეს – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევა; მოსარჩელეს უარი ეთქვა ავტომანქანის ამორტიზაციისა და რემონტის ხარჯის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 23 მაისის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 ოქტომბრის განჩინებებით.

საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2006 წლის 21 დეკემბრის №614/1-03 განკარგულება და მოპასუხეს – ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ნოემბრის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინებებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოიცა გასაჩივრებული ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულებით ცნობად იქნა მიღებული, რომ სასამართლო გადაწყვეტილებით გამგეობას კ. მ-ასათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება არ დაკისრებია, რის გამოც, იგი სამსახურიდან განთავისუფლებულად 2005 წლის 13 აპრილიდან ჩაითვა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულების კანონიერად ცნობის ნაწილში და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის ურთიერთსაწინააღმდეგო, ვინაიდან, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერად ცნობის პირობებში, მოხელისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება საფუძველს მოკლებულია. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის (05.05.2011 №4650 ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია), ისე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 დეკემბრის №ბს-1230-805(კ-05) და 2005 წლის 28 ნოემბრის №ბს-1043-625(კ-05) განჩინებების საფუძველზე, იძულებითი განაცდური ხელფასი ანაზღაურდებოდა, მხოლოდ მოხელის თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლის 2008 წლის 9 ივლისის №67/1-03 განკარგულება კ. მ-ას 2005 წლის 13 აპრილიდან (წინა რიცხვიდან) განთავისუფლების ნაწილში, მაშინ როდესაც განთავისუფლების შესახებ აქტი 2008 წლის 9 ივლისს გამოიცა არის უკანონო და შესაბამისად, არსებობდა მოსარჩელისათვის 2005 წლის 13 აპრილიდან 2008 წლის 9 ივლისამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საფუძველი. თუმცა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ 2011 წლის 5 მაისს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული კანონის 112-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით“. ამავ კანონის 127-ე მუხლს კი დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე 2011 წლის 5 მაისის №4650 კანონს, რომელმაც განსხვავებულად მოაწესრიგა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საკითხი, ამავ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მიენიჭა უკუქცევითი ძალა და იგი გავრცელდა ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ყველა სამართალური თიერთობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხელე აღდგენილ იქნა სამსახურში და მას მიეცა განაცდური ხელფასი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახზე გვაქვს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე 2011 წლის 5 მაისის №4650 კანონის მე-2 მუხლში პირდაპირ მიეთითა, რომ აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე და მას მიენიჭა უკუქცევითი ძალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. მ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. კ. მ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. კ. მ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებითი განაცდურის ანაზღაურების პირობები

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო

№ბს-937-930(კ-11)

29 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 26 თებერვალს გ. ტ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 25 სექტემბრის №887/კ ბრძანების საფუძველზე, იგი განთავისუფლდა ამავე სამინისტროს ... თანამდებობიდან.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 25 სექტემბრის №887/კ ბრძანება მის მიერ გასაჩივრდა სასამართლო წესით. კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი „გ. ტ-ის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 25 სექტემბრის №887/კ ბრძანება; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევა. ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე დაკმაყოფილდა გ. ტ-ის მოთხოვნა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილი და მოპასუხეს გ. ტ-ისათვის მისი თანამდებობიდან განთავისუფლებიდან ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცეამდე პერიოდის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაეკისრა.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2010 წლის 26 იანვარს გამოსცა №57 ბრძანება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელე 2008 წლის 25 სექტემბრიდან განთავისუფლდა ... მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი თანამდებობიდან განთავისუფლებულად ჩაითვა 2008 წლის 25 სექტემბრიდან, მაშინ როდესაც მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანება 2010 წლის 26 იანვარს გამოიცა. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ უმსჯელია მისთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საკითხზე, რითაც დაირღვა მისი უფლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 26 იანვრის №57 ბრძანების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით გ. ტ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინებით გ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ტ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი გ. ტ-ის საკასაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორმა – გ. ტ-ემ დააზუსტა საკასაციო საჩივარი და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 11 იანვრის განჩინებით გ. ტ-ის დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით გ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ტ-ის სარჩელი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა; მოსარჩელე გ. ტ-ეს აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი, სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან 2008 წლის 25 სექტემბრიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 26 იანვრის ბრძანების გამოცემამდე პერიოდის განმავლობაში, განთავისუფლებამდე არსებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტით, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ 23-ე მუხლით უზრუნველყოფილი და აღიარებულია შრომის სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე და განმარტა, რომ ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება ჰქონდა სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიეღო შრომითი გასამრჯელო (ხელფასი).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილი იყო მოეთხოვა განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და ხელფასის ანაზღაურება სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგინებულად მიიჩნია, რომ გ. ტ-ეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 25 სექტემბერს №887/კ ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გ. ტ-ისათვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაეკავალა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 დეკემბრის №ბს-1230-805(კ-05) და 2005 წლის №ბს-1043-625(კ-05) განჩინებებზე და განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება უნდა მომხდარიყო, პირის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემიდან ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე. ამასთან, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ითვლებოდა, რომ მოხელე, კანონით დადგენილი წესით, სამსახურიდან განთავისუფლებული არ იყო, რის გამოც მას მიეცემოდა იძულებითი განაცდური ხელფასი იმ ხელფასის შესაბამისად, რომელსაც იგი იღებდა სადავო ბრძანების (განკარგულების, დადგენილების) გამოცემამდე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ტ-ე არ იყო კანონით დადგენილი წესით სამსახურიდან განთავისუფლებული, ვინაიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 25 სექტემბრის ბრძანება, როგორც ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელი, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპასუხეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაეკისრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ივნისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებში იქნა მიღებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 21 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ სა-

ქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის №887/კ ბრძანებით, ... მოვალეობის შემსრულებელი გ. ტ-ე 2008 წლის 25 სექტემბრიდან განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 2008 წლის 19 დეკემბერს გ. ტ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის №887/კ ბრძანების, 2008 წლის 25 სექტემბრის №810 ბრძანების (... რეორგანიზაციის ნაწილში) და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2008 წლის 19 ნოემბრის №386 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 სექტემბრის №887/კ ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გ. ტ-ის სასარგებლოდ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის გამოცემამდე იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაეკისრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, განიხილა გ. ტ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სასამართლებრივი აქტის გამოცემის საკითხი და ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, 2010 წლის 26 იანვარს გამოსცა №57 ბრძანება, რომლის თანახმად, გ. ტ-ე 2008 წლის 25 სექტემბრიდან განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიიჩნია, რომ იგი არ იყო უფლებამოსილი გადაეწყვიტა გ. ტ-ისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საკითხი, რადგან იძულებითი გაცდენილი დროის ხელფასი სამუშაოდან უკანონო განთავისუფლებისა და წინანდელ სამუშაოზე აღდგენის დროს ანაზღაურდებოდა, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ არ იყო გადაწყვეტილი გ. ტ-ის სამუშაოზე აღდგენის საკითხი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ, სრულად შეესაბამებოდა სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების შემდგომ 2011 წლის 5 მაისს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე აღნიშნული კანონის 112-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით“. ამავე კანონის 127-ე მუხლს კი დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან განთავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე 2011 წლის 5 მაისის №4650 კანონს, რომელმაც განსხვავებულად მოაწესრიგა იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საკითხი, ამავე კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მიენიჭა უკუქცევითი ძალა და იგი გავრცელდა ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ყველა სამართალურ-თიერთობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული სასამარ-

თლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხელე აღდგენილ იქნა სამსახურში და მას მიეცა განაცდური ხელფასი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე 2011 წლის 5 მაისის №4650 კანონის მე-2 მუხლში პირდაპირ მიეთითა, რომ აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე და მას მიენიჭა უკუქცევითი ძალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ტ-ის სარჩელი იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება გ. ტ-ისათვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ტ-ის სარჩელი იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამივლინებო თანხების ანაზღაურება

სამივლინებო დავალიანების ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ვადის აღიარების შემთხვევაში

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-1149-1138(კ-11)

12 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სამივლინებო დავალიანების ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 16 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ო. დ-მ მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიმართ ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე.

2010 წლის 2 ივლისს მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა დაზუსტებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა სამივლინებო ხარჯების – 1 669, 75 ლარის ანაზღაურება.

ო. დ-ის განმარტებით ის 1984-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სატყეო დეპარტამენტსა და მის დაქვემდებარებაში მყოფ საქტყეთესლსელექციაში, სხვადასხვა თანამდებობაზე. 1999-2004 წლებში ბრძანებების საფუძველზე შემოთხსენებული სამსახურიდან გაგზავნილი იყო მივლინებებში, რომლის ხარჯებიც დღემდე ანაზღაურებული არ არის. თითოეული მივლინებებისთვის განერილი თანხა მითითებულია სამივლინებო ბრძანებებში, მის მიერ განერილი ხარჯების სრული ოდენობა შეადგენს 1669,75 ლარს. მოსარჩელემ სამივლინებო თანხების ანაზღაურების მოთხოვნით არაერთხელ მიმართა როგორც სატყეო დეპარტამენტს, ისე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სამივლინებო თანხების ანაზღაურების მოთხოვნით და როგორც მათი წერილობითი პასუხიდან გაირკვა, მას უღიარეს მხოლოდ სამივლინებო დავალიანების თანხა, რაც შეადგენს 468,70 ლარს. ანალოგიური სამივლინებო თანხის დავალიანების თაობაზე იგივე პასუხი გასცა სამინისტრომ, რომელმაც ასევე უღიარა სამივლინებო დავალიანება, რაც შეადგენს 468,75 ლარს. წლების განმავლობაში სამინისტროს თანხების უქონლობის გამო ვერ მიიღო მის მიერ განეული სამივლინებო ხარჯები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 2010 წლის 16 ივლისის განჩინებით, მოსარჩელის თანხმობით, სსსკ-ის 85-ე მუხლის შესაბამისად, არასათანადო მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო შეიცვალა სათანადო მოპასუხით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ო. დ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს სატყეო სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანებებით დადგენილად იქნა მიჩნეული ო. დ-ის სხვადასხვა სატყეო მეურნეობებში მივლინების ფაქტი.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტის მიერ 2007 წლის 26 თებერვლის №17/04-03-57-292 წერილით ირკვევა, რომ მოსარჩელის მიმართ 2000-2004 წლებში მიუღებელი და დაკრედიტებული სამივლინებო ხარჯები შეადგეს 468,70 ლარს.

სასამართლო მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლზე (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) რომლის მიხედვითაც, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან სამი წელია, ხოლო ამავე კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად კი მოთხოვნის ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და ამავე კანონის 38-ე მუხლები და განმარტა, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის დაკავებული თანამდებობა და შესაბამისად შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი), მაგრამ სამივლინებო თანხა, ისევე, როგორც ხელფასის თანხა და დანამატი, პერიოდულად შესარულებელი ვალდებულებაა, ვინაიდან, მოსამსახურის მივლინებაში გაშვება და შესაბამისად სამივლინებო თანხის მისთვის ანაზღაურება დაკავშირებულია დროში გარკვეულ პერიოდთან, თუმცა, სამივლინებო თანხა, ამავდროულად, ხელფასის თანხისა და დანამატისგან განსხვავებით, არ არის მოქცეული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლის მოქმედების ფარგლებში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან მიმართებაში, რომ საქმეში არსებული წერილით მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღიარებული იქნა მის მიმართ სამივლინებო დავალიანება 2000-2004 წლებში მიუღებელი და დაკრედიტებული სამივლინებო ხარჯები, რაც შეადგეს 468,70 ლარს, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტის 2007 წლის 26 თებერვლის №17/04-03-57-292 წერილი მხოლოდ საჯარო საინფორმაციო ხასიათისაა და არ შეიძლება ჩაითვალოს წერილად, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო აღიარებს ვალს. გარდა ამისა სასამართლომ განმარტა, რომ ვალის ასახვა მხოლოდ შიდა დოკუმენტებში, რომელზედაც კრედიტორს ხელი არ მიუწვედება, ვალის აღიარებად არ ჩაითვლება.

ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის ო. დ-ის 1999-2004 წლების სამივლინებო თანხის, 1669,75 ლარის ოდენობით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სატყეო დეპარტამენტის მიმართ დაკისრების თაობაზე, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მოთხოვნა ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით რეგლამენტირებულ ხანდაზმულობის სამ წლიან ვადას.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ო. დ-მ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 25 მაისის საოქმო განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინებით ო. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. დ-მ.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი, რომელიც მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას იწ-

ვევენ. კასატორის მოსაზრებით, მოთხოვნის არსებობის აღიარება, მოვალის მრავალ ისეთ მოქმედებაში შეიძლება გამოიხატოს, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. დ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ო. დ-ს უარი ეთქვა 468,70 ლარის ანაზღაურებაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ო. დ-ის სასარგებლოდ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს დაეკისრება სამივლინებო თანხის – 468,70 ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო. აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელი კომპონენტები, კერძოდ, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) თანამდებობრივი სარგოს გარდა, მიეკუთვნება აგრეთვე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონით არის გათვალისწინებული. ამასთანავე, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. აღნიშნული კანონის 38-ე მუხლი ადგენს სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს, რომლის თანახმადაც, მოსამსახურეს აქვს მისთვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მოსამსახურეს უნარჩუნდება დაკავებული თანამდებობა და შესაბამისი შრომითი გასამრჯელო (ხელფასი, დანამატი). ამდენად, საჯარო მოსამსახურეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შრომით გასამრჯელოსთან ერთად უფლება აქვს მიიღოს სამივლინებო თანხა კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება. კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სამივლინებო თანხაზე ვერ გავრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნული მუხლის დებულება, ვინაიდან სამივლინებო თანხა წარმოადგენს მისაღები კომპენსაციის სახეს, რომლის გადახდის ვალდებულება მოქცეული არ არის მითითებული მუხლის რეგულაციაში.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ მოსამსახურეზე სამივლინებო თანხის გაცემის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მართალია იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას სამივლინებო თანხის დავალიანებაზე, როგორც პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებაზე, სამოქალაქო კოდექსის 129-ე-130-ე მუხლების გავრცელების თაობაზე, მაგრამ ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. საკასაციო სასამართლომ მითითებული მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კასატორის მოთხოვნის საფუძველზე, გადაამოწმა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის წერილთან მიმართებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის 2009 წლის 5 მარტის №22/04-20-101-468 წერილი წარმოადგენს ვალის აღიარებას, ვინაიდან დოკუმენტში ცალსახადაა მითითებული, რომ ო. დ-ზე რიცხული სამივლინებო ხარჯების დავალიანება 468,70 ლარი აღიარებულია კრედიტორულ დავალიანებად, რომელიც შეძლებისდაგვარად იქნება დაკმაყოფილებული ბიუჯეტში თავისუფალი რესურსის წარმოშობის, ან ფინანსთა სამინისტროს მიერ დეპარტამენტისათვის ძველი დავალიანებების დაფარვის მიზნით თანხის დამატების შემთხვევაში.

საქმეში ასევე წარმოდგენილია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სატყეო დეპარტამენტის 2007 წლის 26 თებერვლის №17/04-03-57-292 ცნობა იმის თაობაზე, რომ 2000-2004 წლებში ო. დ-ისათვის მიუღებელი და დაკრედიტებული სამივლინებო ხარჯები შეადგენს 468,70 ლარს, აღნიშნული დავალიანება აღრიცხულია სატყეო დე-

პარტამენტის ნაერთ ბალანსში და აღიარებულია შიდა ვალად, რომელიც ანაზღაურებული იქნება ფინანსთა სამინისტროდან შესაბამისი თანხების გამოყოფისთანავე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლზე, რომლითაც ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების შინაარსი და სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ო. დ-ისათვის გაცემული ცნობები წარმოადგენენ დავალიანების აღიარებას, თანხის გადახდის დაპირებას და შესაბამისად ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს, რაც საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს აკისრებს ვალდებულებას მოსარჩელეს აუნაზღაუროს სამივლინებო თანხა – 468,70 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ფაქტობრივი გარემოებების ხელახლა გამოსაკვლევად საქმის უკან დაბრუნების საფუძველები, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე დაყრდნობით საქმეზე იღებს ახალ გადაწყვეტილებას, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდება მოპასუხისათვის 468,70 ლარის დაკისრების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ო. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც ო. დ-ს უარი ეთქვა 468,70 ლარის ანაზღაურებაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ო. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს ო. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სამივლინებო თანხის – 468,70 ლარის ანაზღაურება;
5. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამივლინებო თანხების ანაზღაურების ხანდაზმულობა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-638-633(კ-11)

2 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: დავალიანების ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 7 ნოემბერს ნ. ა-მ, მ. შ-მ, ვ. ც-მ, ს. ი-მა და ი. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს – ნ. ა-ს, მ. შ-ს, ლ. ც-ს, ს. ი-ს, ი. ბ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ წვევამდელთა სამედიცინო შემოწმების გამო შესრულებული სამუშაოს ხარჯების ანაზღაურების შესახებ ეთქვათ უარი უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელების სააპელაციო საჩივარი და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელების – ნ. ა-ის, მ. შ-ის, ლ. ც-ის უფლებამონაცვლის – ვ. ც-ის, ს. ი-ის, ი. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ უარყოფითი განცხადებით მიმართული ურთიერთობიდან წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურების თაობაზე.

ნისტროს: ნ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5956,21 ლარის გადახდა; მ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5956,21 ლარის გადახდა; ლ. ც-ის უფლებამონაცვლის ვ. ც-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5956,21 ლარის გადახდა; ს. ი-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5956,21 ლარის გადახდა; ი. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 28660 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელებს ნ. ა-ს, მ. შ-ს, ლ. ც-ის უფლებამონაცვლე ვ. ც-ს, ს. ი-ს, ი. ბ-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვათ უარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1996 წლის ...ის სახ. ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმის №79 ბრძანებით 1996 წლის 21 სექტემბრიდან „საქართველოს სამხედრო ძალებში 1996 წელს მოქალაქეთა საშემოდგომო განვების პერიოდში სამედიცინო გამოკვლევის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1996 წლის 10 ოქტომბრის № 477 ბრძანების საფუძველზე მოსარჩელები ნ. ა-ე, მ. შ-ე, ლ. ც-ე, ს. ი-ი, ი. ბ-ი მივლინებულნი იყვნენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გამწვევი კომისიის სამედიცინო კომისიაში, რომელსაც ეკისრებოდა სამხედრო სამსახურში გასაწვევი წვევამდებლების სამედიცინო შემოწმების ორგანიზება; 2001 წლის 11 მაისის თსსუ ცენტრალური კლინიკის დირექტორის №48 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ საორგანიზაციო-სამოპილიზაციო კომისიასთან არსებულ სადიაგნოზო ცენტრში 10.5-დან კლინიკიდან მივლინებული იყვნენ ნ. ა-ე, მ. შ-ე, ლ. ც-ე, ს. ი-ი, ი. ბ-ი – საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის 1996 წლის 4 ოქტომბრის №03/28-2051 წერილის საფუძველზე; საქართველოს ცენტრალურ გამწვევი კომისიასთან არსებული მუდმივმოქმედი სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისია „...“ – სადიაგნოზო ცენტრის მიერ გაცემული 2009 წლის 8 მაისის №3 ცნობის თანახმად, კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება 1999-2002 წლებში (გარდა 2002 წლის საგაზაფხულო განვებისა) შეადგენს 23 824 ლარს და 87 თეთრს. აქედან ნ. ა-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 5 956,21 ლარს; მ. შ-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 5 956,21 ლარს; ლ. ც-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 5 956,21 ლარს; ს. ი-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 5 956,21 ლარს; ი. ბ-ის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 28 660, 28 ლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რაც ამ კანონით არ წესრიგდება რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ განმარტა, რომ შრომითი ურთიერთობის წარმოშობა შეიძლება ემყარებოდეს უფლებამოსილი ორგანოს თანამდებობის პირის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ასევე მისი წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს მხარეთა შორის ორმხრივი ხელშეკრულება, რომელიც იდება მოსამსახურესა და ადმინისტრაციას შორის. სწორედ ზემოაღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოსამსახურე მონაწილეობას ღებულობს დაწესებულება/ორგანიზაციის საქმიანობაში შრომითი მოვალეობების შესრულებით, რომელიც საფუძველია დამსაქმებლის მიმართ შესაბამისი ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №21 ბრძანებულებით საქართველოს სამხედრო ძალებში 1996 წლის მოქალაქეთა საშემოდგომო განვების ორგანიზებულად მოწყობის მიზნით საქართველოს სამხედრო კომისარიატთან შეიქმნა მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისია, რომელსაც ევალებოდა წვევამდელთა სრული სამედიცინო გამოკვლევა. ამავე ბრძანებულებით წვევამდელთა კონტიგენტების სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის განმსაზღვრელი სამედიცინო შემოწმების ხარჯების ანაზღაურება დაევალა ჯანდაცვის სამინისტროს სახელმწიფო, სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო, სამედიცინო პროგრამებით განისაზღვრებოდა სამედიცინო მომსახურების სტანდარტები, შესაბამისი ტარიფები, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ფორმები.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1996 წლის 10 ოქტომბრის №477/ო ბრძანებით საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 ოქტომბრის №21 ბრძანებულების უზრუნველსაყოფად დამტკიცდა საქართველოს სამხედრო კომისიასთან არსებული მუდმივმოქმედი საექიმო კომისიის შემადგენლობა.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 ოქტომბრის №21 ბრძანებულებით წვევამდელთა გამწვევ გამანაწილებელ პუნქტში მოეწყო სათანადო სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი საექსპერტო სადიაგნოზო ცენტრი, სადაც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად ჩატარდა 1996 წლის-საშემოდგომო, 1997 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 1998 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 1999

ნლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2000 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2001 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2002 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო წვევამდელთა სრული სამედიცინო გამოკვლევა.

სასამართლო მიუთითა, რომ წვევამდელთა სრულ სამედიცინო გამოკვლევას აწარმოებდნენ მოსარჩეველები, 1996 წლიდან 2002 წლამდე. მათ მიერ შესრულებული სამუშაო დაფინანსებულ იქნა დადგენილი წესით, მაგრამ არ იქნა დაფინანსებული 1999 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2000 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2001 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო და 2002 წლის საშემოდგომო განვევის სამედიცინო გამოკვლევის თანხები. დაფინანსდა მხოლოდ 2002 წლის საგაზაფხულო განვევის მოსარჩევეთა მიერ შესრულებული სამუშაო. მოსარჩევეთა მიერ სრულად იქნა შესრულებული მათზე დაკისრებული ვალდებულება, რაც დადასტურდა კიდევ ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად. აღნიშნულს ადასტურებდა აგრეთვე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის და საორგანიზაციო-სამოხილზაციო მთავარი სამმართველოს უფროსის წერილები ჯანდაცვის სამინისტროსადმი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევეებს არ განუხორციელებიათ მათი უფლების რეალიზაცია 1999 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2000 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2001 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო წვევამდელთა სრული სამედიცინო გამოკვლევის სამივლინებო თანხების მისაღებად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილ სამწლიან ვადაში, რადგან სამივლინებო თანხების მიღება განეკუთვნება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, ხოლო საქმეზე წარმოდგენილი სარჩელით დადასტურებულად ჩათვალა, რომ მოსარჩევეებმა სასამართლოს სარჩელით მიმართეს 2005 წლის ნოემბერში ხანდაზმულობის ვადის დარღვევით და შესაბამისად, არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩევეებს 1999 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2000 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო, 2001 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო წვევამდელთა განვევის სრული სამედიცინო გამოკვლევის თანხების ანაზღაურებაზე უარი უნდა ეთქვათ ხანდაზმულობის გამო. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩევეთა მოთხოვნა 2002 წლის საშემოდგომო განვევის წვევამდელთა სრული სამედიცინო გამოკვლევის ასანაზღაურებელი თანხების მოპასუხისათვის დაკისრებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოპასუხისა და მესამე პირის განმარტებით მათ მოსარჩევეების მიმართ დავალიანება არ გააჩნიათ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითებდა „ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად, ბიუჯეტში თავს იყრის ფულადი სახსრები, რომლიც ხმარდება ქვეყნის ვალდებულებათა შესრულებას. სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციების და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასანევი გადასახდელეების და ნაშთის ცვლილების ერთობლიობაა. საბიუჯეტო ორგანიზაციის ვალდებულებაა კრედიტორულ ვალდებულებათა სრული აღრიცხვა და წარდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ბიუჯეტიდან ასიგნებათა გამოსაყოფად, რადგან საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეზე არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ მოპასუხეს ან მესამე პირს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გააჩნია კრედიტორული დავალიანება მოსარჩევეების მიმართ, მაგრამ ვერ უნაზღაურებენ ბიუჯეტიდან ასიგნებათა დაუფინანსებლობის გამო, რაც ნიშნავს, რომ მოპასუხის და მესამე პირის ბიუჯეტიდან გამოსაყოფ თანხებში მოსარჩევეების მიერ მოთხოვნილი თანხები კრედიტორულ დავალიანებაში ასახული არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ წარმოშობია ვალდებულება მოსარჩევეების მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ა-მ, მ. შ-მ, ვ. ც-მ, ს. ი-მა და ილნარა ბ-მა, რომლებმაც მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ნ. ა-ის, მ. შ-ის, ვ. ც-ის, ს. ი-ისა და ი. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, აგრეთვე დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. ა-მ, მ. შ-მ, ვ. ც-მ, ს. ი-მა და ი. ბ-მა.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის და საორგანიზაციო-სამოხილზაციო მთავარი სამმართველოს უფროსის წერილებით, ასევე ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის ნ. ფ-ის 2005 წლის 17 ივნისის წერილით დასტურდება, რომ სამინისტროს აღიარებული აქვს დავალიანება მოსარჩევეების მიმართ, ამ-

დენად კასატორების მოსაზრებით სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არასწორად მიიჩნია სარჩელი ხანდაზმულად. რაც შეეხება სასამართლოს მსჯელობას 2002 წლის დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე, კასატორების მოსაზრებით, სასამართლოს ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, რადგან საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილები ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით, ასევე შპს „...ის“ მიერ გაგზავნილი მიმართვა შესრულებული სამუშაოსა და ასანაზღაურებელი თანხების შესახებ. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხისა და მესამე პირის ახსნა-განმარტებები და არანაირი შეფასება არ მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, თავდაცვის სამინისტროს წერილებს ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ, ასევე შპს „...ის“ მიერ გაცემულ ცნობას, რომლის თანახმად ჯანდაცვის სამინისტროს დავალიანება მოსარჩელეთა მიმართ შეადგენს 52485.12 ლარს. კასატორთა მოსაზრებით, მოპასუხეს მოსარჩელეთათვის ანაზღაურებული აქვს 2002 წლის საგაზაფხულო განვევის შესრულებული სამუშაოს თანხები, რაც გამორიცხავს სარჩელის ხანდაზმულობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორები საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ნოემბრის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ა-ის, მ. შ-ის და სხვათა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამართლებრივი კვალიფიკაციის ნაწილში იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა შეფასებას და თვლის, რომ სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოექცევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134-ე მუხლის რეგულაციის ფარგლებში.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისი აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფო, ამ შემთხვევაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობაში შევიდა კასატორებთან, რათა უზრუნველყო საჯარო უფლებამოსილების, კერძოდ კი ნვევამდელთა სამედიცინო შემოწმების განხორციელება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებითი ურთიერთობა, რა დროსაც გამოყენებული უნდა იყოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას, შესაბამისად თითოეული მათგანისათვის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლა იწყება დამოუკიდებლად.

დადგენილია, რომ სარჩელი სასამართლოში აღძრულია 2005 წლის ნოემბერში, რაც საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს დაადასტუროს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მოსაზრება და თვლის, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა 1999 წლის, 2000 წლის და 2001 წლის საგაზაფხულო-საშემოდგომო განვევის დროს განხორციელებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულია.

სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულნი პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

საკასაციო სასამართლო მითითებულ მუხლზე დაყრდნობით განმარტავს, რომ ვადის გასვლით იფარება პირის მოთხოვნის იძულებითი განხორციელების შესაძლებლობა. ამდენად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი ზემოაღნიშნული მოთხოვნის ნაწილში დააკმაყოფილოს სარჩელი და უზრუნველყოს მხარის დავალდებულება თანხის ანაზღაურებაზე.

იმავდროულად საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს 2002 წლის საშემოდგომო განვევის დროს განხორციელებული სამუშაოს ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნის უარყოფას და თვლის, რომ საქმე ამ ნაწილში ხელახალი გამოკვლევისათვის უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს რა დავის არსს, შრომის უფლებისა და სამართლიანი ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს პრინციპს, თვლის, არახანდაზმული მოთხოვნის კანონიერების შემოწმების პროცესში სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაწყვეტილება დააფუძნოს მხოლოდ მხარის მოსაზრებებს, საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყველა არსებული მტკიცებულების შესწავლისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე.

საქმეში წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს 2002 წლის საგაზაფხულო განვევაზე თსსუ ცენტრალური კლინიკის ექიმ-სპეციალისტების მიერ ჩატარებული სამედიცინო შემოწმების ფაქტს, ასევე წარმოდგენილია მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც მუდმივმოქმედ სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისიასთან არსებულ სადიაგნოზო ცენტრის თანამშრომლებს, გარდა 2002 წლის საგაზაფხულო განვევისა, შესრულებული სამუშაოს ღირებულება არ მიუღიათ.

საქმეში დაცულია შპს „...ის“ დირექტორის მიერ სასამართლოს სახელზე გამოგზავნილი ცნობა, რომელიც მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან კასატორთა მიმართ სახელფასო დავალიანების არსებობის ფაქტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს.

იმ პირობებში, როდესაც დადგენილია და სადავოდ არ არის გამხდარი ფაქტი იმის თაობაზე, რომ 2002 წლის შემოდგომაზე ნამდვილად მოხდა წვევამდელთა სამედიცინო შემოწმება, ამასთან იმავე წლის საგაზაფხულო განწვევაზე შესრულებული სამუშაო ნამდვილად მოსარჩელეთა მიერაა განხორციელებული და ანაზღაურებულია, პროცესუალური მონინალმდევე ვალდებულია, გააქარწყლოს მე-2 მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს, რომ 2002 წლის საშემოდგომო განწვევის პროცესში სამედიცინო შემოწმება ჩატარებულია არა მოსარჩელეთა, არამედ მე-3 პირთა მხრიდან, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით უზრუნველყოს საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ა-ის, მ. შ-ისა და სხვათა საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ნოემბრის განჩინება ნ. ა-ის, მ. შ-ისა და სხვებისთვის 2002 წლის საშემოდგომო განწვევაზე გაწეული სამუშაოს ღირებულების აუნაზღაურებლობის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება

პრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე აქტის გასაჩივრების ხანდაზმულობა

ბანჩინება

№ბს-170-168 (კ-11)

8 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალება.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. ს-ქმ მოპასუხის-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 და 2008 წლის 1 მაისის №454/კ ბრძანებების ბათილად ცნობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსად მის აღდგენასა და უკანონოდ გათავისუფლების გამო მოპასუხისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრებას სამუშაოზე აღდგენის დღემდე.

მოსარჩელის განმარტებით, იგი მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. ... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსად 2006 წლის აგვისტოდან 2008 წლის 1 მაისამდე, თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 1 მაისის №454/კ ბრძანებით.

მოსარჩელე განმარტავდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 ბრძანება ეფუძნება ფონდ „... ის“ დაუსაბუთებელ და უკანონო ბრალდებას, რომლის განხილვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში მოხდა კანონის დარღვევით. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ტროს გენერალური ინსპექცია, როგორც საჩივრის განმხილველი ორგანო ვალდებული იყო ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციიდან 5 დღის განმავლობაში გადაეგზავნა მისთვის ადმინისტრაციული საჩივარი და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები, რაც მათ არ განუხორციელებიათ. მოსარჩელეს არ მიეცა ზეპირი განხილვაზე წერილობითი მოსაზრებების და დოკუმენტაციის წარდგენის შესაძლებლობა, მას როგორც მხარეს, არ შეატყობინეს ხუთი დღით ადრე საქმის ზეპირი განხილვის დღის შესახებ. გენერალური ინსპექციიდან 2007 წლის 27 ნოემბერს ტელეფონით, და არა წერილობით, სალამოს ხუთ საათზე აცნობეს, რომ იმავე წლის 28 ნოემბერს, 16 საათზე შედგებოდა მოსმენა ... საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და ფონდ „... ..ს“ შორის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ა. ჩ-ის 2008 წლის 1 მაისის ბრძანება №454/კ გაუგებარია იმ ნაწილში, სადაც მოყვანილია ფაქტი, თითქოს მოსარჩელემ არ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა და 2008 წლის 1 მაისს ჯერ კიდევ არ ჰქონდა წარდგენილი ვაუჩერების დარიგების დავალების შესრულების შესახებ ანგარიში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 20 თებერვლის ბრძანება №149 რესურს-ცენტრში შევიდა 2008 წლის 4 მარტს, მაშინ, როდესაც ამ დავალების შესრულების ვადა უკვე ამოწურული იყო.

მინისტრის 2008 წლის 11 მარტის ბრძანება №214 რესურსცენტრში შევიდა 2008 წლის 19 მარტს, აღნიშნული ბრძანების „ი“ პუნქტი დარღვეული იყო, რადგან მისი მიზნობა ნაცვლად დადგენილი 12 აპრილისა, მოხდა 19 აპრილს, ანუ ერთი კვირით გვიან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ „... საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მ. ს-ძისთვის დისციპლინური სასჯელის გაფრთხილების დადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 26 მარტის №213 ბრძანებით ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის გამოცხადდა გაფრთხილება ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელისა და ასევე სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისათვის. სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების, სამინისტროსა და სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლების შეფერხებისათვის 2008 წლის 30 იანვარს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №81 ბრძანებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მ. ს-ძეს დაედო დისციპლინური სასჯელი – ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავების სახით“.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მ. ს-ძე იყო საჯარო მოხელე და მასზე ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, ხოლო ფონდი „...“ წარმოადგენს სსიპ-ს რომელიც შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. ფონდის ერთ-ერთ მიზანს ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უნარების მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის გადაცემა წარმოადგენს, მის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას კი ფონდ „... ..ის“ მეშვეობით კვალიფიციური ადგილობრივი და მობილური ტრენინგების მეშვეობით მასწავლებელთა გადამზადება. სწორედ ამ მიზნით ფონდის მიერ 2007 წლის 5 მარტს გამოცხადდა ტრენინგთა კონკურსი, ... რაიონში ადგილობრივი ტრენინგის ვერ შეიქმნა და არსებულ პედაგოგთა გადამზადება უნდა განხორციელებულიყო მობილური ტრენინგის მეშვეობით. ... რაიონის რესურს-ცენტრის მეშვეობით ფონდს ინფორმაცია გადასამზადებელ პედაგოგთა შესახებ არ მიუღია და არც აღნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით ჰქონია ურთიერთთანამშრომლობას ადგილი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 20 ნოემბერს სსიპ ფონდ „... ..ის“ აღმასრულებელმა დირექტორმა მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონალური კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსს შესაბამისი რეაგირების თხოვნით ... რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრთან ფონდის შემდგომი თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. ს-ძეს დაევალა ახსნა-განმარტების წარმოდგენა.

2007 წლის 28 ნოემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა ზეპირი მოსმენა, ინფორმაციის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მ. ს-ძემ გადასამზადებელ პედაგოგთა სიების წარდგენისა და მობილურ ტრენინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხების ორგანიზებაში მონაწილეობის ვალდებულება მთლიანად დააკისრა ... რაიონის საჯარო სკოლის დირექტორებს, რომლებმაც წარადგინეს სიები და უშუალოდ თანამშრომლობდნენ ფონდ „... ..თან“, ისე რომ ამ პროცესში რესურს-ცენტრის როლი და ვალდებულებები გამოირიცხა, რითაც არ შეასრულა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპიური დებულების“ მოთხოვნები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის 1-ლი „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თანამდებობის პირმა ან დანესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – არაუმეტეს 10 სამუშაო დღის ხელფასის დაკავება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 ბრძანება გამოცემულია ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძვლები.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 ბრძანება გამოცემულია კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც იქნა გამოკვლეული. მ. ს-ქს მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის არსებით დარღვევას არ ჰქონია ადგილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 20 თებერვლის №149 ბრძანების საფუძველზე ტერიტორიულ-საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელებს დაევალია უზრუნველყოთ სკოლის მასწავლებელთათვის განკუთვნილი ელექტროენერგიის ვაუჩერების მათ ტერიტორიულ ერთეულში შემავალი საჯარო სკოლის მასწავლებლებზე გადაცემა და არაუგვიანეს 2008 წლის 4 მარტამდე შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა რეგიონალური კოორდინაციის დეპარტამენტში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 მარტის №214 ბრძანების საფუძველზე ტერიტორიულ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებს დაევალია სკოლის მასწავლებლებისათვის განკუთვნილი ელექტროენერგიის ვაუჩერების მათ ტერიტორიულ ერთეულში შემავალ საჯარო სკოლების მასწავლებლებზე გადაცემა და არა უგვიანეს 2008 წლის 24 მარტამდე შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა რეგიონალური კოორდინაციის დეპარტამენტში. ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროს მ. ს-ძის მიერ ინფორმაციის წარდგენის შესახებ №128 წერილი დათარიღებულია 2005 წლის 5 მარტით, ხოლო ადრესატს აღნიშნული წერილი ჩაბარდა 7 მარტს.

ინფორმაციის წარდგენის შესახებ №191 წერილი დათარიღებულია 2008 წლის 27 მარტით, ხოლო ადრესატს აღნიშნული წერილი ჩაბარებული აქვს 28 მარტს. წერილებში მ. ს-ქ არ მიუთითებს ინფორმაციის დაგვიანებით წარდგენის მიზეზებს, უფრო მეტიც, 2008 წლის 5 მარტის №128 წერილის მიხედვით ვაუჩერების მასწავლებელთათვის გადაცემა მიმდინარეობდა შეფერხებით, რაც გამოწვეული იყო რაიონში იმ პერიოდში არსებული რთული კლიმატური პირობებით, ხოლო 2008 წლის 27 მარტის №191 წერილში ფაქტიურად მითითებულია ვაუჩერების გაცემის პროცესის დასრულებაზე. ამიტომაც სასამართლომ ინფორმაციის დროულად წარუდგენლობის საპატიო მიზეზად არ მიიჩნია მოსარჩელის მიერ სასარჩელო განცხადებაში მითითებული გარემოება, რომ აღნიშნული ბრძანებები ჩაბარდა დაგვიანებით.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპიური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსი ყოველწლიურად, აგრეთვე მოთხოვნის შესაბამისად მინისტრს წარუდგენს ანგარიშს რესურს-ცენტრის საქმიანობის შესახებ. ამავე დებულების მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რესურს-ცენტრი თავისი უფლებამოსილების და სამინისტროს მიერ დასმული ამოცანების გადაწყვეტისა და განხორციელებისას ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე. მ. ს-ქმ არ შეასრულა მასზე, როგორც რესურს-ცენტრის უფროსზე, დაკისრებული მოვალეობა და არ წარადგინა ყოველწლიური ანგარიში განეული სამუშაოს შესახებ.

სასამართლომ ასევე დარღვეულად მიიჩნია შვებულებაში გასვლის პროცედურა, რისი გათვალისწინებითაც საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ს-ძის მხრიდან ადგილი ჰქონდა მასზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებას, რაც წარმოადგენდა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ს-ქმ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. ს-ძის სასარჩელო დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 და 2008 წლის 1 მაისის №454/კ ბრძანებები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმის გარემოებების არსებითად და სრულყოფილად გამოკვლევის შედეგად მიეღო შესაბამისი აქტები; მ. ს-ქს აუნაზღაურდა სამსახურიდან გაათავისუფლების დღიდან ახალი აქტის გამოცემამდე პერიოდის იძულებითი არყოფნის ხელფასი.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 და 2008 წლის 1 მაისის №454/კ ბრძანებები გამოცემული იყო საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე, კანონით ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის დადგენილი პროცედურის დარღვევით, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილის, 95-ე- 96-ე მუხლების თანახმად წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. კერძოდ, სააპელაციო პალატამ ჩათვა-
ლა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 ბრძანების
გამოცემისას არ ჩატარებულა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება: საქართველოს ზოგადი ადმი-
ნისტრაციული კოდექსის 195-ე მუხლით დადგენილ ვადაში მოსარჩელისათვის არ გადაუგზავნიათ ადმი-
ნისტრაციული საჩივარი და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები, მ. ს-ძეს არ მიეცა ზეპირ გან-
ხილვაზე წერილობითი მოსაზრებების და დოკუმენტაციის წარდგენის ობიექტური შესაძლებლობა. მას
მხოლოდ 2007 წლის 27 ნოემბერს სალამოს ხუთ საათზე ტელეფონით და არა წერილობით აცნობეს, რომ მე-
ორე დღეს, 28 ნოემბერს, 16 საათზე შედგებოდა საკითხის განხილვა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ იგივე ხარვეზები ახასიათებდა საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 1 მაისის ბრძანება №454/კ ბრძანებასაც. ჯეროვნად არ იყო გამოკ-
ვლელი მოსარჩელის მიერ დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის ფაქტი, რაც გამოიხატა ვაუ-
ჩერების დარიგების დავალების შესრულების შესახებ ანგარიშის დაგვიანებით წარდგენაში.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 20 თებერვლის ბრძანება №149 რესურს-ცენტრში შევიდა 2008
წლის 4 მარტს, მაშინ, როდესაც ამ დავალების შესრულების ვადა უკვე ამონურული იყო.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ასევე სრულყოფილ გამოკვლევას საჭიროება მოსარჩელის მიერ
„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათ-
ლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი. დებულების მე-3
მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსის მიერ უფლებამოსილების განხორციელების
შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტით განსაზღვრული რესურს-ცენტრის თანამშრომელი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ
არსებობს ასეთი აქტი, მხოლოდ მაშინ უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს განათლების სამი-
ნისტრო. სათანადო შეფასება უნდა მიეცეს იმ გარემოებას, რომ თ. ჭ-ძის შემცვლელად დანიშვნის თაობა-
ზე ბრძანების გამოცემისას, მოსარჩელე ჯერ კიდევ რესურს-ცენტრის უფროსს წარმოადგენდა და შემ-
ცვლელის დანიშვნა მის უფლებამოსილებაში შედიოდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გამოსაკვლევი იყო საკითხი, არსებობდა თუ არა განსაკუთრებული
პირობები, რომელიც მოსარჩელეს ათავისუფლებდა ანაზღაურების გარეშე შვებულების აღების თაობაზე
დამსაქმებლის ორი კვირით ადრე გაფრთხილებისაგან.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ზემოდასახელებულ გარემოებათა გათვლისწინებით სახეზე იყო
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული
პირობები.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერე-
ბის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე
ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა
და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს,
რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-
დეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს
იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის შესაბამისად გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველების შემოწმებისას საკასაციო სა-
სამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე
მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მი-
ღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძ-
ვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის სამართლებრივად
დასაბუთებული, საქმე გამოკვლევულია არასრულყოფილად, რაც შეუძლებელს ხდის გადაწყვეტილების კა-
ნონიერების შემოწმებას და რაც, ზემოაღნიშნული მუხლის შესაბამისად, ქმნის გასაჩივრებული განჩინე-
ბის გაუქმების საფუძველს.

როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან იკვეთება წინამდებარე დავის საგანს წარმოადგენს სა-
ქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 1 მაისისა და იმავე მინისტრის 2008
წლის 30 იანვრის ბრძანებები, რომელთაგან ერთი შეეხება მოსარჩელე მ. ს-ძის მიმართ დისციპლინარული
სახდელის – ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავებას, ხოლო მეორე – ამ უკანასკნელის თანამდებობიდან
დათხოვნას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შე-
საბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს
მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი
აქტი, რომელიც ანესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებს და
მოვალეობებს.

იმისათვის, რომ აქტი მიჩნეულ იქნას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად ზემოაღნიშნული დეფინიციის საფუძველზე ის უნდა შეიცავდეს 4 ელემენტს: გამოცემული უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართული უნდა იყოს პირის ან პირთა შეზღუდული წრისაკენ და აწესებდეს, ცვლიდეს, წყვეტდეს ან ადასტურებდეს პირთა სამართლებრივ მდგომარეობას.

გამომდინარე იქიდან, რომ სადავო აქტები აკმაყოფილებენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ ყველა კრიტერიუმს, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების გამოყენებას, მაგრამ ამასთანავე, მოსარჩელის სამართლებრივი სტატუსის მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან ერთად გამოყენებული უნდა იყოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები და დავის გადაწყვეტა უნდა მოხდეს მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის კანცელარია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებები“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპიური დებულების“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს, ხოლო ამავე დებულების 3.2 მუხლის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი“.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ მოსარჩელე მ. ს-ძე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოხელის მიმართ დისციპლინარული გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება.

ზემოაღნიშნული კანონის 99.2 მუხლი განსაზღვრავს, რომ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა.

ერთ-ერთი გასაჩივრებული აქტის, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის №81 ბრძანების საფუძველზე მ. ს-ძის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინარული ზემოქმედების ღონისძიება-ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. ამავე მუხლის 2' ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა აითვლება კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტის გაცნობიდან.

ამდენად, საჯარო სამსახურში შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა შეადგენს ერთ თვეს.

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მიაპყრობს შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების თავისებურებას, კერძოდ კი იმ საკითხს, რომ ამ სახის დავების სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი უკავშირდება სარჩელის დასაშვებობას, რომლის შემოწმებაც წარმოადგენს სასამართლოს ვალდებულებას და არა მის უფლებას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლო ისე მსჯელობს ზემოაღნიშნული აქტის მატერიალურ კანონიერებაზე, რომ არ დაუდგენია აქტი გასაჩივრებულია თუ არა კანონით განსაზღვრულ ვადაში. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 30 იანვრის ბრძანების შინაარსი ადასტურებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მოსარჩელის მონაწილეობის ფაქტს, საკასაციო სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლომ დაადგინოს და გამოიკვლიოს, რამ განაპირობა აქტის ვადაგადაცილებით გასაჩივრება და არის თუ არა სახეზე ვადის აღდგენის კანონისმიერი საფუძველები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი დებულებებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ზემოაღნიშნული საკითხის დადგენას და თვლის, რომ მითითებული საკითხი გარკვეულწილად განსაზღვრავს წინამდებარე სარჩელის საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 1 მაისის №454/კ ბრძანების კანონშეუსაბამობის თაობაზე და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მხრიდან წარმოდგენილი ზოგადი მითი-

თემა იმის თაობაზე, რომ მინისტრის 2008 წლის 20 თებერვლის №149 ბრძანება რესურს-ცენტრში შევიდა დაგვიანებით, არ ქმნის იმის მტკიცების საკმარის საფუძველს, რომ საკითხი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოკვლეულია არასრულყოფილად. ასეთ პირობებში სასამართლო ვალდებულია კონკრეტულ გარემოებებზე მითითებით დაადასტუროს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საკითხის არასრულყოფილად გამოკვლევის ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებები საჭიროებს დამატებით შესწავლას, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სააკაპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააკაპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლება არაღამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო

განჩინება

№ბს-1805-1760(კ-10)

20 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 30 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. ა-მა მოპასუხის-შემოსავლების სამსახურის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის 01.03.106. №პ-455 ბრძანების ბათილად ცნობას, გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე ან მის ადეკვატურ თანამდებობაზე აღდგენასა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 ივნისის საოქმო განჩინებით ი. ა-ის სარჩელი მოპასუხე შემოსავლების სამსახურის მიმართ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე ან მის ადეკვატურ თანამდებობაზე აღდგენის და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ი. ა-ს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ა-ი 2009 წლის პირველი სექტემბრიდან გათავისუფლების დღემდე მუშაობდა შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის ... დეპარტამენტის ... სამმართველოს ... თანამდებობაზე; შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 18.03 №16-05/8851 წერილით, ადვოკატ ნ. ო-ს მიენოდა საჯარო ინფორმაცია მასზე რომ, ... დეპარტამენტის ... სამმართველოს მიერ, 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2010 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, შესრულებულია 2033 წერილი, მათ შორისაა ი. ა-ის 49 წერილი; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 01.03 №პ/455 ბრძანებით, ... დეპარტამენტის ... სამმართველოს ... ი. ა-ი არაღამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან; ... დეპარტამენტის უფროსის დ. ჭ-ას მ/ნ 18 თებერვლის №7730 მოხსენებითი ბარათის თანახმად, ... სამმართველოს მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ ... კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციებთან ერთად შედის მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, რაც ი. ა-ის მიერ ვერ სრულდება ჯეროვნად არაღამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე და განმარტა, რომ მოსამსახურეთა სამსახურში მიღების და სამსახურის გავლის წესის საფუძველი და მათი სოციალური დაცვის გარანტიები რეგულირდება ამ კანონით და მის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობაზე დაწინაურების და გათავისუფლების, სამსახურის გავლის, ატესტაციის, კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების ფორმების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების წესი და საფუძველი; სასამართლომ დასახელებული კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ მოხელე შესაძლოა გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო; აღნიშნული საკითხის შეფასება სასამართლო კოლეგიის მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება და უკავშირდება მოსამსახურის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების და საქმიანობის განხორციელებას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტსა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტზე, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილისა და ამ მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ სადავო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 01.03 №3/455 ბრძანება შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ რეკვიზიტებს, მათ შორის იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომელთა საფუძველზე გამოიცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველია.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ა-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლში საჯარო სამსახური განმარტებულია, როგორც საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში-საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი უნდა მოწესრიგდეს პირველ რიგში „ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლზე და მათ საფუძველზე განმარტა, რომ საჯარო მოხელე თავისი ფუნქციონალური დატვირთვით წარმოდგენს სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირს და მას შესაბამისად, განსაკუთრებული მითითებების გარეშე, ეკისრება ვალდებულება კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო მოხელე სწორედ იმით განსხვავდება კერძო დაწესებულებებში მომსახურე პირისგან, რომ მისი შრომითი ურთიერთობა დაკავშირებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან, მისი საქმიანობის მიზანი სახელმწიფო საქმიანობაა და სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს თავის მხრივ განსაკუთრებულ ვალდებულებებსაც, რასაც მას თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში აკისრებს კანონი. მოცემულ შემთხვევაში, სადავო საკითხი რამდენად სწორედ განხორციელდა ი. ა-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და რამდენად შეესაბამება იგი დასახელებული კანონის მოთხოვნებს; სააპელაციო პალატამ მიუთითა აპელანტის გათავისუფლების დროს მოქმედ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლზე და მათ საფუძველზე განმარტა, რომ საჯარო მოხელის გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველად კანონი დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების არსებობის შემთხვევაში, ითვალისწინებს მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას.

სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მითითება სადავო სამართალური თითქმის ბაზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, რომელიც მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველად მიიჩნევს ატესტაციის შედეგებს. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტის გათავისუფლების საფუძველი არა ატესტაციის შედეგები, არამედ, მისი არადაამაკმაყოფილებელი პროფესიული შედეგი, რაც „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, მოხელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველია.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ღონისძიებამ არ გამოიწვია ი. ა-ის კანონიერი ინტერესების დაუსაბუთებელი ხელყოფა, ვინაიდან საქარ-

თველოს ფინანსთა სამინისტროს უფროსის მიერ 2010 წლის 01.03. №3-455 გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სრულ შესაბამისობაშია „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლების მოთხოვნებთან.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ა.-მა.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე პალატისათვის დაბრუნებას.

კასატორის მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უგულვებლყოფას, ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შეზღუდულია კანონით და მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონით დადგენილი შეზღუდვები. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ი. ა.-ის პროფესიული თვისებების შეფასება არ განეკუთვნება „შესაბამისი თანამდებობის პირის კომპეტენციას“, ვინაიდან ამგვარ დისკრეციას (კომპეტენციას) თანამდებობის პირის, არ ცნობს საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და არც სხვა რომელიმე ნორმატიული აქტი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ ფუნქციებს – ეს უნდა იყოს სამართლის ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, რამდენიმე სასურველი გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი და არა გადაწყვეტილება მიიღოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის დარღვევით. კასატორი თვლიდა, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული ი. ა.-ის სამსახურიდან განთავისუფლების პრინციპები – შეფასდა თუ არა გადასაწყვეტი საკითხი კანონით დადგენილი წესით და აღნიშნული შეჯერების საფუძველზე იქნა თუ არა მიღებული ოპტიმალური გადაწყვეტილება. გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რა კონკრეტული ფაქტებით გამოიხატა ი. ა.-ის არაადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები და ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელი კანონით უნდა შეფასებულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და მიაჩნია, რომ ი. ა.-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 1 სექტემბრის №3-2554 ბრძანებით შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ... სამმართველოს ... განყოფილების ... – ი. ა.-ი გადაყვანილ იქნა შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის ... დეპარტამენტის ... სამმართველოს ... თანამდებობაზე, 2009 წლის პირველი სექტემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 1 მარტის №3-455 ბრძანებით ... დეპარტამენტის ... სამმართველოს ... ი. ა.-ი არაადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

განთავისუფლების ბრძანებას საფუძველად დაედო მომსახურების დეპარტამენტის უფროსის დ. ჭ.-ის 2010 წლის 18 თებერვლის №7730 მოხსენებითი ბარათი.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, მიუთითებს განთავისუფლების სამართლებრივ საფუძველებზე: „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტზე.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენს არაადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისადაც სამსახურის უფროსი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს, იგი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის მომსახურების დეპარტამენტის გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნა, ისევე, როგორც თანამდებობიდან მისი გათავისუფლება, წარმოადგენს სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას, რომელსაც იგი ახორციელებს ერთპიროვნულად. სამსახურის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული საფუძველების გამოვლების შემთხვევაში დაკავებული თანამდებობიდან ვადამდე გაათავისუფლოს სამსახურის საჯარო მოსამსახურე.

მომსახურების დეპარტამენტის უფროსის დ. ჭ.-ის 2009 წლის 18 თებერვლის №7730 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ... კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციებთან ერთად შედის მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექ-

ტების მომზადება, რაც ი. ა-ის მიერ ჯეროვნად ვერ სრულდებოდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2007 წლის 2 მარტის №170 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის თანახმად, გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სწორედ კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის და განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის ანალიზის უზრუნველყოფა და საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადების და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების უზრუნველყოფა.

მითითებული სამართლებრივი საფუძვლით მოხელის სამსახურიდან დათხოვნა უკავშირდება მოსამსახურის პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს უქმნის დისკრეციის, შეფასების თავისუფლების ფართო არეალს, ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაცულია თუ არა მოსარჩელის პროფესიული ჩვევების შეფასების ობიექტურობის კრიტერიუმები, ვინაიდან როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ი. ა-ის მიერ მომზადებული საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებებისა და შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შესახებ ინფორმაცია საქმის წარმოების სამმართველოში არ იძებნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ ი. ა-ი იყო ... დეპარტამენტის ... სამმართველოს ..., რომლის განთავისუფლებაც „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უფროსის უფლებამოსილებას წარმოადგენს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობების მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და არ არსებობს მისი, როგორც კანონსაწინააღმდეგო აქტის, ბათილად ცნობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად უთხრა უარი ი. ა-ს სააპელაციო საჩივრისა და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის გაზიარებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა :

1. ი. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-1795-1750(კ-10)

21 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 მაისს მ. კ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 და 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანებების ბათილად ცნობა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, 2006 წლის აგვისტოში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში. ორივე ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ა. ლ-ას 2006 წლის 16 აგვისტოს №1128/კ

ბრძანებით დაინიშნა ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსად. მოსარჩელემ ორი წელი იმუშავა აღნიშნულ თანამდებობაზე და არ უსარგებლია კუთვნილი შვებულებით. 2008 წლის აპრილიდან გავიდა შვებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპიური დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე. 2007 წლის 21 ნოემბერს შემოადინებული დებულების მე-3 მუხლში შევიდა ცვლილება, რის თაობაზეც სამინისტროს ოფიციალურად არ უცნობებია. ამასთან, დაახლოებით, 40 რესურს-ცენტრის უფროსმა ისარგებლა შვებულებით ისე, რომ ერთი კვირით ადრე არ უცნობებიათ სამინისტროსათვის, მაგრამ მათთვის სიტყვიერი საყვედურიც კი არ მიუციათ, ხოლო მოსარჩელის შემთხვევაში, ეს ფაქტი გათავისუფლების საფუძველი გახდა.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გასაჩივრებული აქტები - ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანება, ასევე მ. კ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის - სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №425/კ ბრძანება, ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას, დაუსაბუთებელი იყო და უნდა გამოცხადებულიყო ბათილად. სასამართლოში წარდგენილი დაზუსტებული სასარჩელო განცხადების თანახმად, მოსარჩელე მ. კ-ემ სარჩელში დამატებით მიუთითა იმ დარღვევებზე, რასაც ადგილი ჰქონდა სადავო აქტების გამოცემისას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №337 ბრძანება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი არარად ცნობის საფუძველია. ასევე, საფუძველს იყო მოკლებული მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაც, რამდენადაც ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 11-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოხელე არ შეიძლება გათავისუფლებულიყო სამსახურიდან, შესაბამისად, იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს და ბათილად უნდა გამოცხადებულიყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ნოემბრის განჩინებით მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-ემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით მ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მ. კ-ის სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან და დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; მოწინააღმდეგე მხარეს დაევალა მ. კ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, გათავისუფლების დღიდან - 2008 წლის 23 აპრილიდან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაამდე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე მ. კ-ე მუშაობდა ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის თანამდებობაზე. იგი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანებით მ. კ-ე იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში 2008 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით. მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალა უფროს სპეციალისტს მ. ა-ეს. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს აცნობა, რომ 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების საფუძველზე იგი იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, ხოლო მის მოვალეობას შეასრულებდა უფროსი სპეციალისტი მ. ა-ე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანებით და-
ლადაკარგულად გამოცხადდა ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის
№11 ბრძანება, ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტის გამოცემით რესურს-ცენტრის უფროსმა დაარღვია ზემ-
დგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაცი-
ული აქტი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანე-
ბით დადგენილი ვალდებულება, კერძოდ, რესურს-ცენტრის უფროსი ვალდებული იყო თავისი შვებულე-
ბის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის ეცნობებინა შვებულების
თარიღამდე არა უგვიანეს ერთი კვირისა, რაც მას არ განუხორციელებია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ სამინისტროს არ ჰქონდა უფლება, და-
ლადაკარგულად ეცნო რესურს-ცენტრის უფროსის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტი, რამდენადაც „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცე-
ბის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 ნაწი-
ლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სამინისტროს ხელმძღვანელობა თვალყურს ადევნებდა სამინისტროს
სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველოს სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვე-
უწყებო დანებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების
მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულების მიმდინარეობას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშე-
წონილობას და კანონით დადგენილი წესით, ახორციელებდა სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გა-
დანყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას, ხოლო „მ“ ქვეპუნქტის შესაბამი-
სად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემდა ნორმატიული და ინდივიდუალური ხასიათის სამარ-
თლებრივ აქტებს.

სააპელაციო პალატის მითითებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2008 წლის
23 აპრილის №425/კ ბრძანებაში მ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველად მიუთითა „საქარ-
თველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78.1. „ა“, 79.1.
„ვ“, 93-ე, 99.1 და 99.4 მუხლები. მოპასუხემ სადავო ბრძანებას საფუძველად დაუდო ის გარემოება, რომ მ. კ-
ის მიერ შვებულებაში გასვლის თაობაზე ინფორმაცია მინისტრისათვის არადროულად იქნა მიწოდებული.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78.1. „ა“
მუხლის შესაბამისად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდა სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალე-
ული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამავე კანონის 79.1 მუხლის თანახმად, იმ თანამდე-
ბობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც ჰქონდა მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დის-
ციპლინური გადაცდომისათვის შეიძლებოდა გამოეყენებინა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
აღნიშნული კანონის 99.1 მუხლის თანახმად, მოხელე შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო სამსახურიდან
ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის.

სააპელაციო პალატამ უზენაესი სასამართლოს მითითების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული
საბრძოლველ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გამოიკ-
ვლია სადავო გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლე-
ბამოსილების მართლზომიერად გამოყენების საკითხი. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ გამოკვლეულ
იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რამდენად იქნა დაცული თანაზომიერების პრინციპი იმ პირობებ-
ში, როცა აპელანტი უთითებს, რომ მის მსგავსად, დაახლოებით, 40 რესურს-ცენტრის უფროსმა ისარგებ-
ლა შვებულებით ისე, რომ ერთი კვირით ადრე არ უცნობებიათ სამინისტროსათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ბრძანება ისე იქნა მიღებული, რომ ადმინისტრაციული
წარმოების დროს არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც
არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. სააპე-
ლაციო პალატის აზრით, ჯეროვანი დასაბუთების გარეშე იქნა შეწყვეტილი პრომოთი ურთიერთობა რე-
სურს-ცენტრის ხელმძღვანელთან მაშინ, როცა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4
ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-
მისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითე-
ბა ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის გამოცემისას, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი
გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლე-
ბიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ იძულებითი ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღ-
დგენისაკენ, რომლებშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე. მოცემულ შემთხვევაში,
რამდენადაც მ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მინისტრის ბრძანება არ შეესაბამებოდა მა-
ტერიალური კანონმდებლობის კრიტერიუმებს, არცებობდა აღნიშნული ბრძანების საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული ბათილობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის გა-
დანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ,
რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩე-
ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა განმარტა, რომ შესასრულებელი სამუშაოების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მინისტრი
უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა რესურს-ცენტრის უფროსის ადგილზე ყოფნა, ამასთან, მითითებული ლო-

ნისძიების გატარება იგეგმებოდა აპრილის თვეში, რისთვისაც აუცილებელი იყო რესურს-ცენტრის უფროსის აქტიური მუშაობა.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებული მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამინისტროს მხრიდან საკითხი გამოკვლეულია სრულყოფილად, ძირითადი მიზეზი, რაც სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი გახდა, იყო რესურს-ცენტრის უფროსის მიერ განხორციელებული დარღვევის შეფასება.

რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, სასამართლოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი უნდა გადაეწყვიტა იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, თუ რა შედეგით დამთავრდებოდა სამინისტროს მიერ გარემოებების გამოკვლევა და ახალი აქტის გამოცემა, ვინაიდან განაცდურის დაკისრებისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ორი პირობა – მოხელის უკანონოდ გათავისუფლების დადასტურება და სამუშაოზე აღდგენა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უკანონოდ ცნო მ. კ-ის გათავისუფლება და საკითხი ხელახლა შესასწავლად დაუბრუნა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, არსებითად არ განხილულა და არ გადაწყვეტილა სამუშაოზე აღდგენის საკითხი. ამდენად, მოპასუხისათვის განაცდურის დაკისრება მოკლებულია კანონიერ საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მაისის განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილად ცნობილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: „ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანებით დგინდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანამანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ის მიეცა 2008 წლის კუთვნილი შვებულება 2008 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით. მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისი მოვალეობის შესრულება დაევალა ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროს სპეციალისტს მ. ა-ეს. ამავე ბრძანებით განისაზღვრა ბრძანების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის შეტყობინება, ხოლო ბრძანების შესრულება დაევალა საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროს სპეციალისტს ო. კ-ს. ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა 2008 წლის 31 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მ. გ-ს აცნობა, რომ 2008 წლის 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით, ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანების საფუძველზე იმყოფებოდა შვებულებაში, ხოლო მის მოვალეობას შეასრულებდა ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი სპეციალისტი მ. ა-ე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 აპრილის №337 ბრძანებით დაადაკარგულად გამოცხადდა ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება, ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტის გამოცემით რესურს-ცენტრის უფროსმა დაარღვია ზემოდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული, შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციული აქტი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დადგენილი ვალდებულება. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანამანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, რესურს-ცენტრის უფროსი ვალდებულია თავისი შვებულების თაობაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აცნობოს შვებულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსმა მ. კ-ემ თავისი შვებულების თაობაზე ინფორმაცია სამინისტროს მიაწოდა 2008 წლის 2 აპრილს (სამინისტროში წერილობითი ინფორმაციის წარდგენის თარიღი), ხოლო შვებულებაში გავიდა 2008 წლის პირველი აპრილიდან. სადავო ბრძანებაში ასევე აღნიშნულია, რომ რესურს-ცენტრის უფროსის მიერ შვებულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კანონით დადგენილი წესით და ვადებში მიწოდების შემთხვევაში, მიმდინარე წლის აპრილის თვეში რესურს-ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების გათვალისწინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლის მითითებით, როგორც რესურს-ცენტრის უფროსის მიმართ საკადრო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, შესაძლებელია მიეღოს სხვა გადაწყვეტილება შვებულების თარიღთან დაკავშირებით. აღნიშნული ბრძანების თანახმად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. ... საგანამანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება „მ. კ-ის შვებულების შესახებ“ გამოცემული იყო უპირატესი იურიდიული

ძალის მქონე აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით და ზედამხედველობის წესით ექვემდებარებო- და ძალადაკარგულად გამოცხადებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებუ- ლების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტ- ტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერე- ბის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულე- ბის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ამავე ბრძანებით მ. კ-ეს დაევალა აღნიშნული ბრძანების კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტ- ტროში წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენა, მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოე- ბის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვე- პუნქტით დადგენილი მოთხოვნის შეუსრულებლობის საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილია ასევე ქ. ... საგანმანათლებლო რე- სურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ის 2008 წლის 22 აპრილის №114 ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნუ- ლია, რომ მან 2008 წლის 22 აპრილს მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №337 ბრძანება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფრო- სის 2008 წლის 28 მარტის №11 ბრძანება „მ. კ-ის შევბულების შესახებ“. „საჯარო სამსახურის შესახებ“ სა- ქართველოს კანონის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტ- ტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერე- ბის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულე- ბის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად იმყოფებოდა კუთვნილ შევბულებაში, რომლითაც მას არ უსარგებლია ორი წლის მანძილზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №337 ბრძა- ნების საფუძველზე 2008 წლის 22 აპრილიდან კი გამოვიდა სამსახურში და ასრულებდა მის მოვალეობას. ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი მ. კ-ე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ მან ჯერ კიდევ 2008 წლის 24 მარტს მიმართა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თხოვნით მიღებაზე, რათა ესაუბრათ მათ სფეროში არსებულ საკითხებზე, მათ შორის, იგულისხმებოდა შევბულებაში გასვლა. აღ- ნიშნული წერილი სამინისტროში გატარებულია 24/03/6075 ნომრით, რაზეც მოსარჩელეს სამინისტროდან პასუხი არ მიუღია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზეც, რომ იმის გათვა- ლისწინებით, რომ მ. კ-ის მიერ მითითებული 2008 წლის 24 მარტის №24/03/6075 წერილი არ მოიცავდა არანაირ მითითებას შევბულებაში გასვლასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც „საქართველოს განათლე- ბისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის პირდაპირ მიუთითებდა, რომ შევბულე- ბის თაობაზე რესურს-ცენტრის უფროსი ვალდებულია აცნობოს სამინისტროს შევბულების თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა, ამასთან, მ. კ-ის ახსნა-განმარტებით ბარათში არ იყო მითითებული ისეთი გა- რემოების შესახებ, რაც გამოავლენდა მოსარჩელის მიერ დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზს, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართვე- ლოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებ- ლობა), 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის, 99-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად და მ. კ-ის წერილობითი ახსნა-განმარტების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანებით საქართველოს განათლებისა და მეც- ნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ის მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – თანამდებობიდან გათავი- სუფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულია, რომ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია საგანმანათ- ლებლო რესურს-ცენტრები, რომლებიც იქმნება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ამდენად, მ. კ-ე მუ- შაობდა რა ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის თანამდებობაზე იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანო- ნის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ სა- ქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრა- ციული ორგანოს ბრძანება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ადმინისტრაციული ორ- განოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტ- რაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის შრომის უფლებას, რის გამოც სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემოწმდეს ხსენე- ბულ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქარ- თველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი ნორმების მოთხოვნებთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევებს, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად კი, მოხელე შეიძლება გაათავისუფლოს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომას წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. სწორედ მითითებულ ნორმაზე დაყრდნობით გამოიყენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მე-2 ნაწილის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს დისკრეციული უფლებამოსილების რეალიზების დროს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვა, რომლის შინაარსი მდგომარეობს საჯარო და კერძო ინტერესების თანაზომიერ განონანსორებასა და მათ მართლზომიერ დაბალანსებაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ გამოიკვლია, რამდენად იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული თანაზომიერების პრინციპი, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე თავის სასარჩელო განცხადებაში უთითებს, რომ მის მსგავსად დაახლოებით ორმოცი რესურს-ცენტრის უფროსმა ისარგებლა შევებულებით, ისე რომ ერთი კვირით ადრე არ უცნობებიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, მაგრამ მათთვის სიტყვიერი საყვედურიც კი არ მიუციათ, ანუ წარმოადგენდა თუ არა მხოლოდ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შეუსრულებლობა ყველა შემთხვევაში საჯარო მოსამსახურის მიმართ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის უმაღლესი ზომის – სამსახურიდან განთავისუფლების – გამოყენების საფუძველს. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, ის გარემოება, რომ მოსარჩელის მსგავსად მრავალმა თანამშრომელმა არ განახორციელა სამინისტროს კანონით დადგენილ ვადაში ინფორმირება შევებულებაში გასვლასთან დაკავშირებით, არ გულისმობს, რომ მოსარჩელის მოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ცალსახად კანონშესაბამისი და პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრეამბულის მიხედვით, ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. მითითებული კანონით განსაზღვრულია, საჯარო მოსამსახურის როგორც უფლებები, ასევე მოვალეობები, ის შეღავათები და გარანტიები, რაც საჯარო სამსახურის განხორციელებისის საჯარო მოხელისათვის არის უზრუნველყოფილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსის მ. კ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება უდავოდ წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაგრამ სამინისტრომ ვერ დაასაბუთა, რამდენად წარმოადგენდა შევებულებამდე ერთი კვირით ადრე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი შეუტყობინებლობა უხეშ დარღვევას, რომელიც შეიძლება საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველი გამხდარიყო, სხვა საფუძველი კი მ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებული არ არის. მით უფრო, რომ მ. კ-ის მიმართ სხვა პრეტენზიების არსებობის ფაქტი არც საქმის მასალებით და არც მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებით არ დასტურდება. ამასთან, საქმეში არსებული ურთიერთგამომრიცხავი ცნობების მიუხედავად არ იქნა გამოკვლეუ-

ლი, შვებულების თაობაზე ერთი კვირით ადრე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი შეუტყობინებლობით, რეალურად რა ზიანი მიადგა ქ. ... საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს.

საკასაციო სასამართლო დამატებით იმ გარემოებაზეც მიაქცევს ყურადღებას, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 23 აპრილის №425/კ ბრძანება „მ. კ-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – სამსახურიდან განთავისუფლების – გამოყენების შესახებ“ გამოცემულ იქნა 2008 წლის 23 აპრილს, ხოლო აღნიშნულთან დაკავშირებით დაწერილი მ. კ-ის ახსნა-განმარტებითი ბარათი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესული იყო 2008 წლის 24 აპრილს, რასაც ასევე შეფასება უნდა მისცეს სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერად მიჩნევისათვის იგი ერთდროულად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით რეგლამენტირებულ ყველა ლეგალურ დანაწესსა და იმპერატიულ მოთხოვნას, რათა ობიექტურად გამოირიცხოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ხოლო თუ იგი ეწინააღმდეგება ამა თუ იმ კანონს, სახეზე იქნება დასახელებული მუხლის პირველი ნაწილით რეგლამენტირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ წინამდებარე დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმები და არ იმსჯელა მთავარ საკითხზე – რამდენად წარმოადგენდა „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ტიპური დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „თ¹“ ქვეპუნქტის შეუსრულებლობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უხეშ დარღვევას; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებისას დაცული იქნა თუ არა საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი და კანონიერად მოხდა თუ არა სამსახურიდან მ. კ-ის გათავისუფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2011 წლის 13 მაისს „საჯარო სამსახურის შესახებ კანონის“ 127-ე მუხლს (დავის გადაწყვეტა სასამართლო წესით) დაემატა მე-6 პუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გამოცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სასამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური ხელფასი არ ანაზღაურდება. ამასთან, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ყველა სამართალური თვითობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოხელე აღდგენილ იქნა სამსახურში და მას მიეცა განაცდური ხელფასი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას შეფასება უნდა მისცეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებას, შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების შეფასებისა და კანონის სწორი განმარტების საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავ კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სრულყოფილად უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, რისთვისაც სააპელაციო სა-

სამართლოს შეუძლია გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს განათლები-სა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გა-საჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანამდებობაზე დანიშვნა

განჩინება

№ბს-707-673(კ-07)

15 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: თანამდებობაზე დანიშვნა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 2 აგვისტოს თ. რ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკონ-კურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 7 მაისის №1 ოქმის საფუძველზე, ... კანდიდატურაზე საკონ-კურსო-საატესტაციო კომისიამ ექვსი ხმით დაასახელა თ. რ-ე. მოსარჩელემ „საჯარო სამსახურის შესა-ხებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარადგინა, თუმცა აჭა-რის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 29 ივნისის ბრძანების საფუძველ-ზე, თ. რ-ეს უარი ეთქვა ... თანამდებობაზე დანიშვნაზე. აღნიშნული უარის საფუძველად შრომის წიგნაკში, კადრების აღრიცხვის პირად ფურცელსა და სხვა დოკუმენტების ჩანაწერებში არსებული უზუსტობები, კერძოდ შრომის წიგნაკში შრომითი სტაჟის 3 წლით გაზრდა მიეთითა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1988 წლის 4 სექტემბერს იგი ნამდვილად დაინიშნა მე-... საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, საიდანაც იგი პირადი განცხადების საფუძველზე 1995 წლიდან განთავისუფლდა. შრომის წიგნაკში სკოლიდან გათავისუფლების თარიღად მითითებული იყო 1998 წლის 20 აგვისტო, რაც მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდა.

ამდენად, მოსარჩელემ თ. რ-ის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 29 ივნისის №271 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის თ. რ-ის ... დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. რ-ის სარჩელი დაკმა-ყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მი-ნისტრის 2005 წლის 29 ივნისის №271 ბრძანება და მოპასუხეს თ. რ-ის ... დანიშვნის საკითხის განხილვა დაევალა; მოსარჩელეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდე-ბულებაზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასა-ჩივრა თ. რ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარ-ჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 მარტის გა-დაწყვეტილებით თ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამარ-თლოს 2005 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-

ტის გამოცემის დავალდებულებაზე უარის თქმის ნაწილში; აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თ. რ-ის აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ... და-ნიშვნის შესახებ ბრძანების გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თ. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 თებერვლის განჩინებით აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით თ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში; თ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოცემული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, თ. რ-ის სამუშაოზე მონყობის თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 29 ივნისის №271-ე ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში მოპასუხე სამინისტროს მიერ არ გასაჩივრებულა, ამდენად, ამ ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მე-... სკოლის 1995 წლის 12 აპრილის №66 ბრძანებით პირადი განცხადების საფუძველზე, თ. რ-ე 1995 წლის 1 მარტიდან განთავისუფლდა თანამდებობიდან. მე-... სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 4 ივლისის ცნობის თანახმად, შრომის წიგნაკში აღნიშნული 1998 წლის 20 აგვისტო სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და წარმოადგენდა მექანიკურ შეცდომას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ყალბი შრომის წიგნაკის დამზადება გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობდა გამოძიება, თუმცა კონკრეტული პირის ბრალდება მოცემულ ეტაპზე გამოვლენილი არ იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტზე, რომლის თანახმადაც, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებდა ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებდა კანდიდატის წამოყენებაზე. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 2005 წლის 7 მაისის №1 ოქმით ... თანამდებობის დასაკავებლად წარადგინა თ. რ-ის კანდიდატურა ექვსი ხმით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტებზე და განმარტა, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებული კანდიდატი ინიშნებოდა თანამდებობაზე, თუ იგი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირს წარუდგენდა ამ კანონის 25-ე მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებას. თანამდებობაზე დანიშვნისას საჭირო იყო ამ კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნათა შესრულება, ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით კი, ამ დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება პირის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. რ-ემ წარადგინა კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, კონსულტაციის ანკეტა და შრომის წიგნაკი. აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის დროს ... თანამდებობა იყო ვაკანტური, თუმცა მისი დანიშვნა ამ თანამდებობაზე არ მომხდარა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 10 აპრილის №124 ბრძანებით დასტურდებოდა, რომ აჭარის ა/რ მთავრობის 2007 წლის 3 აპრილის №40 დადგენილებით დამტკიცდა სამინისტროს ახალი დებულება. ამავე დადგენილებით შეიცვალა სამინისტროს სტრუქტურა და დამტკიცდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ახალი სამტატო ნუსხა, რომელშიც არ მოიაზრებოდა ... თანამდებობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით აპელანტმა თ. რ-ემ სააპელაციო სასამართლოში დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისათვის ამავე სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში, შესაბამის თანამდებობაზე მისი დასაქმების შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, ზემოაღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა სცილდებოდა მის უწყებრივ კომპეტენციას და განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი და ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა თ. რ-ის სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში დასაქმების შესაძლებლობაზე. კერძოდ, დაედგინა,

თუ რა საშტატო ერთეული იყო გათვალისწინებული სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტში და ხომ არ იყო მოსარჩელის მიერ კონკურსში გამარჯვების გზით მოპოვებული ... თანამდებობის ანალოგიური თანამდებობა ახალი განრიგით, ან ხომ არ იყო შესაფერისი სამსახური და თ. რ-ის თანხმობის პირობებში გამოეცა შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ქუთაისის საპედაგოგო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თ. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე და 26-ე მუხლის მოთხოვნები. კერძოდ, ამ კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კანონით დადგენილი დოკუმენტების წარუდგენლობა შეიძლება პირის სამსახურში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო. თ. რ-ის მიერ კი კანონმდებლობით დადგენილი წესით არ იყო აღმოფხვრილი მის დოკუმენტებში არსებული ხარვეზები და არც გამოძიების მიერ არ იყო დადგენილი დოკუმენტის გაყალბების არარსებობის ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განჩინებით აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება თ. რ-ის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ივნისის განჩინებით აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარზე განხლდა საქმის წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 7 მაისის №1 ოქმის საფუძველზე, ... კანდიდატურაზე საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ექვსი ხმით დასახელდა თ. რ-ე, თუმცა აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 29 ივნისის №271 ბრძანების საფუძველზე, მას უარი ეთქვა ... თანამდებობაზე დანიშვნაზე. აღნიშნული უარის საფუძვლად შრომის წიგნაკში, კადრების აღრიცხვის პირად ფურცელსა და სხვა დოკუმენტების ჩანაწერებში არსებული უზუსტობები, კერძოდ, შრომის წიგნაკში შრომითი სტაჟის 3 წლით გაზრდა მიეთითა. მე-... სკოლის 1995 წლის 12 აპრილის №66 ბრძანებით თ. რ-ე პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. მე-... სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2005 წლის 4 ივლისის ცნობის თანახმად კი, შრომის წიგნაკში აღნიშნული განთავისუფლების თარიღი – 1998 წლის 20 აგვისტო სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და მექანიკურ შეცდომას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად განმარტავს, რომ ვინაიდან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2005 წლის 29 ივნისის №271 ბრძანების ბაზაზე ცნობის ნაწილში კანონიერ ძალაში არის შესული, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მხოლოდ აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თ. რ-ის სამუშაოზე მოწყობის შესახებ, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების კანონიერება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2005 წლის 3 აგვისტოს აჭარის ა/რ შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოში დაინყო ნინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, თ. ს. ასულ რ-ის მიერ ყალბი შრომის წიგნაკის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განჩინებით აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება თ. რ-ის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2011 წლის 17 მაისს აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს წარმოდგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 თებერვლის განაჩენი, თბილისის საპედაგოგო სა-

სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებები. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 თებერვლის განაჩენით თ. ს. ასული რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, თ. რ-ეს დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 მაისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 თებერვლის განაჩენი თ. რ-ის მიმართ დარჩა უცვლელი, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 17 ნოემბრის განჩინებით მსჯავრდებულ თ. რ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ქ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით თ. რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ ყალბი შრომის წიგნაკის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, რაც მოცემული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეაფასოს ახალი მტკიცებულებები, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე ხელახლა უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რა დროსაც შეუძლია ისარგებლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილია თ. რ-ის სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გამოიკვლიოს საქმეში არსებული ახალი ფაქტობრივი გარემოებები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლებით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეიარაღებული ქალაქიდან დათხოვნის საფუძველი

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელით**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 3 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა დ. ბ-მა მოპასუხის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2010 წლის 10 ნოემბრის №8/9682 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის საქართველოს თავდაცვის მინისტროს 2007 წლის 24 ოქტომბრის №3801 ბრძანებაში დ. ბ-ის დათხოვნის საფუძვლის შესწორების დავალებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დ. ბ-ი 2006 წლის 20 აპრილიდან ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე სამხედრო სამსახურს გადიოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში;

დ. ბ-ი გამოკვლევასა და მკურნალობაზე სსიპ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფებოდა 2007 წლის 26 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე, ხოლო ფსიქიატრიული კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა 2007 წლის 8 აგვისტოს;

დ. ბ-ის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის თაობაზე მასალები წარდგენილია 2007 წლის 18 სექტემბრის I ქვეითი ბრიგადის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის №19 სხდომის ოქმის საფუძველზე;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ძალების I ქვეითი ბრიგადის საინჟინრო-ქიმიური ასეულების საინჟინრო-ქიმიური ოცეულის წყალმომარაგების ათეულის წყალმომარაგებელი, კაპრალი დ. ბ-ი ჩაითვალა დათხოვნილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სახედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) თანახმად 2007 წლის 3 აგვისტოდან, შტატი №8/669-01;

2010 წლის 6 ოქტომბერს მოსარჩელე მხარემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 24 ოქტომბრის №3801 ბრძანებაში დ. ბ-ის დათხოვნის საფუძველად „სახედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის ნაცვლად „სახედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის (ავადმყოფობის გამო) მითითების მოთხოვნით, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 24 ოქტომბრის №3801 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

მხარეები სადავოდ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ დ. ბ-ი კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას უვარგისი შეიქმნა სამხედრო ნაწილში სამსახურისათვის.

სახმელეთო ჯარების სარდლობის I ქვეითი ბრიგადის 2010 წლის 5 ნოემბრის №6757 წერილით დასტურდება, რომ დ. ბ-ს არ უხდებოდა შეხება ქიმიურ შენაერთებთან.

საქმეში წარმოდგენილი №1597 ავადმყოფობის მოწმობის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას დ. ბ-ის მიერ ადგილი არ ჰქონია იმ სახის დაზიანების მიღებას, რაც შეუძლებელს გახდიდა მის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების I ქვეითი ბრიგადის საინჟინრო-ქიმიური ასეულების საინჟინრო-ქიმიური ოცეულის წყალმომარაგების ათეულის წყალმომარაგებლად სამსახურის გაგრძელებას.

მხარეები სადავოდ ხდიდნენ იმ გარემოებას, რომ დ. ბ-ი 2007 წლის 3 აგვისტოდან იმყოფებოდა თვითდათხოვნაში.

საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 3 აგვისტოდან დ. ბ-ი იმყოფებოდა თვითდათხოვნაში და არ დაბრუნებულა სამხედრო ნაწილში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლში განხორციელებულ ცვლილებებზე დაყრდნობით, არ მიანიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2010 წლის 10 ნოემბრის №8/9682 წერილი, ასევე 2007 წლის 24 ოქტომბრის №3801 ბრძანება შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციის ყველა ელემენტს, რაც მათი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე დაყრდნობით სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების ან დამატებების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით;

სასამართლომ იხელმძღვანელა ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, მხარეთა შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ 2006 წლის 20 აპრილს გაფორმებული კონტრაქტის 6.1.1. პუნქტის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, დასახული ამოცანები და განუხრელად დაემორჩილოს მეთაურის ბრძანებებსა და განკარგულებებს, ზუსტად და დროულად შეასრულოს ისინი“; ამავე ხელშეკრულების 6.2 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია მტკიცედ დაიცვას სამხედრო ფიცის, წინამდებარე ხელშეკრულებისა და სამხედრო თუ საბრძოლო წესდებების მოთხოვნები, ერთგულად ემსახუროს საქართველოს, შეასრულოს მხედრული მოვალეობა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ბ-მა თვითდათხოვნაში ყოფნით დაარღვია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ 2006 წლის 20 აპრილს გაფორმებული კონტრაქტის პირობები.

სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის 2006 წლის 20 აპრილს გაფორმებული კონტრაქტის 9.1.14 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, თუ სამხედრო მოსამსახურე სისტემატიურად ან ბრალეულად არღვევს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ან შესაბამისი სამხედრო თუ საბრძოლო წესდებით დადგენილ ვალდებულებებს. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველს წარმოადგენს კონტრაქტის პირობების დარღვევა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ შემოაღწიშნული გათვალისწინებით, ჩათვალა, რომ მოპასუხე მხარეს ჰქონდა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი დ. ბ-ის სამსახურიდან დათხოვნისათვის.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლი, რომელზე დაყრდნობითაც განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ადასტურებს 2010 წლის 10 ნოემბრის №8/9682 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობას, ხოლო მოსარჩელე ვერ აბათილებს მის დასაბუთებას, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადებით და მასში მოყვანილი ფაქტების სინამდვილესთან შესაბამისობაში.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-მა.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებასა და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მარტის განჩინებით დ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებები, აგრეთვე დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და დამატებით მიუთითა „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 1-ლ პუნქტზე, რომლის თანახმად სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომლის ერთ-ერთ სახეობას საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახური წარმოადგენს.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მე-6 თავის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საკონტრაქტო (პროფესიული) სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებად ითვლებიან პირები, რომლებიც გადიან სამხედრო სამსახურს ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელზეც ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დ. ბ-ის მიერ დაირღვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ 2006 წლის 20 აპრილს გაფორმებული კონტრაქტის პირობები. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რაც მოპასუხე მხარეს, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე უფლებას აძლევდა დ. ბ-ი აღნიშნული საფუძველით დაეთხოვა სამსახურიდან.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ბ-მა.

კასატორი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუნდამენტური პრინციპები.

კასატორის მითითებით ის კეთილსინდისიერად ასრულებდა სამხედრო სამსახურს, ვიდრე ჯანმრთელობის მდგომარეობამ არ შეუშალა ხელი. მას თავისი ინიციატივით და ბრალეული ქმედებით არ შეუწყვეტია კონტრაქტი. შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლზე მითითება დ. ბ-ის ქმედებასთან მიმართებით დაუსაბუთებლად მიიჩნია.

კასატორის მოსაზრებით, ავადმყოფობის მოწმობა და სახმელეთო ჯარების სარდლობის I ქვეითი ბრიგადის 2010 წლის 5 ნოემბრის №6757 წერილი სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული, კერძოდ ავადმყოფობის მოწმობაში გამოყოფილი არ არის კონკრეტული ქიმიური ნაწილი, (ბ-ისათვის დაუშვებელია სამსახურის გაგრძელება ქიმიურ ნაწილში) თუ თანამდებობა, ხოლო მითითებული წერილი მხოლოდ მოსაზრებას შეიცავს.

კასატორის მითითებით მასსა და დამსაქმებელს შორის შედგა ზეპირი შეთანხმება მკურნალობის სახლის პირობებში გაგრძელებასთან დაკავშირებით, რის გამოც აღარ მიუმართავს ხელმძღვანელთათვის ოფიციალურად სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა, რომ ბ-ი 3 აგვისტოდან ითვლებოდა თვითდათხოვნაში მყოფად, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ იგი 8 აგვისტოს იმყოფებოდა ფსიქიატრიულ შემონმებაზე ჰოსპიტალში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

კასატორი დ. ბ-ი 2006 წლის 20 აპრილიდან ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე სამხედრო სამსახურს გადიოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში;

სამხედრო ნაწილი №10143-ის მეთაურის №2464 მიმართვის საფუძველზე დ. ბ-ი 2007 წლის 26 ივლისიდან 2007 წლის 3 აგვისტომდე გადიოდა გამოკვლევისა და მკურნალობის კურსს სსიპ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში;

დ. ბ-ის ფსიქიკური მდგომარეობა ფსიქიატრიული კომისიის მიერ შემონმდა 2007 წლის 8 აგვისტოს;

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 24 ოქტომბრის №3801 ბრძანების საფუძველზე დ. ა. ბ-ი ჩაითვალა დათხოვნილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო) თანახმად 2007 წლის 3 აგვისტოდან;

დ. ბ-ის შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნას საფუძველად დაედო I ქვეითი ბრიგადის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის 2007 წლის 18 სექტემბრის №19 სხდომის ოქმი;

2010 წლის 6 ოქტომბერს კასატორმა განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომლის საფუძველზეც ითხოვა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 24 ოქტომბრის №3801 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ დათხოვნის საფუძველად ნაცვლად „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა ამავე კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის (ავადმყოფობის გამო) მითითება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2010 წლის 10 ნოემბრის №8/9682 წერილით კასატორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა;

კასატორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ასევე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოთა მიერ.

საკასაციო სასამართლო უარის თქმის მოტივებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქმის სამართლებრივი შეფასება არ შეესაბამება ფაქტობრივ საფუძველს, რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულება, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მათი კანონიერების შემონმების პროცესში სასამართლოსათვის განმსაზღვრელი უნდა იყოს თავად საფუძველი – „ხელშეკრულება (კონტრაქტი) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. ამასთან ზოგა-

დი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯერჯერობდა, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ცალსახაა, რომ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა ნიშნავს ვალდებულების დარღვევას. თუმცა სხვა საკითხია მოჰყვება თუ არა მას მოვალის პასუხისმგებლობა, რაც წინამდებარე შემთხვევაში გაანალიზებული არ არის.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობისათვის განმსაზღვრელია არა ბრალი, არამედ არამართლობიერი მოქმედება, რაც დამოკიდებული არაა მოვალის ცნობიერების ხასიათზე, ანუ იმაზე მოვალე აცნობიერებდა თუ არა თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს.

იქ სადაც არსებობს პასუხისმგებლობა არსებობს მისი გამომრიცხველი გარემოებანიც, რომელთაც სამოქალაქო კოდექსი უკავშირებს შესრულების შეუძლებლობას. შესრულების შეუძლებლობა დაკავშირებულია ამა თუ იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან. მისი თვისება და თუნდაც თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ შესრულების შეუძლებლობა ყველა შემთხვევაში ათავისუფლებს მხარეს ვალდებულების რეალური შესრულებისაგან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ პირობით თუ შესრულების შემდგომი შეუძლებლობა გამოწვეულია მხარის არაბრალეული მოქმედებით, თავისთავად გამოირიცხება მისი პასუხისმგებლობის დადგენის შესაძლებლობაც.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისას დ. ბ-ის მიერ მიღებული დაზიანება მას აძლევდა ქიმიურ ბატალიონში სამსახურის გაგრძელების ანუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისა და არარსებობის შესახებ.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, სასამართლო შეფასებისა და დასკვნის წარმოდგენის პროცესში ვალდებულია დაეყრდნოს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რა სახის მტკიცებულებადაც ვერ მიიჩნევა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს I ქვეითი ბრიგადის შტაბის უფროსის მ/შემსრულებლის მოსაზრება (ვარაუდი) იმის თაობაზე, რომ კასატორს დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე არ უხდებოდა შეხება ქიმიურ შენაერთებთან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ №1597 ავადმყოფობის მოწმობას, რომელშიც ცალსახაააა მითითებული, რომ დ. ბ-ი უვარგისია ქიმიურ ნაწილებში სამსახურისათვის, რაც ნიშნავს იმას, რომ კასატორი არ უნდა იყოს დასაქმებული ქიმიურ ნაწილში და მისი ამ ნაწილში დასაქმების საკითხი არ შეიძლება დამოკიდებულ იყოს ამა თუ იმ პირის და თუნდაც სასამართლოს მიხედულებაზე.

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებას არ გააჩნია პრეიუდიციული მნიშვნელობა, თუმცა საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დაუშვებელია მისი როგორც მტკიცებულების უარყოფა, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო იგივე გარემოება, რაც გახდა დ. ბ-ის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული დადგენილების არსებობა წარმოადგენს უპირობო საფუძველს ადმინისტრაციულმა ორგანომ იმსჯელოს პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებებზე.

იმ ვითარებაში, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილიააა მიჩნეული ფაქტი იმის თაობაზე, რომ ფსიქიატრიულმა კომისიამ დ. ბ-ი შეამოწმა 2007 წლის 8 აგვისტოს და ეს ფაქტი პროცესუალური მოწინააღმდეგის მხრიდან უარყოფილი არ არის შესაბამისი წესით, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს I ქვეითი ბრიგადის მუდმივმოქმედი სამანდატო კომისიის სხდომის ოქმში ჩანაწერს იმის თაობაზე, რომ დ. ბ-ი 2007 წლის 3 აგვისტოდან იმყოფებოდა თვითდათხოვნაში.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დ. ბ-ის განცხადება შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის №3801 ბრძანების საფუძვლის შეცვლის თაობაზე თავისი შინაარსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ საჩივარს, რა პირობებშიაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 თავით დადგენილი მოთხოვნები და საკითხის განხილვა აწარმოოს ყველა გარემოების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მისთვის უდავოდ ცნობილი იყო სამხედრო სამედიცინო კომისიის დასკვნის არსებობის ფაქტი, რომელიც მართალია ადგენს დ. ბ-ის ვარგისიანობას უმნიშვნელო შეზღუდვით, მაგრამ ფაქტობრივად შეიცავს სამხედრო სამსახურის სრულ ჩამონათვალს, რომელშიც სამსახურისათვის კასატორი მიჩნეულია არავარგისად. ასეთ პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოს მსჯელობის საგნად უნდა იქცეს არსებობდა თუ არა კონტრაქტის პირობების დარღვევის მოტივით პირის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი და ამ ვითარებაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხდრიდან დაცულია თუ არა ხელშეკრულების 9.1 და 9.1.1 მუხლების მოთხოვნები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელებია ადმინისტრაციული წარმოება, არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალოს დ. ბ-თან დაკავშირებით საქმის გარემოებათა სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მარტის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2010 წლის 10 ნოემბრის №8/9682 და 2007 წლის 24 ოქტომბრის №3801 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და თავდაცვის სამინისტროს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ დ. ბ-ის მიმართ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სახელფასო და პრემიის თანხის დავალიანება

კრედიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა ვალის აღიარების გამო

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ

№ბს-1197-1164(კ-10) 1 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძის და ნ. ნ-ძის წარმომადგენელმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს პარლამენტის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა მათ მიმართ არსებული კრედიტორული დავალიანების, კერძოდ: ე. ნ-ძისათვის – 838 ლარის, რ. მ-ძისათვის – 838 ლარის, ე. ჯ-ძისათვის – 838 ლარის, ა. ბ-ძისათვის – 838 ლარის, ნ. ნ-ძისათვის ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხის – 1000 ლარისა და სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხის – 1365,80 ლარის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

ე. ნ-ძე, რ. მ-ძე, ე. ჯ-ძე და ა. ბ-ძე 1999-2004 წლებში იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრები და არ მიუღიათ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის ნოემბრის თვის 10 დღისა და 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხა – 838 ლარი, ხოლო ნ. ნ-ძე იყო 1995-1999 და 1999-2004 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი და არ მიუღია საქართველოს პარლამენტის 1998 წლის X-XI თვეებისა და 1999 წლის III-IV-V-VI-VII-VIII-IX-X თვეების ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხა – 1000 ლარი და 1999 წლის IX-X-XI თვეებისა და 2003 წლის XI-XI-XII თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხა – 1365 ლარი.

სარჩელის სამართლებრივი საფუძველები:

მოსარჩელემ საქართველოს კონსტიტუციის 30.4 და 53.3 მუხლების, „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილის საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხემ – საქართველოს პარლამენტმა სასარჩელო განცხადება არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელი-სათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

მოპასუხის განმარტებით, სადავო დავალიანება წარმოადგენდა სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელ თანხას და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. ამასთან, მოპასუხემ მოითხოვა ასკ-ის მე-16 მუხლის შესაბამისად, საქმეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მესამე პირად ჩაბმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 აპრილის საოქმოდ განჩინებით საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ასკ-ის მე-16 მუხლის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრება კანონით. პარლამენტის წევრს ეძლევა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით სხვა ანაზღაურებაც.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის თანახმად, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებანი, იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პარლამენტის წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ანაზღაურება მოიცავს ხარჯებს: საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით ქ. თბილისის სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის, სამსახურებრივი მიზნით ქ. თბილისის ფარგლებში ტრანსპორტით მგზავრობისათვის, ამ კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩეველებთან შეხვედრისას (გარდა სპეციალური მივილინებისა), სამედიცინო, სატელეფონო, საფოსტო და სატელეგრაფო მომსახურებისათვის, თანაშემწის აყვანისათვის, სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და ექსპერტიზისათვის.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხელფასის გაცემა იწყება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დადასტურების დღიდან და მთავრდება შესაბამისი მოწვევის პარლამენტის ან მისი, როგორც პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტამდე. სასამართლოს მოსაზრებით, შრომის უფლების დაცვა და შრომის სამართლებრივი ანაზღაურება აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კრედიტორული დავალიანება არ წარმოადგენს სახელფასო დავალიანებას, ეს არის – სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის, ხოლო მოსარჩელე ნ. ნ-ძის შემთხვევაში, ასევე – ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხის კრედიტორული დავალიანება, ანუ ხელფასისაგან სრულიად დამოუკიდებელი ცალკე გასაცემელი თანხების დავალიანებაა.

სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა და ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხა არის დანამატები, რომლებიც წარმოადგენენ მოსამსახურის უზრუნველყოფის სახეს და ხელფასზე დანამატს, ამდენად, მის მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის აპარატის 2009 წლის 30 სექტემბრის №9808/3-1, №9809/3-1, 2009 წლის 7 სექტემბრის №8674/3-1, 2009 წლის 27 ოქტომბრის №10896/3-1 და 2009 წლის 18 ნოემბრის №11856/3-1 წერილებს, სასამართლოს განმარტებით, მას მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი აქვს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენელმა ზ. ქ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილება.

მონინალმდევე მხარემ – საქართველოს პარლამენტმა სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხანდაზმულობის მოცივით.

ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენელმა დამატებითი სააპელაციო საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლო, რომელშიც მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

აღნიშნულის მიუხედავად სასამართლომ არ გამოიყენა დადგენილი ნორმები, არასწორად განმარტა ისინი და ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისა და დასაბუთების გარეშე აუარა გვერდი გადაწყვეტილების კანონიერებისათვის უმნიშვნელოვანეს გარემოებებს.

აპელანტის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უხეშად დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი, როდესაც გაიზიარა მოპასუხის პოზიცია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად ხანდაზმულობის ვადის გასვლის შესახებ, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, უნდა გამოერკვია, თუ როდის მიიღეს უარი დავალიანების გადახდაზე და რა მომენტიდან წარმოიშვა მოთხოვნა, ანუ როდიდან დაიწყო სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა.

იმ პერიოდში მოქმედი ნორმატიული აქტები ცალსახად აღიარებდა დავალიანების არსებობას და ითვალისწინებდა მისი დაფარვის წესს. კერძოდ, 2006 წელს მიღებული „საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლით დამტკიცებული ასიგნებები იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული აღნიშნული მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ შესაბამის დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. მოსარჩელები ელოდნენ დავალიანების დაფარვას და მათი უფლებების იძულებით დაცვას არ აპირებდნენ, მაგრამ 2007 წლის 23 მაისის პარლამენტის სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან მათთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტი დავალიანების დაფარვას არ აპირებდა. რის შემდეგაც მოსარჩელებმა დადგინდეს ვადაში მიმართეს კიდევ სასამართლოს უფლებების დასაცავად.

აღნიშნული გარემოების გამორკვევისა და შესაბამისი მტკიცებულების შეფასების ნაცვლად სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელებს მოთხოვნის უფლება 1998-1999-2003 წლებში წარმოემართათ. სასამართლომ არ განმარტა და არ დაასაბუთა, თუ რა მოსაზრებით მივიდა ამ დასკვნამდე, რის გამოც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ პუნქტების მოთხოვნები, რაც გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა. სასამართლოს მიერ შესაბამისი კანონის გამოყენების შემთხვევაში ცალსახა იქნებოდა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდებოდა.

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს მიერ ასევე დაირღვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, რომლებიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც გამოაქვს დასკვნა.

საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს. გასამრჯელოს ოდენობა და შემადგენლობა რეგულირდება ისეთი სპეციალური კანონებით, როგორებიცაა: „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურებისა“ და „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონები. „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრება კანონით. პარლამენტის წევრს ეძლევა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება, ანუ სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც, რომ შრომითი გასამრჯელოს ნაწილია კანონის ობიექტური ინტერპრეტაციით ცალსახად დასტურდება. ასეთი ინტერპრეტაციის სისწორეს ასევე ადასტურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის სათაური და 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო და ხელფასი იდენტური ცნებებია, აღნიშნული მუხლი ასევე ადასტურებს, რომ შრომის გასამრჯელო ანუ ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, სულ – 3 კომპონენტს.

აპელანტის განმარტებით, „სხვა დანამატები“ სასამართლოს მიერ განხილული უნდა ყოფილიყო ხელფასის ანუ გასამრჯელოს შემადგენელ ნაწილად, სარგოს დანამატად. შესაბამისად დანამატის ხელფასისგან დამოუკიდებლად განხილვა კანონსაწინააღმდეგოა. ვინაიდან დანამატის, როგორც განსაზღვრული სამართლებრივი კატეგორიის, კერძოდ, გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელი ნაწილის ბუნებას ვერ შეცვლის და ვერც სხვა სახის სამართლებრივ კატეგორიად ვერ ჩამოაყალიბებს ის გარემოება, რომ იგი პერიოდულად გაცემა.

უდავოა, რომ მოსარჩელები საქართველოს პარლამენტთან შრომით ურთიერთობებში იმყოფებოდნენ და არა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ეს შრომითი ურთიერთობები რეგულირდება ქვეყნის ძირითადი კანონით და საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტებით. პარლამენტის წევრების, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობა რომ ითვლება შრომით ურთიერთობებად, დასტურდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლებით, რომლებიც ვრცელდება მოსარჩელებზე (ყოფილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, ეს მუხლებია: 1-ლი, მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 71-ე, 121-ე.)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები კი შეეხება ხელშეკრულებიდან და არა შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. ვინაიდან

მოსარჩელებსა და საქართველოს პარლამენტს შორის არანაირი ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა მათზე ვერ გავრცელდებოდა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დადგენილი 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინებით ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ამასთან, დამატებით აღნიშნა, რომ სადებუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა წარმოადგენს ხელფასისგან დამოუკიდებელ ფულად გასაცემელს, რომელზეც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. უდავოა, რომ აპელანტებს სარჩელის წარდგენის დროისათვის ეს ვადა გაშვებული ჰქონდათ.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლის დანაწესის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ნორმით რეგლამენტირებულ იქნა საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი ხელფასის დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ, ვინაიდან სადებუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს, ზემოაღნიშნული ნორმა აღნიშნულ კომპენსაციის გაცემაზე არ გავრცელდება.

რაც შეეხება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას, სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხელფასი და სხვა ანაზღაურება, თუ ეს კანონით დაწესებულია, საქართველოს საჯარო სამსახურში გაიცემა, როგორც წესი, თვეში ერთხელ. საქართველოს პარლამენტის წევრისათვის მისი გაცემა მოწესრიგებულია საქართველოს კანონის „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის იმავე მუხლის იმავე ნაწილით, რომელთა მიხედვით „ხელფასის გაცემა იწყება პარლამენტის წევრის უფლებამოსილების დადასტურების დღიდან და მთავრდება შესაბამისი მონვევის პარლამენტის და მისი, როგორც პარლამენტის წევრის, უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე. შესაბამისად, პარლამენტის წევრის მიმართ არსებული დავალიანების გამო მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ თვის შესაბამისი დღის მომდევნო დღიდან, როდესაც პარლამენტის წევრმა ვერ მიიღო ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენელმა – ზ. ქ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, შემდეგი საფუძველებით:

კასატორის მითითებით, როგორც თბილისის სააპელაციო ასევე, საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილება ეფუძნება ორ პოსტულატს, პირველი მდგომარეობს იმაში, რომ პარლამენტის ყოფილი წევრების მიერ მოთხოვნილი თანხები წარმოადგენს არა შრომის გასამრჯელოს – ხელფასის ნაწილს, არამედ კომპენსაციის სახეს. მოთხოვნილ თანხებს (კრედიტორულ დავალიანებას) თბილისის საქალაქო სასამართლო ასევე არ მიიჩნევს სახელფასო დავალიანებად, მაგრამ განსხვავებით თბილისის სააპელაციო სასამართლოსაგან მას არა კომპენსაციის, არამედ უზრუნველყოფის სახეს უწოდებს კომპენსაციის და უზრუნველყოფის, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტების სახეებს შორის არსებითი განსხვავებაა. კომპენსაციის ინსტიტუტი გამოიყენება ზიანის ანაზღაურებისათვის, ანუ ადგილი უნდა ჰქონდეს ზიანს, რომ პირს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება წარმოეშვას. ხოლო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ვალდებულების შესრულებისათვის გამოიყენება და არა ზიანის ანაზღაურებისათვის, რასაც ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო პირგასამტეხლოს, როგორც უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების უფლება ვალდებულების შესრულებასთან ან მისი შეუსრულებლობის გამო კომპენსაციის მოთხოვნის უფლებასთან ერთად შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნეს გამოყენებული, როდესაც მოვალე თავის ვალდებულებას დადგენილ დროში არ შეასრულებს. ამრიგად ცალსახაა, რომ წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება (იგულისხმება მოსარჩელების კუთვნილი 1999 წლის ნოემბრისა და 2003 წლის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეების სახელფასო დავალიანება – 838.00 ლარის ოდენობით) ერთდროულად ვერ იქნება კომპენსაციისა და უზრუნველყოფის სახე. ეს ნათლად წარმოაჩენს იმ განსხვავებას, რა განსხვავებაც არ იძლეოდა იმის უფლებას, რომ სააპელაციო სასამართლო დასთანხმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს.

სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით არა მარტო დაარღვია საპროცესო ნორმები და არ შეაფასა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, არამედ არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად არ შეაფასა საქმის გარემოებები, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

კერძოდ, საქართველოს ძირითადი კანონის საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს. გასამრჯელოს ოდენობა და შემადგენლობა (კომპონენტები) რეგულირდება ისეთი სპეციალური კანონებით, როგორებიცაა: „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების“ და „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონები. „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 24.1 მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრს ხელფასთან ერთად ეძლევა სადეპუტატო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც, ანუ სადეპუტატო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც რომ შრომითი გასამრჯელოს ნაწილია, კანონის ობიექტური ინტერპრეტაციით ცალსახად დასტურდება. სიტყვები: „ხელფასთან ერთად სხვა ანაზღაურებაც“ ადასტურებს ამ განმარტების სისწორეს. საფუძველი ანაზღაურებისა არის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელება, რისი თავდაპირველი საფუძველიც უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო შრომითი საქმიანობაა.

კასატორის განმარტებით, ინტერპრეტაციის სისწორეს ასევე ადასტურებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იყოს შრომითი გასამრჯელოს ტერმინის შინაარსის განსამარტავად და არა ყოფილ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან შრომის ანაზღაურების ურთიერთობების დასარეგულირებლად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის სათაურით და 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო და ხელფასი იდენტური მნიშვნელობის მცნებებია. მუხლის სათაურში, შრომითი გასამრჯელოს გასწვრივ ფრჩხილებში ხელფასის მიწერა, ადასტურებს, კანონმდებლის ნებას, რომ ეს ორი სიტყვა ერთი მნიშვნელობით იქნეს გაგებული. სხვა შემთხვევაში გასამრჯელოს გვერდით სიტყვა ხელფასის მიწერა არ მოხდებოდა. ამ აზრის სისწორეს 37-ე მუხლის სათაურის გარდა ადასტურებს მისი 1-ლი პუნქტიც, რომლის მიხედვითაც შრომითი გასამრჯელო ანუ ხელფასი მოიცავს „თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დანესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს“ ანუ სულ – სამ კომპონენტს.

„სხვა დანამატები“ სასამართლოს მიერ განხილულ უნდა ყოფილიყო შრომითი გასამრჯელოს ანუ ხელფასის შემადგენელ ნაწილად, სარგოს დანამატად, რადგან თავად კანონი („საჯარო სამსახურის შესახებ“ 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტი) განსაზღვრავს დანამატის, როგორც კონკრეტული სახის სამართლებრივი კატეგორიის, სტატუსს. შესაბამისად, დანამატების ხელფასისგან დამოუკიდებლად განხილვა კანონსაწინააღმდეგოა. ვინაიდან დანამატის, როგორც განსაზღვრული სამართლებრივი კატეგორიის, კერძოდ, შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელი ნაწილის ბუნებას ვერ შეცვლის და ვერც სხვა სახის სამართლებრივ კატეგორიად ვერ ჩამოაყალიბებს ის გარემოება, რომ იგი პერიოდულად გაიცემა. ამ ლოგიკით, კასატორის განმარტებით, შრომითი გასამრჯელო პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება გამოდის და არა სათანადო უფლებამოსილების განხორციელებისათვის წარმოებული შრომისათვის გაცემული ანაზღაურება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურეს აქვს უფლებები და გარანტიები-მიიღოს თანამდებობრივი უწყვეტილების შესასრულებლად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები და პირობები, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით მოსამსახურეთათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სხვა დამატებითი უფლებები და გარანტიები – ასეთი ხასიათის დამატებითი უფლებები და გარანტიები მოცემულია სპეციალური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით. კერძოდ, „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის წევრის ხელფასი განისაზღვრება კანონით. ... პარლამენტის წევრს ეძლევა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურებაც.

კასატორის განმარტებით, მითითებული ურთიერთობების დასარეგულირებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქვეყნის ძირითადი კანონი – საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომ პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს. ხოლო ამ შრომითი გასამრჯელოს ანუ ხელფასის კომპონენტების, ოდენობის და სხვა საკითხების გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ისეთი სპეციალური კანონები, როგორებიცაა: „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომითი ანაზღაურება“ და „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონები.

უდავოა, რომ მოსარჩელები საქართველოს პარლამენტთან შრომით ურთიერთობებში იმყოფებოდნენ და არა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ეს შრომითი ურთიერთობები რეგულირდება ქვეყნის ძირითადი კანონით და საჯარო სამართლის საკანონმდებლო აქტებით. პარლამენტის წევრების, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობა რომ ითვლება შრომით ურთიერთობებად, დასტურდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლებით, რომლებიც ვრცელდება მოსარჩელებზე (ყოფილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, ეს მუხლებია: 1-ლი, მე-6, მე-9, მე-10, 39-ე, 66-ე, 71-ე, 121-ე.)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადები კი შეეხება ხელშეკრულებიდან და არა შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. ვინაიდან მოსარჩელებსა და საქართველოს პარლამენტს შორის არანაირი ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა მათზე ვერ გავრცელდებოდა. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დადგენილი 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

მონინალმდევე მხარის საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა მოსაზრებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენლის – ზ. ქ-შვილის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, ვინაიდან იგი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 11 იანვრის განჩინებით ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენლის – ზ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (დივერგენტული კასაცია).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენლის – ზ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის სარჩელი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული დავალიანების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს პარლამენტის დავალიანება ე. ნ-ძისადმი შეადგენს – 838.00 ლარს, რ. მ-ძისადმი – 838.00 ლარს, ე. ჯ-ძისადმი – 838.00 ლარს, ა. ბ-ძისადმი – 838.00 ლარს, რაც წარმოადგენს 1999 წლის ნოემბრის თვის 10 დღის და 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელ თანხას, ხოლო ნ. ნ-ძისადმი – 2365.00 ლარს, საიდანაც 1000 ლარის არის 1998 წლის ოქტომბერ, ნოემბრისა და 1999 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხა, 1365.00 ლარი არის 1999 წლის სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვეებისა და 2003 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა აღნიშნავს, რომ „საქართველოს პარლამენტის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე პარლამენტის წევრს ხელფასის გარდა ეძლევა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება, ხოლო ამავე კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, ამომრჩეველებთან მუშაობის ორგანიზების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანიზების საქმიანობაში და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით ადგილებზე იქმნება მასობრივი დეპუტატების ბიურო. ამავე კანონის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილებზე პარლამენტის წევრის საქმიანობის მატერიალურ უზრუნველყოფასთან, ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, პარლამენტის მიერ დადგენილი წესით, რაც ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო მოპასუხის მიერ, ვინაიდან მის მოვალეობას შეადგენდა აღნიშნული დავალიანების გადახდა.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რიცხული კრედიტორული დავალიანებების დაზუსტებისა“ და „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ დავალების შესრულების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს პირველად საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოთ კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია და დაზუსტება.

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ 2007 წლის 23 მაისის პლენარული სხდომის სტენოგრაფიულ ჩანაწერზე, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს პარლამენტი აღიარებს პარლამენტის წევრების მიმართ კრედიტორულ დავალიანებას. ასევე საქმეში წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის აპარატის 2009 წლის 30 სექტემბრის №9808/3-1 წერილით დადასტურებულია, რომ ე. ნ-ძის სახელზე საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში ირიცხება კრედიტორული დავალიანება – სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა – 838,00 ლარი, 2009 წლის 30 სექტემბრის №9809/3-1 წერილით – რ. მ-ძის სახელზე საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში ირიცხება კრედიტორული დავალიანება – სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა – 838, 00 ლარი, 2009 წლის 7 სექტემბრის №8674/3-1 წერილით – ე. ჯ-ძის სახელზე საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში ირიცხება კრედიტორული დავალიანება – სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა – 838, 00 ლარი, 2009 წლის 27 ოქტომბრის №10896/3-1 წერილით – ა. ბ-ძის სახელზე საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში ირიცხება კრედიტორული დავალიანება – სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა – 838, 00 ლარი და

2009 წლის 18 ნოემბრის №11856/3-1 წერილით – ნ. ნ-ძის სახელზე საქართველოს პარლამენტის აპარატის საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ბუღალტერიაში ირიცხება კრედიტორული დავალიანება ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხა – 1000 ლარი და სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხა – 1365,00 ლარი.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის (ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა) შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით რეგლამენტირებული, ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის აღიარება, რაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველია, სახეზეა ხსენებული კოდექსის 144-ე მუხლის (ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას) მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულების შემთხვევაში. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულ მოვალეობის შესრულებას უთანაბრდება მოვალის დაპირება – ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე ვალის არსებობის აღიარება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ანუ თუ ვალდებულმა პირმა კონკრეტული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ აღიარა ხსენებული მოთხოვნის არსებობა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ფაქტს, სამართლებრივად, აღარ აქვს არავითარი მნიშვნელობა მხარის შესაბამისი მატერიალური უფლების სასამართლო წესით რეალიზაციისათვის.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტმა აღიარა ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძისა და ა. ბ-ძის წინაშე სადეპუტატო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული თანხების, ხოლო ნ. ნ-ძის წინაშე ასევე ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხის დავალიანება, მას შემდეგ, რაც ხსენებული დავალიანებების მოთხოვნის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა გავიდა, რითაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენლის - ზ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს, საქართველოს პარლამენტს ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძისა და ა. ბ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს პარლამენტის აპარატის 2009 წლის 30 სექტემბრის №9808/3-1, №9809/3-1, 2009 წლის 7 სექტემბრის №8674/3-1, 2009 წლის 27 ოქტომბრის №10896/3-1 და 2009 წლის 18 ნოემბრის №11856/3-1 წერილებში მითითებული სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 838,00 ლარის, ხოლო ნ. ნ-ძისათვის ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხის – 1000 ლარისა და სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 1365 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243.2-ე, 372-ე, 390-ე, 399-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ე ყ ვ ი ტ ა :

1. ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის წარმომადგენლის ზ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 ივნისის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. ნ-ძის, რ. მ-ძის, ე. ჯ-ძის, ა. ბ-ძისა და ნ. ნ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს; საქართველოს პარლამენტს ე. ნ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 838,00 ლარის, რ. მ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 838,00 ლარის, ე. ჯ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 838,00 ლარის, ა. ბ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 838,00 ლარის, ხოლო ნ. ნ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ბიუროს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხის – 1000 ლარისა და სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი თანხის – 1365,00 ლარის ანაზღაურება;

4. საკაცაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პრემიის თანხის ღაპალიანების ანაზღაურება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-517-512(2-11)

28 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჭ-ემ, დ. ლ-ემ, ი. ც-მა, ზ. ც-ემ, რ. ბ-მა, მ. გ-ემ, თ. კ-ემ, შ. ო-ამ, ა. ბ-მა, თ. ყ-მა, ს. ქ-ემ, ნ. გ-მა და ნ. შ-ამ 27.08.106. სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანებისა და აღნიშნული თანხების გაცემის დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის დაკისრება მოითხოვეს.

სარჩელში აღნიშნა, რომ მოსარჩელები წლების განმავლობაში მუშაობდნენ საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. მოპასუხე ორგანიზაციას გააჩნდა მათ მიმართ სახელფასო დავალიანება, რაც დასტურდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობებით. მოსარჩელებმა სახელფასო დავალიანების თაობაზე მიმართეს მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომელმაც დავალიანების ანაზღაურებაზე უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისრა ხელზე მისაღები სახელფასო დავალიანების – თ. ჭ-ის სასარგებლოდ 1590,99 ლარის, დ. ლ-ის სასარგებლოდ – 932 ლარის, ი. ც-ის სასარგებლოდ – 607,11 ლარის, ზ. ც-ის სასარგებლოდ – 419,21 ლარის, რ. ბ-ის სასარგებლოდ – 1066,47 ლარის, მ. გ-ის სასარგებლოდ – 698,34 ლარის, თ. კ-ის სასარგებლოდ – 728,77 ლარის, შ. ო-ას სასარგებლოდ – 1398,36 ლარის, ა. ბ-ის სასარგებლოდ – 401,31 ლარის, თ. ყ-ის სასარგებლოდ – 194,40 ლარის, ს. ქ-ის სასარგებლოდ – 37,70 ლარის, ნ. გ-ის სასარგებლოდ – 1358,05 ლარის, ნ. შ-ას სასარგებლოდ – 436,62 ლარის ანაზღაურება, მოსარჩელებს უარი ეთქვათ მივლინების, პრემიის, ულუფის კომპენსაციისა და დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის მოპასუხისათვის დაკისრებაზე.

მოსარჩელებათვის პრემიის, ულუფის და მივლინების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად სასამართლო მიიჩნია სარჩელის ხანდაზმულობა და მიუთითა, რომ აღნიშნული ვალდებულებები პერიოდულად შესასრულებელია და ვინაიდან პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები არ წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, შრომის კანონთა კოდექსით ან სხვა სპეციალური კანონით, მათ მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (შრომის კანონთა კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად). ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელებთან მოთხოვნა შრომის კანონთა კოდექსის 31.3 მუხლის შესაბამისად ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის 0,07%-ის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად შრომის კოდექსისგან განსხვავებულად მოაწესრიგა საბიუჯეტო ორგანიზაციაში წარმოქმნილი წინა წლების დავალიანების დაფარვის საკითხი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში შრომის კოდექსის 1.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელების მიმართ ვერ გავრცელდება შრომის კანონთა კოდექსი, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს ანაზღაურებას ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელფასის თანხების დავალიანების ანაზღაურებლობას, სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს – კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრინციპებს, სახელმწიფოს პოლიტიკას პრიორიტეტულად დაიცვას ადამიანის უფლებები, მათ შორის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლით აღიარებული და გარანტირებული შრომითი უფლებები და შრომის სამართლიანი ანაზღაურება. სახელფასო დავალიანების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად სასამართლომ აგრეთვე მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე, 134 მუხლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. ჭ-ის, დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, მ. გ-ის, თ. კ-ის, შ. ო-ას, ა. ბ-ის, თ. ყ-ის, ს. ქ-ის, ნ. გ-ის, ნ. შ-ას მიერ.

აპელანტებმა მოითხოვეს სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის თ. ქ-ის სასარგებლოდ ულუფის 571,12 ლარის, მივიღებინებინო 206,40 ლარის, დაყოვნების ყოველი დღისათვის – 6277,67 ლარის ანაზღაურების დაკისრება; დ. ლ-ის სასარგებლოდ ულუფის 467,28 ლარის, პრემიის 931,04 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 6225,73 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ი. ც-ის სასარგებლოდ ულუფის 467,28 ლარის, პრემიის 931,04 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 5662,99 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ზ. ც-ის სასარგებლოდ ულუფის 415,38 ლარის, პრემიის 34,32 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 2284,52 ლარის ანაზღაურების დაკისრება; რ. ბ-ის სასარგებლოდ ულუფის 363,44 ლარის, პრემიის 75,68 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 3844,90 ლარის ანაზღაურების დაკისრება; მ. გ-ის სასარგებლოდ ულუფის 207,68 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 2250,13 ლარის ანაზღაურების დაკისრება; თ. კ-ის სასარგებლოდ ულუფის 311,52 ლარის, პრემიის 75,68 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 2905,60 ლარის ანაზღაურების დაკისრება; შ. ო-ას სასარგებლოდ ულუფის 542,51 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 5410,78 ლარის ანაზღაურების დაკისრება; თ. ყ-ის სასარგებლოდ ულუფის 259,60 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 1162,42 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ს. ქ-ის სასარგებლოდ ულუფის 51,31 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 160,29 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ნ. შ-ას სასარგებლოდ ულუფის 363,44 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 1967,9 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ნ. გ-ის სასარგებლოდ ულუფის 571,12 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 5314,84 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ა. ბ-ის სასარგებლოდ ულუფის 519, 12 ლარის, პრემიის 173,36 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 2888,42 ლარის ანაზღაურების დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.106. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ს. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც თ. ქ-ეს, დ. ლ-ეს, ი. ც-ს, ზ. ც-ეს, რ. ბ-ს, მ. გ-ეს, თ. კ-ეს, შ. ო-ას, ა. ბ-ს, თ. ყ-ს, ნ. გ-ს და ნ. შ-ას უარი ეთქვათ ულუფის კომპენსაციის თანხის ანაზღაურებაზე, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სსიპ შემოსავლების სამსახურს თ. ქ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ულუფის თანხის ანაზღაურება – 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, დ. ლ-ის სასარგებლოდ – 1999 წლის ულუფის თანხის – 103,84 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ი. ც-ის სასარგებლოდ – 1999 წლის ულუფის თანხის – 103,84 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ზ. ც-ის სასარგებლოდ – 1999 წლის ულუფის თანხის – 103,84 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, რ. ბ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, მ. გ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, თ. კ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, შ. ო-ას სასარგებლოდ – 1999 წლის ულუფის თანხის – 184,05 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ა. ბ-ის სასარგებლოდ 1999 წლის ულუფის თანხის – 207,68 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, თ. ყ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ნ. გ-ის სასარგებლოდ – ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ნ. შ-ას სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირები ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელეებმა ულუფის ანაზღაურება მოითხოვეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროისათვის მოქმედი საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლით განსაზღვრული იყო საბაჟო ორგანოს თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეებზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლში. აპელანტების მიმართ დავალიანება წარმოიშვა 1998-2000 და 2003 წლებში. 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისთვის დადგენილი განაკვეთი, არამედ ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა, ხოლო 28.07.2000წ. შემდგომ, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნება მოიცავს მხოლოდ ორ კომპონენტს – თანამდებობრივი და სპეციალური ნოდებისათვის დადგენილ განაკვეთს. „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციით გათვალისწინებული კვების ულუფა წარმოადგენს ისეთ დანამატს, რომელზედაც მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის 1-ლ პუნქტში და რომელიც განიხილება საჯარო მოხელის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ ნაწილად; ამდენად, მისი გაცემა უნდა განხორციელდეს ამავე კანონის 134¹ მუხლის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს მხოლოდ 2000 წლის 28 ივნისამდე არსებული პერიოდის გათვალისწინებით, ხოლო 2000 წლის 28 ივნისის შემდგომი პერი-

ოდის მიმართ სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სამივლინებო თანხებისა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0.07%-ის ანაზღაურებას, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.10წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ – შემოსავლების სამსახურმა, ასევე თ. ჭ-ემ, დ. ლ-ემ, ი. ც-მა, ზ. ც-ემ, რ. ბ-მა, მ. გ-ემ, თ. კ-ემ, შ. ო-ამ, ა. ბ-მა, თ. ყ-მა, ს. ქ-ემ, ნ. გ-მა და ნ. შ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.06.11წ. განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.10წ. გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თ. ჭ-ის, დ. ლ-ის და სხვათა საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს 29.11.10წ. გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები და არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა კვების კომპენსაციის, პრემიის და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0.07%-ის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულობის გამო. კასატორებმა მიუთითეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლსა და საქართველოს პრეზიდენტის 08.01.99წ. №2 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების პირველ მუხლზე და აღნიშნეს, რომ პრემია და სასურსათო ულუფა არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი. რაც შეეხება ანაზღაურებას ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის, კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 31.3 მუხლის თანახმად დამსაქმებელი ვალდებულია ყოველი ანაზღაურების ან ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის დასაქმებულს გადაუხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაყოვნებული თანხის 0.07%.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.11წ. განჩინებით თ. ჭ-ის და სხვათა საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.10წ. გადაწყვეტილებაზე მივლინების, 2000 წლის 28 ივნისის შემდგომი პერიოდის კვების კომპენსაციის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.07%-ის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ხოლო დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის და ა. ბ-ისათვის პრემიის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ თ. ჭ-ის, დ. ლ-ის და სხვათა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.10წ. გადაწყვეტილება კასატორებისათვის პრემიის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის და ა. ბ-ის სასარგებლოდ პრემიის თანხის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დ. ლ-ე და სხვები სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სარგებლობდნენ საჯარო მოსამსახურის სტატუსით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, პრემია არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი. მოსამსახურეზე პრემიის გაცემა ადმინისტრაციის მიერ ხდება საქმიანობის შედეგების მიხედვით, მუშაკის მატერიალური წახალისების, საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით. მხედველობაშია მისაღები, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს არა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, არამედ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, რაც დასტურდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობებით. კერძოდ, შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 13.08.2010წ. №21-07/12264 ცნობის თანახმად დ. ლ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 898,48 ლარს, ხოლო 1999 წელს – 32,56 ლარს, სულ – 931,04 ლარს შეადგენს; 13.08.2010წ. №21-07/12259 ცნობის თანახმად ი. ც-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 899,36 ლარს, ხოლო 1999 წელს – 32,56 ლარს შეადგენს; 13.08.2010წ. №21-07/12263 ცნობის თანახმად ზ. ც-ის მიმართ ხელზე მისაღები 1999 წლის პრემიალური თანხა 34,32 ლარს შეადგენს; 13.08.2010წ. №21-07/12262 ცნობის თანახმად რ. ბ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 75,68 ლარს შეადგენს; 13.08.2010წ. №21-07/12260 ცნობის თანახმად თ. კ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 75,68 ლარს შეადგენს; 03.08.2010წ. №21-07/11372 ცნობის თანახმად ა. ბ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 75,68 ლარს, 1999 წელს – 32,56 ლარს, 2000 წელს – 65,12 ლარს, სულ – 173,36 ლარს შეადგენს. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 10.09.2010წ. №20716 ცნობის თანახმად ხელზე მისაღები პრემიის თანხა დ. ლ-ის მიმართ შეადგენს 931,04 ლარს, ი. ც-ის მიმართ – 931,04 ლარს, ზ. ც-ის მიმართ – 34,32 ლარს, რ. ბ-ის მიმართ – 75,68 ლარს, თ. კ-ის მიმართ – 75,68 ლარს, ა. ბ-ის მიმართ – 173,36 ლარს.

აღნიშნული ცნობებით დასტურდება განუვლი სამუშაოსათვის შემოსავლების სამსახურის მიერ პრემიის თანხების გამოყოფა, რაც თავის მხრივ უქმნიდა მოსარჩევეებს მისი მიღების სამართლიან მოლოდინს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლის („ანგარიშსწორების წესის სამსახურიდან გათავისუფლებისას“) შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს უკუთვნილი წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამავე კანონის 37.1 მუხლის შესაბამისად ხელფასი მოიცავს პრემიას, პრემიის თანხის დავალიანება არ განეკუთვნება კომპენსაციას. პრემიის, როგორც ხელფასის შემადგენელი კომპონენტის გაცემის საკითხი რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოთხოვნის ამ ნაწილის სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულად მიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 134¹ მუხლები, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც განსაზღვრულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება შემოსავლების სამსახურისათვის კასატორთა სასარგებლოდ პრემიალური თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის, ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.106. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დ. ლ-ეს, ი. ც-ს, ზ. ც-ეს, რ. ბ-ს, თ. კ-ეს, ა. ბ-ს უარი ეთქვა პრემიის თანხის ანაზღაურებაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის, ა. ბ-ის სარჩელი პრემიის თანხის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისროს: დ. ლ-ის სასარგებლოდ – 931 ლარის და 04 თეთრის, ი. ც-ის სასარგებლოდ – 931 ლარის და 04 თეთრის, ზ. ც-ის სასარგებლოდ – 34 ლარის და 32 თეთრის, რ. ბ-ის სასარგებლოდ – 75 ლარის და 68 თეთრის, თ. კ-ის სასარგებლოდ – 75 ლარის და 68 თეთრის, ა. ბ-ის სასარგებლოდ – 173 ლარის და 36 თეთრის გადახდა. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.106. განჩინება დარჩეს უცვლელად;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პრემიის თანხის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-517-512(2კ-11)

28 სექტემბერი, 2011წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჭ-ემ, დ. ლ-ემ, ი. ც-მა, ზ. ც-ემ, რ. ბ-მა, მ. გ-ემ, თ. კ-ემ, შ. ო-ამ, ა. ბ-მა, თ. ყ-მა, ს. ქ-ემ, ნ. გ-მა და ნ. შ-ამ 27.08.106. სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე – სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანებისა და აღნიშნული თანხების გაცემის დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის დაკისრება მოითხოვეს.

სარჩელში აღინიშნა, რომ მოსარჩევეები წლების განმავლობაში მუშაობდნენ საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. მოპასუხე ორგანიზაციას გააჩნდა მათ მიმართ სახელფასო დავალიანება, რაც დასტურდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობებით. მოსარჩევეებმა სა-

ხელფასო დავალიანების თაობაზე მიმართეს მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომელმაც დავალიანების ანაზღაურებაზე უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისრა ხელზე მისაღები სახელფასო დავალიანების – თ. ჭ-ის სასარგებლოდ 1590,99 ლარის, დ. ლ-ის სასარგებლოდ – 932 ლარის, ი. ც-ის სასარგებლოდ – 607,11 ლარის, ზ. ც-ის სასარგებლოდ – 419,21 ლარის, რ. ბ-ის სასარგებლოდ – 1066,47 ლარის, მ. გ-ის სასარგებლოდ – 698,34 ლარის, თ. კ-ის სასარგებლოდ – 728,77 ლარის, შ. ო-ის სასარგებლოდ – 1398,36 ლარის, ა. ბ-ის სასარგებლოდ – 401,31 ლარის, თ. ყ-ის სასარგებლოდ – 194,40 ლარის, ს. ქ-ის სასარგებლოდ – 37,70 ლარის, ნ. გ-ის სასარგებლოდ – 1358,05 ლარის, ნ. შ-ის სასარგებლოდ – 436,62 ლარის ანაზღაურება, მოსარჩელებს უარი ეთქვათ მივლინების, პრემიის, ულუფის კომპენსაციისა და დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის მოპასუხისათვის დაკისრებაზე.

მოსარჩელეთათვის პრემიის, ულუფის და მივლინების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად სასამართლომ მიიჩნია სარჩელის ხანდაზმულობა და მიუთითა, რომ აღნიშნული ვალდებულებები პერიოდულად შესასრულებელია და ვინაიდან პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებები არ წესრიგდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, შრომის კანონთა კოდექსით ან სხვა სპეციალური კანონით, მათ მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (შრომის კანონთა კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად). ამასთან, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელეთა მოთხოვნა შრომის კანონთა კოდექსის 31.3 მუხლის შესაბამისად ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის 0.07%-ის ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის შესაბამისად შრომის კოდექსისგან განსხვავებულად მოაწესრიგა საბიუჯეტო ორგანიზაციაში წარმოქმნილი წინა წლების დავალიანების დაფარვის საკითხი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში შრომის კოდექსის 1.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელების მიმართ ვერ გავრცელდება შრომის კანონთა კოდექსი, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს ანაზღაურებას ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელფასის თანხების დავალიანების ანაზღაურებლობას, სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, აღნიშნული ეწინააღმდეგება სამართლის ზოგად პრინციპებს – კეთილსინდისიერებისა და კანონიერების პრინციპებს, სახელმწიფოს პოლიტიკას პრიორიტეტულად დანიშნავს ადამიანის უფლებები, მათ შორის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლით აღიარებული და გარანტირებული შრომითი უფლებები და შრომის სამართლიანი ანაზღაურება. სახელფასო დავალიანების ნაწილში მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად სასამართლომ აგრეთვე მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე, 134¹ მუხლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. ჭ-ის, დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, მ. გ-ის, თ. კ-ის, შ. ო-ის, ა. ბ-ის, თ. ყ-ის, ს. ქ-ის, ნ. გ-ის, ნ. შ-ის მიერ.

აპელანტებმა მოითხოვეს სსიპ შემოსავლების სამსახურისათვის თ. ჭ-ის სასარგებლოდ ულუფის 571,12 ლარის, მივლინების 206,40 ლარის, დაყოვნების ყოველი დღისათვის – 6277,67 ლარის ანაზღაურების დაკისრება; დ. ლ-ის სასარგებლოდ ულუფის 467,28 ლარის, პრემიის 931,04 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 6225,73 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ი. ც-ის სასარგებლოდ ულუფის 467,28 ლარის, პრემიის 931,04 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 5662,99 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ზ. ც-ის სასარგებლოდ ულუფის 415,38 ლარის, პრემიის 34,32 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 2284,52 ლარის ანაზღაურების დაკისრება; რ. ბ-ის სასარგებლოდ ულუფის 363,44 ლარის, პრემიის 75,68 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 3844,90 ლარის ანაზღაურების დაკისრება; მ. გ-ის სასარგებლოდ ულუფის 207,68 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 2250,13 ლარის ანაზღაურების დაკისრება; თ. კ-ის სასარგებლოდ ულუფის 311,52 ლარის, პრემიის 75,68 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 2905,60 ლარის ანაზღაურების დაკისრება; შ. ო-ის სასარგებლოდ ულუფის 542,51 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 5410,78 ლარის ანაზღაურების დაკისრება; თ. ყ-ის სასარგებლოდ ულუფის 259,60 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 1162,42 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ს. ქ-ის სასარგებლოდ ულუფის 51,31 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის – 160,29 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ნ. შ-ის სასარგებლოდ ულუფის 363,44 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 1967,9 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ნ. გ-ის სასარგებლოდ ულუფის 571,12 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 5314,84 ლარის ანაზღაურების დაკისრება; ა. ბ-ის სასარგებლოდ ულუფის 519, 12 ლარის, პრემიის 173,36 ლარის და დაყოვნების ყოველი დღისათვის 2888,42 ლარის ანაზღაურების დაკისრება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.106. გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ს. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.09.106. გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც თ. ჭ-ის, დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, მ. გ-ის, თ. კ-ის, შ. ო-ის, ა. ბ-ის, თ. ყ-ის, ნ. გ-ის და ნ. შ-ის უარი ეთქვათ ულუფის კომპენსაციის თანხის ანაზღაურებაზე, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სსიპ შემოსავლების სამსახურს თ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ულუფის თანხის ანაზღაურება – 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, დ. ლ-ის სასარგებლოდ – 1999 წლის

ულუფის თანხის – 103,84 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ი. ც-ის სასარგებლოდ – 1999 წლის ულუფის თანხის – 103,84 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ზ. ც-ის სასარგებლოდ – 1999 წლის ულუფის თანხის – 103,84 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, რ. ბ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, მ. გ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, თ. კ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, შ. ო-ას სასარგებლოდ – 1999 წლის ულუფის თანხის – 184,05 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ა. ბ-ის სასარგებლოდ 1999 წლის ულუფის თანხის – 207,68 ლარის, ასევე 2000 წლის ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, თ. ყ-ის სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ნ. გ-ის სასარგებლოდ – ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით, ნ. შ-ას სასარგებლოდ – 1999-2000 წლების ულუფის თანხის ანაზღაურება 2000 წლის 28 ივნისამდე პერიოდის გათვალისწინებით. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოსარჩელებმა ულუფის ანაზღაურება მოითხოვეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროისათვის მოქმედი საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლით განსაზღვრული იყო საბაჟო ორგანოს თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საბაჟო ორგანოს საჯარო მოხელეებზე ვრცელდებოდა პოლიციის თანამშრომელთა სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც განსაზღვრული იყო „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლში. აპელანტების მიმართ დავალიანება წარმოიშვა 1998-2000 და 2003 წლებში. 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ხელფასში გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილი განაკვეთი, არამედ ნამსახურობის დანამატი, სასურსათო ულუფის ღირებულება და სხვა, ხოლო 28.07.2000წ. შემდგომ, პოლიციის თანამშრომლის ხელფასის ცნება მოიცავს მხოლოდ ორ კომპონენტს – თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს. „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის ძველი რედაქციით გათვალისწინებული კვების ულუფა წარმოადგენს ისეთ დანამატს, რომელზედაც მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის 1-ლ პუნქტში და რომელიც განიხილება საჯარო მოხელის შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) შემადგენელ ნაწილად; ამდენად, მისი გაცემა უნდა განხორციელდეს ამავე კანონის 134¹ მუხლის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ულუფის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს მხოლოდ 2000 წლის 28 ივნისამდე არსებული პერიოდის გათვალისწინებით, ხოლო 2000 წლის 28 ივნისის შემდგომი პერიოდის მიმართ სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სამივლინებო თანხებისა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0.07%-ის ანაზღაურებას, სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.10წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ – შემოსავლების სამსახურმა, ასევე თ. ჭ-ემ, დ. ლ-ემ, ი. ც-მა, ზ. ც-ემ, რ. ბ-მა, მ. გ-ემ, თ. კ-ემ, შ. ო-ამ, ა. ბ-მა, თ. ყ-მა, ს. ქ-ემ, ნ. გ-მა და ნ. შ-ამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 29.06.11წ. განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.10წ. გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

თ. ჭ-ის, დ. ლ-ის და სხვათა საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს 29.11.10წ. გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები და არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა კვების კომპენსაციის, პრემიის და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0.07%-ის ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულობის გამო. კასატორებმა მიუთითეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლსა და საქართველოს პრეზიდენტის 08.01.99წ. №2 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს საბაჟო სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების პირველ მუხლზე და აღნიშნეს, რომ პრემია და სასურსათო ულუფა არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი. რაც შეეხება ანაზღაურებას ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის, კასატორებმა მიიჩნიეს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 31.3 მუხლის თანახმად დამსაქმებელი ვალდებულია ყოველი ანაზღაურების ან ანგარიშსწორების დაყოვნებისათვის დასაქმებულს გადაუხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაყოვნებული თანხის 0.07%.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.11წ. განჩინებით თ. ჭ-ის და სხვათა საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.10წ. გადაწყვეტილებაზე მივლინების, 2000 წლის 28 ივნისის შემდგომი პერიოდის კვების კომპენსაციის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.07%-ის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის ნა-

ნილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ხოლო დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის და ა. ბ-ისათვის პრემიის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ თ. ჭ-ის, დ. ლ-ის და სხვათა საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.106. გადაწყვეტილება კასატორებისათვის პრემიის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის და ა. ბ-ის სასარგებლოდ პრემიის თანხის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დ. ლ-ე და სხვები სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, სარგებლობდნენ საჯარო მოსამსახურის სტატუსით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. ამდენად, პრემია არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი. მოსამსახურეზე პრემიის გაცემა ადმინისტრაციის მიერ ხდება საქმიანობის შედეგების მიხედვით, მუშაკის მატერიალური წახალისების, საქმიანობის ეფექტურობისა და ხარისხის ამაღლების მიზნით. მხედველობაშია მისაღები, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს არა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, არამედ სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, რაც დასტურდება შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობებით. კერძოდ, შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 13.08.20106. №21-07/12264 ცნობის თანახმად დ. ლ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 898,48 ლარს, ხოლო 1999 წელს – 32,56 ლარს, სულ – 931,04 ლარს შეადგენს; 13.08.20106. №21-07/12259 ცნობის თანახმად ი. ც-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 899,36 ლარს, ხოლო 1999 წელს – 32,56 ლარს შეადგენს; 13.08.20106. №21-07/12263 ცნობის თანახმად ზ. ც-ის მიმართ ხელზე მისაღები 1999 წლის პრემიალური თანხა 34,32 ლარს შეადგენს; 13.08.20106. №21-07/12262 ცნობის თანახმად რ. ბ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 75,68 ლარს შეადგენს; 13.08.20106. №21-07/12260 ცნობის თანახმად თ. კ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 75,68 ლარს შეადგენს; 03.08.20106. №21-07/11372 ცნობის თანახმად ა. ბ-ის მიმართ ხელზე მისაღები 1998 წლის პრემიალური თანხა 75,68 ლარს, 1999 წელს – 32,56 ლარს, 2000 წელს – 65,12 ლარს, სულ – 173,36 ლარს შეადგენს. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის 10.09.20106. №20716 ცნობის თანახმად ხელზე მისაღები პრემიის თანხა დ. ლ-ის მიმართ შეადგენს 931,04 ლარს, ი. ც-ის მიმართ – 931,04 ლარს, ზ. ც-ის მიმართ – 34,32 ლარს, რ. ბ-ის მიმართ – 75,68 ლარს, თ. კ-ის მიმართ – 75,68 ლარს, ა. ბ-ის მიმართ – 173,36 ლარს.

აღნიშნული ცნობებით დასტურდება განეული სამუშაოსათვის შემოსავლების სამსახურის მიერ პრემიის თანხების გამოყოფა, რაც თავის მხრივ უქმნიდა მოსარჩელეებს მისი მიღების სამართლიან მოლოდინს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლის („ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას“) შესაბამისად, სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდებოდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამავე კანონის 37.1 მუხლის შესაბამისად ხელფასი მოიცავს პრემიას, პრემიის თანხის დავალიანება არ განეკუთვნება კომპენსაციას. პრემიის, როგორც ხელფასის შემადგენელი კომპონენტის გაცემის საკითხი რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოთხოვნის ამ ნაწილის სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულად მიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე და 134¹ მუხლები, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც განსაზღვრულია სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება შემოსავლების სამსახურისათვის კასატორთა სასარგებლოდ პრემიალური თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის, ა. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივრის დაშვებულ ნაწილში;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.106. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დ. ლ-ეს, ი. ც-ს, ზ. ც-ეს, რ. ბ-ს, თ. კ-ეს, ა. ბ-ს უარი ეთქვა პრემიის თანხის ანაზღაურებაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. დ. ლ-ის, ი. ც-ის, ზ. ც-ის, რ. ბ-ის, თ. კ-ის, ა. ბ-ის სარჩელი პრემიის თანხის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს და სსიპ შემოსავლების სამსახურს დაეკისროს: დ. ლ-ის სასარგებლოდ – 931 ლარის და 04 თეთრის, ი. ც-ის სასარგებლოდ – 931 ლარის და 04 თეთრის, ზ. ც-ის სასარგებლოდ – 34 ლარის და 32 თეთრის, რ. ბ-ის სასარგებლოდ – 75 ლარის და 68 თეთრის, თ. კ-ის სასარგებლოდ – 75 ლარის და 68 თეთრის, ა. ბ-ის სასარგებლოდ – 173 ლარის და 36 თეთრის გადახდა. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.11.106. განჩინება დარჩეს უცვლელად;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

განჩინება

№ბს-1349-1334(კ-11)

20 დეკემბერი, 2011წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: მ. ჩ-ი, მ. ხ-ე, გ. მ-ი

მოპასუხე: ქ. ქუთაისის მერია, სს „...“

სარჩელის სახე: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება, საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე.

სარჩელის საგანი:

სახელფასო დავალიანების: მ. ჩ-ის მიმართ – 2596 ლარის, მ. ხ-ის მიმართ – 1373 ლარისა და გ. მ-ის მიმართ – 1798 ლარის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: მოსარჩელეები წარმოადგენენ სს „...“ თანამშრომლებს და მათზე რიცხული დავალიანება წარმოადგენს: მ. ჩ-ის მიმართ – 2596 ლარს, მ. ხ-ის მიმართ – 1373 ლარს და გ. მ-ის მიმართ – 1798 ლარს.

სამართლებრივი: მოსარჩელეები მიიჩნევენ, რომ მოპასუხეს მათ სასარგებლოდ უნდა დაეკისროს თანხის გადახდა საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის საფუძველზე. ასევე სასამართლო გადაწყვეტილება მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის I ნაწილის თანახმად.

მოპასუხის შესაგებელი:

ფაქტობრივი: მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელმა შესაგებელში აღნიშნა, ვინაიდან მოსარჩელეების დავალიანების ნაწილი წარმოშობილია სს „...“ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ, ქ. ქუთაისის მერიას არ ეკისრება მისი ანაზღაურების ვალდებულება. რაც შეეხება ხელშეკრულებამდე არსებულ სახელფასო დავალიანებას, აღნიშნული აღიარებულია ქ. ქუთაისის მერიის მიერ, თუმცა მისი გადახდის ვალდებულება ჯერ არ დამდგარა.

სამართლებრივი: მოპასუხის მითითებით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის მიხედვით მასსა და მოსარჩელეებს შორის არ წარმოშობილა სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო ჩუქების ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე ქ. ქუთაისის მერია ვერ განიხილება სს „...“ უფლებამონაცვლედ.

2009 წლის 28 მაისის საოქმო განჩინებით მოსარჩელე მხარემ დააზუსტა მოპასუხეთა წრე და მიუთითა სს „...“

2009 წლის 14 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელეებმა დააზუსტეს სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვეს, ქ. ქუთაისის მერიას დაკისრებოდა სს „...“ მიერ არსებული სახელფასო დავალიანების, კერძოდ: მ. ჩ-ისათვის – 2596 ლარის, ამასთან, დავალიანების გადახდის დღემდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელფასის 0,07%, ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 120 ლარისა და შვებულების კომპენსაციის – 60 ლარის; მ. ხ-ისათვის – 1373 ლარის, გადახდის დღემდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელფასის 0,07 %, ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარისა და შვებულების კომპენსაციის – 60

ლარის, გ. მ-ისათვის – 1798 ლარის, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადახდის დღემდე ხელფასის 0,07%, ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარისა და შვებულების კომპენსაციის – 60 ლარის ანაზღაურება, ვინაიდან, ქ. ქუთაისის მერიამ აღნიშნული დავალიანების გადახდა იკისრა 2008 წლის №2195 ბრძანებით.

საქმის გარემოებები:

მოსარჩელები მუშაობდნენ სს „...“ სს „...“ და ქ. ქუთაისის თვითმმართველ ერთეულს შორის 2008 წლის 2 ოქტომბერს გაფორმდა №296 ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში გადავიდა სს „...“ მთლიანი ქონება. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 მუხლის თანახმად, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისისათვის გადაცემული, ხელშეკრულების მიღება-ჩაბარების აქტში ჩამოთვლილი ქონების პრივატიზებისას, თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის მერიამ იკისრა სს „...“ საგადასახადო და სახელფასო დავალიანების დაფარვის ვალდებულება.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადანყვევტილება/სარეზოლუციო/

მოსარჩელების: მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა და გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სს „...“ მ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 1299.52 ლარის, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 1914 ლარის 0.07% – ის, ასევე შვებულების კომპენსაციის – 120 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 120 ლარის გადახდა. მ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 91.73 ლარის, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 957 ლარის 0.07% – ის, ასევე შვებულების კომპენსაციის – 60 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარის გადახდა. გ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელფასო დავალიანების – 91.83 ლარის, მისი დაყოვნების ყოველი დღისათვის გადახდის დღემდე 1060 ლარის 0.07% – ის, ასევე შვებულების კომპენსაციის – 60 ლარისა და ხელშეკრულების მოშლისათვის ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 60 ლარის გადახდა.

სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

სასამართლომ უდავოდ მიიჩნია შემდეგი გარემოება, სს „...“ დირექტორის მიერ გაცემული ცნობით, 2008 წლის 1 ოქტომბრამდე მ. ჩ-ის სახელფასო დავალიანება შეადგენდა – 614.48 ლარს, გ. მ-ის – 968.17 ლარს და მ. ხ-ის – 865.27 ლარს.

მხარეთა ახსნა-განმარტებისა და 2010 წლის 11 მაისის სახელფასო დავალიანების შესახებ გაცემული ცნობის მიხედვით 2006 იანვრიდან 2010 წლის 11 მარტამდე მ. ჩ-ის მიმართ გადასაცემი სახელფასო დავალიანება შეადგენს – 1914 ლარს, რომელსაც ემატება ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელფასის 0.07%-ი, რაც ცნობის გაცემის დროისათვის შეადგენს 442 ლარს, შვებულების კომპენსაცია – 120 ლარი და ერთი თვის შრომის ანაზღაურება – 120 ლარი. მ. ხ-ის მიმართ გადასაცემი სახელფასო დავალიანება შეადგენს – 957 ლარს, რომელსაც ემატება ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელფასის 0.07%-ი, რაც ცნობის გაცემის დროისათვის შეადგენს – 596 ლარს, შვებულების კომპენსაცია – 60 ლარი და ერთი თვის შრომის ანაზღაურება – 60 ლარი. გ. მ-ის მიმართ გადასაცემი სახელფასო დავალიანება შეადგენს – 1060 ლარს, რომელსაც ემატება ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელფასის 0.07%-ი, რაც ცნობის გაცემის დროისათვის შეადგენს 618 ლარს, შვებულების კომპენსაცია – 60 ლარი და ერთი თვის შრომის ანაზღაურება – 60 ლარი.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოპასუხე მხარემ ქ. ქუთაისის მერიამ სადავო გახადა უფლებამონაცვლეობა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

მხარეთა მიერ სადავოდ გახდილი ფაქტების შეფასება – სასამართლოს მსჯელობით ქალაქ ქუთაისის მერია, როგორც სს „...“ ქონების მესაკუთრე, ხელშეკრულების შესაბამისად არ წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს იმ დავალიანებაზე, რომელიც საწარმოს წარმოშობილი აქვს 2008 წლის 2 ოქტომბრიდან ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ხოლო აღნიშნულ ხელშეკრულებამდე მოსარჩელეთა მიმართ არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხე ქ. ქუთაისის მერიას ჯერ არ წარმოშობია გადაცემული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის არარსებობის გამო.

სასამართლოს დასკვნები – სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა და გ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე სს „...“ მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქ. ქუთაისის მერიის მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/

სასამართლოს შეფასებით საქართველოს შრომის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობები წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დასაქმებელი ვალდებულია ნებისმიერი ანაზღაურ-

რების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0.07 %-ი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებებს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. დადგენილია, რომ მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნა სს „...“ მიმართ სრულადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით. ამდენად, არსებობს ამ უკანასკნელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. ამავე კოდექსის 319-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებაში მისი თანხმობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ 2008 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულება წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა ქ. ქუთაისის მერიასა და სს „...“ შორის. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე ქ. ქუთაისის მერიამ ქონების მიღების სანაცვლოდ იკისრა სს „...“ საგადასახადო და სახელფასო დავალიანებების დაფარვის ვალდებულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების, უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელებს მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებული საფუძვლების შესაბამისად წარმოეშობოდათ ქ. ქუთაისის მერიის მიმართ სახელფასო დავალიანების მოთხოვნის უფლება და მათ შორის არსებული ურთიერთობა მონესრიგებული იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში კრედიტორისა და მოვალის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ნორმებით. მოცემული შემთხვევის გათვალისწინებით მოსარჩელე არ შეიძლება განხილული იქნეს ქ. ქუთაისის მერიის, როგორც სს „...“ უფლებამონაცვლის კრედიტორად, რადგან სახეზეა ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც ასეთ ურთიერთობას არ ითვალისწინებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების დადებით სს „...“, როგორც სააქციო საზოგადოებამ ფაქტობრივად შეწყვიტა ფუნქციონირება ქონების არარსებობის გამო. ამასთან, ქონების ახალ მესაკუთრეს არ დაუდია სააქციო საზოგადოებაში დასაქმებულ პირებთან ახალი ხელშეკრულება, რის გამოც სს „...“ მხრიდან დასახელებული ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოშობილი სახელფასო თანხების ანაზღაურების ნაწილში ქ. ქუთაისის მერიის მოვალედ აღიარება უსაფუძვლოა.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ამდენად, არ არსებობს მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი ქ. ქუთაისის მერიის დავალდებულების ნაწილში.

აპელანტი: მ. ჩ-ი, მ. ხ-ე, გ. მ-ი

მონინალმდებელ მხარე: ქ. ქუთაისის მერია, სს „...“

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება, სახელფასო დავალიანების მხოლოდ სს „...“ დაკისრების ნაწილში. ახალი გადაწყვეტილებით სახელფასო დავალიანების გადახდის სოლიდარულად დაკისრება სს „...“ და ქ. ქუთაისის მერიისათვის.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: აპელანტების მითითებით ქ. ქუთაისის მერიამ აღიარა სახელფასო ვალდებულება სს „...“ თანამშრომლების მიმართ, რომელიც 2008 წლის ოქტომბრის მდგომარეობით შეადგენს – 45612 ლარს. სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკისრა მოპასუხე მხარეს ვალდებულების შესრულება.

ქ. ქუთაისის მერიას სს „...“ ქონება გადაეცა ხელშეკრულებით, რომლითაც დაევალა მერიას გადაცემული ქონების პრივატიზაციით მოახდინოს საგადასახადო და სახელფასო დავალიანების დაფარვა. მართალია, მერიამ ქონება მიიღო საკუთრებაში, მაგრამ ამასთანავე მას დაეკისრა ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია და ნაკისრი ვალდებულების შესრულება. მას არ ჰქონდა უფლება საკუთრებაში ქონება დაეტოვებინა და ამით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისათვის თავი აერიდებინა.

სამართლებრივი: სასამართლო თავისი ინიციატივით გასცდა როგორც სასარჩელო მოთხოვნას, ასევე მოპასუხის პოზიციას. მოპასუხე ქუთაისის მერიას არ დაუფიქსირებია თავის პასუხში, რომ იგი არ არის ვალდებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაზე. მან განმარტა, რომ ჩუქებით გადაცემული ქონების პრივატიზება არ მომხდარა და ამიტომ არ იხდიდა დავალიანებას.

მონინალმდებელ მხარის შეპასუხება

მოტივები:

ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენელმა წარმოადგინა წერილობითი შეპასუხება, რომლითაც არ დაეთანხმა მოსარჩელების მოთხოვნას, შემდეგი საფუძველით: რომ იგი არ წარმოადგენს პასუხისმგებელ

პირს იმ დავალიანებაზე, რომელიც სანარმოს წარმოშობილი აქვს 2008 წლის 2 ოქტომბრის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 ოქტომბის განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეგზავნა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას იმ მოტივით, რომ სააპელაციო საჩივრის დავის საგანს, სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე ვალდებულების შესრულებასთან ერთად ქ. ქუთაისის მერიისათვის ვადაგადაცილებული დროისათვის ზიანის ანაზღაურებაც წარმოადგენს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს მსჯელობას დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე და საქმე განსჯადობის საქმის გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განჩინებით, მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა და გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/
მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა და გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:
სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად იმსჯელა მოცემული სამართალურთიერთობის ირგვლივ და არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

გასაჩივრებელი გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა
სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს მთლიანად და აღნიშნა, რომ რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა კანონი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. დამატებითი მოტივაცია სააპელაციო სასამართლოს არ წარმოუდგენია.

კასატორი: მ. ჩ-ი, მ. ხ-ე, გ. მ-ი
მონინალმდეგე მხარე: ქ. ქუთაისის მერია, სს „...“
კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 მაისის განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით სახელფასო დავალიანების გადახდის სოლიდარულად დაკისრება სს „...“ და ქ. ქუთაისის მერიის მიმართ.

კასაციის მოტივები: სამართლებრივი:
პროცესუალური: კასატორის მითითებით გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

მატერიალური: სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში იმსჯელა ისეთ საკითხებზე, რომელიც არ წარმოადგენს დავის საგანს. ქ. ქუთაისის მერის ბრძანებით დასაჩუქრებულმა თავად იჩუქა ქონება და ისე გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოცემული შემთხვევა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით გათვალისწინებული არარა აქტი.

მონინალმდეგის შეპასუხება: სამართლებრივი
მონინალმდეგე მხარეს წერილობითი შეპასუხება არ წარმოუდგენია.
საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (საკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორების მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა, გ. მ-ის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებელი განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სა-
მართლოს ნორმები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების
მოთხოვნები.

სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც
უნდა გამოიყენებინა, გადაწყვეტილება იურიდიულად სრულიად დაუსაბუთებელია.

საქმის მასალებით ირკვევა და ეს სადავო არ გამხდარა არცერთი ინსტანციის სასამართლოში, რომ მო-
სარჩელები შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ სს „...“, რომელსაც დაუგროვდა მო-
სარჩელეთა მიმართ სახელფასო დავალიანებები.

ასევე დადგენილია, რომ ქ. ქუთაისის მერმა 2008 წლის 2 ოქტომბერს გამოსცა ბრძანება №2195 „თვით-
მმართველი ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული სს „...“ ქონების ჩუქების ფორმით საკუთრებაში გა-
დაცემის შესახებ, გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომლის მიხედვით ბრძანა:

1. „სს „...“ დირექტორმა თვითმმართველი ქ. ქუთაისის ჩუქების ფორმით საქართველოს კანონმდებლო-
ბასთან დადგენილი წესით საკუთრებაში გადასცეს საზოგადოების კუთვნილი ქონება №1 და №2 დანართე-
ბის შესაბამისად.

2. ჩამოთვლილი ქონების გადაცემასთან ერთად ქ. ქუთაისის თვითმმართველობაზე გადავიდა საგადასა-
ხადო დავალიანების – 751 721, 16 ლარისა და სახელფასო დავალიანების – 45612,0 ლარის დაფარვის ვალ-
დებულება, რომელიც დაფარულ უნდა იქნეს გადაცემული ქონების პრივატიზაციის შედეგად მიღებული
შემოსავლებიდან“.

იმავე დღეს, 2008 წლის 2 ოქტომბერს ქ. ქუთაისის მერიისა და სს „...“ შორის დაიდო ხელშეკრულება
ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, რომლის მე-3 მუხლში განსაზღვრულია ქონების მიმღებზე – ქ.
ქუთაისის მერიაზე საგადასახადო და სახელფასო დავალიანების დაფარვის ვალდებულებები.

საქმის მასალებით და ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენლის განმარტებით დადგენილია, რომ გადაცე-
მული ქონება არა თუ არ ყოფილა პრივატიზებული, არც ყოფილა საპრივატიზაციოდ მომზადებული და გა-
მოტანილი საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვის მომენტისათვისაც კი.

სასამართლომ ისე გადაწყვიტა დავა, რომ სათანადოდ არ გამოურკვევია საქმის ფაქტობრივი გარემოე-
ბები და არ შეუფასებია ისინი. სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს მტკიცებულებების ობიექ-
ტური გამოკვლევისა და შეფასებიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელფასი წარმოადგენს პირის გასამრჯელოს განეული
შრომისათვის და მისი მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების მიხედვით დასაქმებულის
ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება.

სააპელაციო სასამართლომ სარჩელის – სახელფასო დავალიანების ნაწილში არ დაკმაყოფილების სა-
ფუძვლად მიუთითა ქუთაისის მერიის ბრძანებაში მითითებული დათქმა – სახელფასო დავალიანების ნა-
ჩუქარი ქონების რეალიზაციის შემდეგ გასტუმრების თაობაზე, რომ რაკი ქონების რეალიზაცია არ მომ-
ხდარა, მერიას ანაზღაურების ვალდებულება ჯერ არ წარმოშობია. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს
აღნიშნულ მსჯელობასა და დასკვნას, მისი სრული კანონსაწინააღმდეგობის გამო, კერძოდ:

1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის I ნაწილის IV პუნქტების მიხედვით, ხელმოწერი
მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ საყოველთაო უფლებას შრომის სამართლიან ანაზღაურებაზე, ხო-
ლო I მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ეფექტურად დაიცვან მუშაკის მიერ ნებაყოფლობით არჩეული სა-
მუშაოს შესრულების გზით ფულადი სახსრების გამომუშავების უფლება.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით: შრომითი ურთიერთობა არის
შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს
შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. 34-ე მუხლით განსაზღვრულია დამსაქმებლის ვალდებულება –
შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვი-
ანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრუ-
ლი.

განსახილველ შემთხვევაში საწარმოს სახელფასო დავალიანებების გადახდის ვალდებულება ინდივი-
დუალური აქტის საფუძველზე იკისრა ქ. ქუთაისის მერიამ ხოლო, პირობა – გადახდა ნაჩუქარი ქონების
რეალიზაციის შემდეგ, ვერ გახდება სარჩელზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან ადმინისტრაციულმა
ორგანომ სახელფასო დავალიანების გადახდის მომენტი განსაზღვრა ცალმხრივად, დასაქმებულთა თან-
ხმობის გარეშე. სახელფასო დავალიანების გადახდის რაიმე პირობის დათქმა წარმოადგენს მესამე პირე-
ბის (დასაქმებულთა) უფლებრივ ინტერესთა სფეროს და მათი მოსაზრებების გათვალისწინება ზოგადი ად-
მინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის II ნაწილის მიხედვით სავალდებულოა. ადმინისტრაციული ორ-
განო ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ეცნობებინა დაინტერესებულ
მხარეთათვის. თუ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შეიძლება გაურესდეს მა-
თი სამართლებრივი მდგომარეობა, შესაბამისად ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს მე-
სამე პირთა მონვევა და მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. საქმის მასალების მიხედვით არ ირ-
კვევა, რომ აღნიშნული დანაწესი დაცული იყო. ამგვარი დათქმა დავალიანების გადახდასთან დაკავშირე-
ბით უდაროდ აუარესებს მოსარჩელეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მით უფრო იმ პირობებში, როცა
ადმინისტრაციულ ორგანოს არც თარიღი ან მაქსიმალური ვადა განუსაზღვრია პირობის შესასრულებ-
ლად. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქ. ქუთაისის მერიას ოფიციალურად არ განუხორციელებია რაიმე
სამართლებრივი ღონისძიება ნაჩუქარი ქონების სარეალიზაციოდ და ვერც საკასაციო სასამართლოს
სხდომაზე გამოცხადებულმა მისმა წარმომადგენელმა ახსნა, თუ რითია გამონვეული ამ პირობის შეუს-

რულებლობა ან დასახულია თუ არა რაიმე პერსპექტიული გეგმა. ადმინისტრაციული ორგანოს ამგვარი ნეგატიური რეალაქტი (უმოქმედობა), რომელიც არ არის ახსნილი და დასაბუთებული რაიმე აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების ან აღმატებული საჯარო ინტერესის არსებობით, მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ დამაჯერებლობას და პირდაპირ მიმართულია მესამე პირთა კანონიერი უფლებების აბსოლუტური იგნორირების და შელახვისაკენ, რაც სრულ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს, როგორც გაცხადებული სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკის კურსის გატარებასთან.

სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო საქმის განხილვისას გამოერკვია ვალდებულების გადახდის პირობის შეუსრულებლობის ობიექტური გარემოებები მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში იგნორირებულია ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – პირის კანონიერი ნდობის უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კანონიერი ნდობა. კანონიერი ნდობის უფლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ დაცვით სარგებლობს, რადგან ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობას თავისი არსით სუბორდინაციული ხასიათი გააჩნია. კანონიერი ნდობის უფლება იცავს პირს ადმინისტრაციული ორგანოს სამართლებრივი შეცდომის და მომავალში განსახორციელებელი მოქმედების შეუსრულებლობისაგან. აღნიშნული ინსტიტუტის სრულფასოვანი დამკვიდრება უზრუნველყოფს მმართველობის კანონიერებას, სტაბილურობას, მის ავტორიტეტს საზოგადოებაში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა: ქ. ქუთაისის მერია, როგორც ქონების შემძენი-ჩუქების ხელშეკრულების შესაბამისად არ წარმოადგენდა პასუხისმგებელ პირს იმ დავალიანებაზე, რომელიც საწარმოს წარმოეშვა 2008 წლის 2 ოქტომბრის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ხოლო, მანამდე მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანების გადახდის ვალდებულება არ წარმოშობია, რამდენადაც არ მომხდარა გადაცემული ქონების პრივატიზაცია.

ქ. ქუთაისის მერია, ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, სახელფასო დავალიანების მოთხოვნებთან დაკავშირებით არ წარმოადგენდა სს „...“ უფლებამონაცვლეს იმ ურთიერთობებზე, რაც წარმოიშვა ამ უკანასკნელთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების შემდეგ. ამასთან, მერიას არ დაუდია მოსარჩელებთან ახალი ხელშეკრულება, რის გამოც ჩუქების შემდეგ სახელფასო თანხების ანაზღაურების ნაწილში მერიის მოვალედ აღიარების მოთხოვნა უსაფუძვლოა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა სრულიად წინააღმდეგობრივია და არ არის მიმართული სასამართლო დავის კვალიფიციური, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტისაკენ, კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ დაასკვნა, რომ ქ. ქუთაისის მერიას ჩუქების ხელშეკრულების შემდეგ სს „...“ თანამშრომლებთან, მათ შორის მოსარჩელებთან, არ დაუდია შრომითი ხელშეკრულებები, თანაც ისე, რომ სასამართლოს ეს ფაქტი საერთოდ არ გამოუკვლევია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების საფუძველზე მინიჭებული კომპეტენციის ოფიციალობის პრინციპის გამოყენებით თავისი ინიციატივით არ მოუპოვებია თუ რა სამართლებრივი ან ფაქტობრივი წინაპირობა ჰქონდა ქონების გაჩუქების შემდეგ მოსარჩელეთა საქმიანობას გადაცემული ქონების ობიექტებზე, რამდენადაც წარმოუდგენელია, რომ ქონების ახალმა მესაკუთრემ თავისი ნების გამოხატვის (ზეპირი თუ წერილობითი) გარეშე დაუშვას საკუთარ ქონებასთან უცხო, გარეშე პირების თვითნებური საქმიანობა ან სათანადო ანაზღაურების დაპირების გარეშე რა ამოძრავებდათ პირებს რამდენიმე წელი ემუშავათ ამ ობიექტებზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო დამაჯერებლად ვერ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენლის უკრიტიკოდ გაზიარებულ და სასამართლოს დასკვნად ჩამოყალიბებულ განმარტებას, რომ ქუთაისის მერიას მოსარჩელებთან შრომითი ხელშეკრულება არ დაუდია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლ ნაწილში განსაზღვრული სამართალწარმოების ყველა სახისათვის იმპერატიული განსაზღვრული პრინციპი – სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, რომ შეაფასოს მტკიცებულებები თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

სასამართლომ ისე დაადგინა მხარეებს შორის შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობის არარსებობის ფაქტი, რომ საერთოდ არ უმსჯელია ზემომოყვანილ საკითხზე. ამასთან, სასამართლოს ეს ფაქტობრივად და იურიდიულად დაუსაბუთებელი დასკვნა ეწინააღმდეგება მისივე პროცესუალურ მოქმედებებს, ვინაიდან, სასამართლოს ასეთ პირობებში უნდა ემსჯელა მოთხოვნის ამ ნაწილში ქ. ქუთაისის მერიის – არასათანადო მოპასუხის სტატუსზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე. სასამართლო ქ. ქუთაისის მერიას პროცესუალური თვალსაზრისით სათანადო მოპასუხედ მიიჩნევს, თუმცა გადაწყვეტილებაში ასკვნის, რომ მისი მოვალედ აღიარება ქონების გადაცემის შემდეგ პერიოდზე – უსაფუძვლოა. ანუ თუკი მხარეებს შორის შრომითი-სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს, მაშასადამე, მხარისადმი მოთხოვნის უფლება არ არსებობს, ე.ი. მოპასუხე არ არის ის სუბიექტი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მოთხოვნაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზემოთ მითითებული საკითხი საპროცესო სამართლის ელემენტარული ფუნდამენტია და თუ ის არ არსებობს, არ არსებობს შესაბამისი სამართალწარმოება, რადგან მოცემული დავა მოცემულ მხარეებს შორის მოცემულ საგანზე არ არსებობს!

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვემდგომ სასამართლოებში პრობლემატურია მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისი პროცესუალური კონტექსტის გათვალისწინებით განხილვა.

მოთხოვნის ამ ნაწილში დავის ობიექტურად და კვალიფიციურად გადაწყვეტისათვის სააპელაციო სასამართლომ გამოიყენოს საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, მოიპოვოს მტკიცებულებები, კერძოდ, მოწმეებზე დაკითხოს ქ. ქუთაისის მერიის მოხელეები, მათ შორის 2008 წლის 2 ოქტომბრის – პერიოდისათვის მოქმედი მერი, ხელშეკრულებაზე ხელმომწერი თანამდებობის პირები და სხვა მოხელეები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ქონების გადაცემასთან, მოიძიოს მერიის ადმინისტრაციული აქტები, რომლებიც დაადასტურებს ან გააქარწყლებს მოსარჩელეთა შრომით-სამართლებრივ კავშირს ქ. ქუთაისის მერიასთან. გამოარკვიოს, თუ რის საფუძველზე საქმიანობდნენ მოსარჩელენი გადაცემული ქონების ობიექტებზე და თუ ეს საქმიანობა იყო თვითნებური, რატომ და როგორ დაუშვა ეს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ. აღნიშნული გარემოებების გამორკვევაში სასამართლოს დაეხმარება იმ საკითხის გარკვევაზე თუ ვინ საქმიანობს დღეის მდგომარეობით ამ ობიექტებზე და რის საფუძველზე.

მოთხოვნის ამ ნაწილში სათანადო მოპასუხის განსაზღვრისათვის სასამართლომ უნდა გამოარკვიოს სს „...“ სამართლებრივი და ფაქტობრივი საქმიანობის სტატუსი, მისი ფუნქციონირების საკითხი, მოწმედ დაკითხოს საწარმოს საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები (დირექტორი და სხვა), რომლებიც ახსნიან, თუ რას ეფუძნებოდა მოსარჩელეთა საქმიანობა მერიისთვის ნაჩუქარ ქონებასთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს შრომის კოდექსით დაშვებულია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების როგორც წერილობითი ისე ზეპირი ფორმით დამყარება, ვინაიდან ნებისმიერი სახელშეკრულებო ურთიერთობა სამოქალაქო სამართალურითიერობის ფუნდამენტს – მხარეთა კეთილსინდისიერების პრინციპს ეფუძნება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გამორკვევისა და დადგენის შედეგად, სასამართლომ უნდა განსაზღვროს მოცემულ სამართალურითიერობაში ადგილი აქვს თუ არა მოპასუხეთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას ან სარჩელის მოთხოვნებიდან რომელ ნაწილში რომელი სუბიექტია ის, რომელმაც პასუხი უნდა აგოს მოთხოვნაზე /სათანადო მოპასუხე/, შედეგად სასამართლომ ჩაატაროს შესაბამისი საპროცესო მოქმედება, განსაზღვროს მოთხოვნათა დარღობრივი ხასიათის მიხედვით, ადეკვატური სამართალწარმოების სახე.

ასევე სრულიად დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა მერიის მიერ თავისი ვალდებულებად აღიარებულ სახელფასო დავალიანებების მერიისათვის არ დაკისრების ნაწილშიც, მითუმეტეს სავსებით კანონსაწინააღმდეგოა ქ. ქუთაისის მერიის მიერ აღიარებული დავალიანების გადახდის სს „...“ დაკისრება, ისე, რომ სასამართლოს არც გამოურკვევია სს-ბის ფუნქციონირების საკითხი და აღნიშნულის გამორკვევის შედეგადაც, ჩუქების ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე თვალნათელია სს-ბას რა სამართლებრივი ვალდებულება აკავშირებს სახელფასო დავალიანებასთან მიმართებით მოსარჩელეებთან. სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნები, რომ არ უმსჯელია სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ გაუქარწყლებია ისინი და იურიდიულად არ დაუსაბუთებია.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეზე №88-52-52(კ-08) მ. ბ-ის სარჩელისა გამო მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიმართ, 2008 წლის 25 მარტის განჩინებაში ჩამოყალიბებულ განმარტებას: საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ: „სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება განჩინებაში გადმოსცეს მოკლე დასაბუთება, არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული იმგვარად, რომ სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით ახორციელებს მართლმსაჯულებას. მითითებული ნორმით დადგენილი პროცესუალური უფლებამოსილების გამოყენება არ უნდა მოვიდეს წინააღმდეგობაში ამავე კოდექსის 377.1 მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციასა და კომპეტენციასთან, ვინაიდან სააპელაციო ინსტანციაში მართლმსაჯულების განხორციელების არსი მდგომარეობს სწორედ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შემოწმების ვალდებულების დადგენით. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების ვალდებულება პროცესუალურ-სამართლებრივი დოქტრინის მიხედვით უცილობლად გულისხმობს და მოიაზრებს სააპელაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შეფასებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც აგებულია მხარეთა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივარს აკუთვნებს მხარის უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, ამასთან, სწორედ მხარის ამ საპროცესო უფლების რეალიზაცია თანაზომიერია მხარისავე საპროცესო ვალდებულებასთან – დაასაბუთოს საჩივარი, კერძოდ, სსსკ-ის 368-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ე) და ვ) ქვეპუნქტებში მითითებულია თუ რა უნდა იყოს ასახული სააპელაციო საჩივრის შინაარსში. მხარის ამგვარი პროცესუალური ვალდებულება შეიცავს მხარის საპროცესო უფლებრივ გარანტიას, ზემდგომმა სასამართლომ შეაფასოს მისი საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, გაიზიაროს ან უარყოს, გააქარწყლოს ისინი იურიდიულად არგუმენტირებული სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოყენება ზემომითითებული საპროცესო ნორმების ობიექტური შინაარსის კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, სააპელაციო სამართალწარმოებას გახდის ზედაპირულს და განაპირობებს მის უკიდურესად ფორმალისტურ ხასიათს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სააპელაციო სამართალწარმოების არსსა და მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საპროცესო ნორმა შეუძლებელია გამოყენებულ იქნას მხარის პროცესუალური უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება უნდა შეიზღუდოს, რათა არ მოხდეს მხარის საპროცესო უფლების იგნორირება, უკიდურეს შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული საპროცესო ზედამხედველობა განუხორციელებელი დარჩება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 412.2 მუხლის შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალური და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებით, კანონიერი და ობიექტური გადაწყვეტილების დადგენის მიზნით, სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ზემოთთითებული გარემოებები და დავა გადაწყვიტოს მოქმედი საპროცესო და მატერიალური სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სსსკ-ის 53.4. მუხლის შესაბამისად, სასამართლო ხარჯები უნდა გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.2, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ჩ-ის, მ. ხ-ისა და გ. მ-ის საკასაციო საჩივრი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ლიკვიდაციის გამო გასასვლელი დახმარების ანაზღაურების საფუძველი

ბანკინება

№ბს-450-447(კ-11)

4 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ფ-ამ, ე. დ-ამ, მ. ჯ-ემ, ნ. მ-ემ, ლ. პ-ამ, რ. ი-მა, ს. ყ-ემ, ნ. დ-ემ, ლ. ა-მა, ნ. ფ-ამ, ი. წ-ა-ო-მა, ნ. ა-ამ, ლ. რ-ამ, მ. ლ-ემ, ი. კ-ემ, ყ. ბ-ემ, ო. ჩ-მა, რ. ჯ-მა, დ. გ-ემ, მ. კ-ემ, ნ. უ-ამ, მ. ი-ემ, ნ. მ-ემ, ლ. ი-მა, ლ. ა-ამ, ა. ტ-ომ, ზ. ძ-ამ, ო. ბ-ემ, ა. ო-მა, გ. თ-ამ, ი. ტ-ემ, ს. ი-ემ, მ. მ-მა, ჯ. კ-მა, ა. გ-ემ, გ. ა-ემ, ჯ. ლ-მა, მ. ვ-ემ, მ. გ-ემ, ი. ხ-ემ, გ. ჩ-ემ, ლ. ლ-ემ, გ. ჩ-ემ, მ. მ-ემ, ო. კ-ემ, მ. ი-ემ, გ. კ-მა და ა. კ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან დავალიანების ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ იყვნენ ქ. წყალტუბოს ყოფილი სამხედრო სანატორიუმი „...“ თანამშრომლები, სანატორიუმის ლიკვიდაციის გამო გათავისუფლდნენ სამუშაოდან, რის შემდეგ მისაღები დარჩათ გასასვლელი დახმარება, რაზეც არაერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რომელიც პირდებოდა დავალიანების ანაზღაურებას, მაგრამ თანხები არ გადაუხადა. მოსარჩელებმა მ. მ-მა და ჯ. კ-მა მოითხოვეს მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების, შესაბამისად 858,97 ლარისა და 598,07 ლარის გადახდის დაკისრება, მოსარჩელებმა ს. ი-ემ და ა. გ-ემ მოითხოვეს მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების, გასასვლელი დახმარების და კომპენსაციის თანხებზე ცნობების გაცემის დავალება და გადაუხდელი თანხების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.12.086. განჩინებით სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელეთა ნაწილის განცხადება დაკმაყოფილდა და მ. ვ-ის, ჯ. ლ-ის, გ. ა-ის, მ. გ-ის, ი. ხ-ის, გ. ჩ-ის, ლ. ლ-ის, მ. მ-ის, ო. კ-ის, მ. ი-ის, გ. კ-ის სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.12.086. განჩინებით ს. ი-ეს და ა. კ-ის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვათ უარი, ვინაიდან მათ განჩინებით განსაზღვრულ ვა-

დაში არ შეავსეს 22.10.086. სასამართლო სხდომაზე მიღებული საოქმო განჩინებით სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების მიზნით დადგენილი ხარვეზი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.086. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ნ. უ-ას, ს. ჯ-ის, ი. კ-ის, მ. ჯ-ის, მ. ი-ის, ლ. პ-ას, ო. ჩ-ის, ი. ნ-ას, რ. ჯ-ის, ნ. ფ-ას მოთხოვნის ნაწილში, სსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმის წარმოება შეწყდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.086. გადაწყვეტილებით ქ. წყალტუბოს ცენტრალური სამხედრო სანატორიუმის „...“ ყოფილი თანამშრომლების: ა. გ-ის, ჯ. კ-ის, მ. მ-ის, ლ. ფ-ას, ე. დ-ას, ნ. მ-ის, რ. ი-ის, ნ. დ-ის, ლ. ა-ის, ნ. ა-ას, ლ. რ-ას, მ. რ-ის, ჟ. ბ-ის, დ. გ-ის, მ. კ-ის, ნ. მ-ის, ლ. ი-ის, ლ. ა-ას, ა. ტ-ოს, ზ. ძ-ას, ო. ბ-ის, ა. ო-ის, გ. თ-ას, ი. ტ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ა. გ-ის სასარგებლოდ 849 ლარი და 83 თეთრი, ჯ. კ-ის სასარგებლოდ 560 ლარი და 43 თეთრი, მ. მ-ის სასარგებლოდ 858 ლარი და 97 თეთრი, ლ. ფ-ას სასარგებლოდ 156 ლარი, ე. დ-ას სასარგებლოდ 180 ლარი, ნ. მ-ის სასარგებლოდ 132 ლარი, რ. ი-ის სასარგებლოდ 169 ლარი, ნ. დ-ის სასარგებლოდ 162 ლარი, ლ. ა-ის სასარგებლოდ 169 ლარი, ნ. ა-ას სასარგებლოდ 156 ლარი, ა. ტ-ოს სასარგებლოდ 156 ლარი და 25 თეთრი, ლ. რ-ას სასარგებლოდ 208 ლარი, მ. რ-ის სასარგებლოდ 208 ლარი, ჟ. ბ-ის სასარგებლოდ 156 ლარი, დ. გ-ის სასარგებლოდ 169 ლარი, მ. კ-ის სასარგებლოდ 169 ლარი, ნ. მ-ის სასარგებლოდ 156 ლარი, ლ. ი-ის სასარგებლოდ 156 ლარი, ლ. ა-ას სასარგებლოდ 132 ლარი, ზ. ძ-ას სასარგებლოდ 156 ლარი და 25 თეთრი, ო. ბ-ის სასარგებლოდ 162 ლარი და 50 თეთრი, ა. ო-ის სასარგებლოდ 162 ლარი და 50 თეთრი, გ. თ-ას სასარგებლოდ 149 ლარი და 50 თეთრი, ი. ტ-ის სასარგებლოდ 150 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა ვალდებულება გაეცა პრობითი გასამრჯელო მოსამსახურეებზე. ამასთანავე 37.4 მუხლით განისაზღვრა, რომ მოსამსახურეთა პრობითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყარო იყო შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსამსახურეთა პრობითი გასამრჯელოს დაფინანსების შემცირების საფუძველი. სასამართლომ ასევე მიუთითა „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ პრეზიდენტის 05.11.046. №493 ბრძანებულების 33-ე პუნქტზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის თავდაპირველი რედაქციის შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა, კურსანტებისა და რეზერვიდან ჩარიცხული მსმენელებისა), რომლებიც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, ნამსახურები წლების მიხედვით ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ფულადი სარგოს სახით. საქართველოს პრეზიდენტის 31.12.046. №640 ბრძანებულებით №493 ბრძანებულებაში შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად 33-ე პუნქტი გაიყო ორი ნაწილად და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, ვინც დათხოვნილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებათან დაკავშირებით განისაზღვრა ბრძანებულების 33' პუნქტით. №640 ბრძანებულებით ბრძანებულების 33' პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით მოხდა სამსახურიდან გათავისუფლებული სამხედრო მოსამსახურეების მიერ ნამსახურები წლების მიხედვით ფულადი სარგოს სახით ერთჯერადი დახმარების მიღების უფლების დეკლარირება, ნორმის შეჩერებით სახელმწიფომ აღიარა მოსარჩელეთა უფლება, მიიღოს ფულადი დახმარება. რაც შეეხება აღიარებული უფლების რეალიზაციის მექანიზმს, აღნიშნული დაუკავშირდა დროის შემდგომ პერიოდს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელები უფლებამოსილი არიან მოითხოვონ ერთჯერადი (გასასვლელი) ფულადი დახმარება, რისი გაცემის ვალდებულებაც თავდაცვის სამინისტროს ეკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.086. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.096. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც ნ. დ-ის, ა. ტ-ოს, ნ. მ-ის და ო. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. დ-ის, ა. ტ-ოს, ნ. მ-ის და ო. ბ-ის სარჩელები დატოვებული იქნა განუხილველად, დანარჩენ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.086. გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ნ. დ-ის, ა. ტ-ოს, ნ. მ-ის და ო. ბ-ის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უკვე დაკისრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.06.086. გადაწყვეტილებით. მითითებული გადაწყვეტილება არ იყო კანონიერ ძალაში შესული და საქმე იხილებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სსკ-ის 275.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე მათი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს ქმნიდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელები: ა. გ-ის, ჯ. კ-ის, მ. მ-ის, ლ. ფ-ას, ე. დ-ას, ნ. მ-ის, რ. ი-ის, ლ. ა-ის, ნ. ა-ას, ლ. რ-ას, მ. რ-ის, ჯ. ბ-ის, დ. გ-ის, მ. კ-ის, ლ. ი-ის, ლ. ა-ას, ზ. ზ-ას, ა. ო-ის, გ. თ-ას, ი. ტ-ის სარჩელი, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათ სწორი სამართლებრივი შეფასება

მისცა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელებმა, ცენტრალური სამხედრო სანატორიუმი „...“ ყოფილმა თანამშრომლებმა, მიმართეს რა სასამართლოს სარჩელით დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, მოითხოვეს გასასვლელი დახმარების თანხები გასასვლელი დახმარების დავალიანების სახით. საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის 11.02.08წ. ცნობის თანახმად, ყოფილ სამხედრო სანატორიუმ „...“ მითითებულ თანამშრომლებზე ერიცხება სახელფასო დავალიანება სწორედ მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი თანხების ოდენობით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული დავალიანება არის საბოლოო ანგარიშ-სწორებისას გასაცემი თანხები გასასვლელი დახმარებისა და სახელფასო დავალიანების სახით. საქმეში არსებული ცნობებით დასტურდება, რომ ცენტრალური სამხედრო სანატორიუმი „...“ ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 29.12.04წ. №402 ბრძანებით, რის შემდეგაც განხორციელდა აღნიშნულ მოსარჩელეთა სამსახურიდან განთავისუფლება. სარჩელი სასამართლოში აღძრულია 28.12.07წ., ამრიგად, გასასვლელ დახმარებაზეც, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით გათვალისწინებული პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან წარმოშობილ მოთხოვნაზე, სარჩელი აღძრულია ამავე ნორმით გათვალისწინებული სამი წლის ვადაში და იგი ხანდაზმულ მოთხოვნად ვერ ჩაითვლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.09.09წ. განჩინებით ნ. უ-ას, რ. ფ-ის, ნ. ფ-ას, ი. კ-ის, მ. ჯ-ის, მ. ი-ის, ლ. პ-ას, ო. ჩ-ის, ი. ნ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შეცვლილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. განჩინების ის ნაწილი, რომლითაც ნ. უ-ასა და ო. ჩ-ის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, ამ ნაწილში მიღებული ახალი განჩინებით ნ. უ-ასა და ო. ჩ-ის სარჩელი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების თაობაზე დატოვებულ იქნა განუხილველად, გასაჩივრებული 29.12.08წ. განჩინება გაუქმდა დანარჩენ ნაწილში და საქმე რ. ფ-ის, ნ. ფ-ას, ი. კ-ის, გ. ჯ-ის, მ. ი-ის, ლ. პ-ას, ი. ნ-ას სარჩელზე წარმოების შეწყვეტის საკითხის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.09წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ. ვკასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.10წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.06.09წ. განჩინებაზე ხელფასის თანხების მოსარჩელებისათვის – მ. მ-ისათვის 858,97 ლარის, ჯ. კ-ისათვის 560,43 ლარისა და ა. გ-ისათვის 849,83 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ერთჯერადი გასასვლელი დახმარების თანხის მოსარჩელებისათვის – ლ. ფ-ას სასარგებლოდ 156 ლარის, ე. დ-ას სასარგებლოდ 180 ლარის, ნ. მ-ის სასარგებლოდ 132 ლარის, რ. ი-ის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ა-ის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. ა-ას სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. რ-ას სასარგებლოდ 208 ლარის, მ. რ-ის სასარგებლოდ 208 ლარის, ყ. ბ-ის სასარგებლოდ 156 ლარის, დ. გ-ის სასარგებლოდ 169 ლარის, მ. კ-ის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ი-ის სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. ა-ას სასარგებლოდ 132 ლარის, ზ. ძ-ას სასარგებლოდ 156,25 ლარის, ა. ო-ის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. თ-ას სასარგებლოდ 149,50 ლარის და ი. ტ-ის სასარგებლოდ 150 ლარის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის განხილვა დაშვებულ ნაწილში დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 19.05.10წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაშვებულ ნაწილში დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.07.09წ. განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. გადაწყვეტილება ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების სახით მოსარჩელებისათვის – ლ. ფ-ას სასარგებლოდ 156 ლარის, ე. დ-ას სასარგებლოდ 180 ლარის, ნ. მ-ის სასარგებლოდ 132 ლარის, რ. ი-ის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ა-ის სასარგებლოდ 169 ლარის, ნ. ა-ას სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. რ-ას სასარგებლოდ 208 ლარის, მ. ე-ის სასარგებლოდ 208 ლარის, ყ. ბ-ის სასარგებლოდ 156 ლარის, დ. გ-ის სასარგებლოდ 169 ლარის, მ. კ-ის სასარგებლოდ 169 ლარის, ლ. ი-ის სასარგებლოდ 156 ლარის, ლ. ა-ას სასარგებლოდ 132 ლარის, ზ. ზ-ას სასარგებლოდ 156,25 ლარის, ა. ო-ის სასარგებლოდ 162,50 ლარის, გ. თ-ას სასარგებლოდ 149,50 ლარის და ი. ტ-ის სასარგებლოდ 150 ლარის ანაზღაურების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.12.10წ. გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.08წ. გადაწყვეტილება ლ. ფ-ას, ე. დ-ას, ნ. მ-ის, რ. ი-ის, ლ. ა-ის, ნ. ა-ას, ლ. რ-ას, მ. რ-ის, ყ. ბ-ის, დ. გ-ის, მ. კ-ის, ლ. ი-ის, ლ. ა-ას, ზ. ძ-ას, ა. ო-ის, გ. თ-ას, ი. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ფ-ას, ე. დ-ას, ნ. მ-ის, რ. ი-ის, ლ. ა-ის, ნ. ა-ას, ლ. რ-ას, მ. რ-ის, ყ. ბ-ის, დ. გ-ის, მ. კ-ის, ლ. ი-ის, ლ. ა-ას, ზ. ძ-ას, ა. ო-ის, გ. თ-ას, ი. ტ-ის სასარჩელო განცხადება თავდაცვის სამინისტროს მიმართ ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 31.12.04წ. №640 ბრძანებულებით შეტანილ იქნა ცვლილება №493 ბრძანებულებაში, რის საფუძველზეც 33-ე პუნქტი გაიყო ორ პუნქტად

და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი იმ პირებზე, ვინც დათხოვილი არიან შეიარაღებული ძალების რიგებიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით განისაზღვრა ბრძანებულების 33' პუნქტით. იმავე №640 ბრძანებულების 61' პუნქტით 33' პუნქტის მოქმედება შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07წ. №531 ბრძანებულებით შემოსხენებული 33' პუნქტი საერთოდ იქნა ამოღებული. ამდენად, პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულების 33' პუნქტმა იმოქმედა 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 21 სექტემბრამდე. საქმის მასალებით დგინდება, რომ ნორმის მოქმედების პერიოდში არცერთ მოსარჩელეს არ მიუძღვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ერთჯერადი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით. ამასთანავე, სარჩელის შეტანის დროისათვის ნორმა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის თაობაზე უკვე გაუქმებული იყო. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 01.11.04წ. №493 ბრძანებულებას 33' პუნქტი დაემატა 31.12.04წ. №640 ბრძანებულებით, ხოლო მოსარჩელები სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 31.12.04წ. ბრძანებით, ამდენად მოსარჩელების საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მუშაობის პერიოდში ბრძანებულების 33' პუნქტი არ არსებობდა.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №493 ბრძანებულებით გათვალისწინებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ეძლეოდათ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებს და არა თავდაცვის სამინისტროში მომუშავე სამოქალაქო პირებს. საქმის მასალებით (მათ შორის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ თავდაცვის მინისტრის 31.12.04წ. ბრძანებებით) დგინდება, რომ ყველა განთავისუფლებული მოსარჩელე წარმოადგენდა სამოქალაქო პირს და არა სამხედრო მოსამსახურეს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.12.10წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ფ-ამ, ნ. მ-ემ, ლ. ა-ამ, მ. კ-ემ, ე. დ-ამ, რ. ი-მა, ლ. ა-მა, ნ. ა-ამ, ლ. რ-ამ, მ. რ-ემ, ყ. ბ-ემ, დ. გ-ემ, ლ. ი-მა, ზ. ძ-ამ, ა. ო-მა, გ. თ-ამ, ი. ტ-ემ. კასატორებმა მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.12.10წ. გადაწყვეტილების გაუქმება და თბილისის საქალაქო სასამართლოს 29.12.08წ. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება. საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა „სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04წ. №493 ბრძანებულების 33' და 61' პუნქტები, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134' მუხლი. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ როგორც სახელფასო დავალანების, ისე ერთჯერადი გასასვლელი თანხის ანაზღაურების მოთხოვნით არაერთხელ მიმართავდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 21 სექტემბრამდე პერიოდში, კერძოდ, 04.07.06წ. მიმართეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, 10.08.06წ. მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, 24.06.06წ. მიმართეს საქართველოს ფინანსთა მინისტრს, 10.07.07წ. მიმართეს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, 09.07.07წ. მიმართეს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, 06.06.07წ. №41, 10.07.10წ. №66, 26.07.07წ. №85 წერილებით მოსარჩელების წარმომადგენელმა მიმართა საქართველოს თავდაცვის მინისტრს. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ თავდაცვის სამინისტროს 06.07.07წ. №9/2035 და 01.08.06წ. №9/2438 წერილები, აგრეთვე ფინანსთა სამინისტროს 19.07.06წ. №04-02/7165 წერილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ფ-ას, ნ. მ-ის, ლ. ა-ას, მ. კ-ის, ე. დ-ას, რ. ი-ის, ლ. ა-ის, ნ. ა-ას, ლ. რ-ას, მ. რ-ის, ყ. ბ-ის, დ. გ-ის, ლ. ი-ის, ზ. ძ-ას, ა. ო-ის, გ. თ-ას, ი. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი და დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამოქალაქო პირებად და გათავისუფლდნენ 31.12.04 წ. სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ყველა მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მუშაობდა როგორც სამოქალაქო პირი. აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ სადავო სამართალური თითობაზე არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. №493 ბრძანებულება არ არის დასაბუთებული, ვინაიდან 05.11.04 წ. №493 ბრძანებულება ეხებოდა არამხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებს, არამედ აგრეთვე სამოქალაქო პირებსაც. ის გარემოება, რომ 05.11.04 წ. №493 ბრძანებულების 33-ე და 33' პუნქტებით ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარების გაცემა გათვალისწინებული იყო მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებზე, აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება მოსარჩელების სამსახურიდან დათხოვნის (31.12.04 წ.) დღეს №493 ბრძანებულებაში 33' პუნქტის დამატებისა და შესაბამისად მოსარჩელეთა მუშაობის პერიოდში 33' პუნქტის არარსებობის შესახებ, საკასაციო პალატის აზრით ასევე არ ადასტურებს სადავო სამართალური თითობაზე საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. №493 ბრძანებულების გაუვრცელებლობას და მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 05.11.04 წ. №493 ბრძანებულების ადრინდელი

რედაქცია ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებული სამოქალაქო პირების ერთჯერადი დახმარების უფლებას, კერძოდ ბრძანებულების 35-ე პუნქტი უთითებდა, რომ სამოქალაქო პირებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან სამსახურიდან ეძლეოდათ ერთჯერადი დახმარება, რომლის ოდენობა უკავშირდებოდა გათავისუფლების საფუძველს. ბრძანებულების ხსენებული ნორმა გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07 წ. №531 ბრძანებულებით, ამდენად, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნიდა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება სამსახურიდან მოსარჩელეთა დათხოვნის პერიოდში ბრძანებულების 33¹ პუნქტის არარსებობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ ისე თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი, რომ არ უმსჯელია საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. №493 ბრძანებულების საფუძველზე რეორგანიზაციის გამო განთავისუფლებული პირებისათვის ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე, სააპელაციო პალატას არ უმსჯელია აგრეთვე სამოქალაქო პირების მიმართ ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემის მოთხოვნის მიმართ სხვა ნორმატიული აქტების გამოყენების შესაძლებლობაზე. 33¹ პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ სარჩელის აღძვრა არ გამორიცხავს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ვინაიდან 33¹ პუნქტი, როგორც უკვე აღინიშნა, არ ითვალისწინებდა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გაცემას სამოქალაქო პირებზე, ამასთანავე სამოქალაქო პირების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლების გამო ერთჯერადი დახმარების გაცემას. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის 31.12.04 წ. ბრძანებულების 35-ე პუნქტის მოქმედების 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერებას 31.12.01 წ. №640 ბრძანებულების 61¹ პუნქტით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნის, შეჩერება არ ნიშნავს ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას. საქართველოს პრეზიდენტის 21.09.07 წ. ბრძანებულებით 35-ე პუნქტის ამოღება ასევე არ გამორიცხავდა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ უარყო რა სადავო სამართალურთიერთობებზე საქართველოს პრეზიდენტის 05.11.04 წ. №493 ბრძანებულების გამოყენების შესაძლებლობა, არ უმსჯელია სადავო სამართალურთიერთობების მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენების შესაძლებლობაზე. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის თანახმად დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელეს კომპენსაციის სახით ეძლევა თანამდებობრივი სარგო. მითითებული ნორმით გათვალისწინებული გასასვლელი დახმარების გაცემის მიზანია სამსახურიდან გათავისუფლებული პირისათვის სხვა სამსახურის დაწყებამდე არსებობის შენარჩუნების მინიმალური ფინანსური უზრუნველყოფა. აღნიშნული დახმარება უმუშევრად დარჩენილი საჯარო მოსამსახურის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ერთერთი პირველადი ღონისძიებაა. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის გაცემის საკითხის გადაწყვეტისათვის საქმეზე უნდა გაირკვეს თუ რა სტატუსით სარგებლობდნენ მოსარჩელები გათავისუფლების მომენტში, კერძოდ მათზე მოხელის ან დამხმარე მოსამსახურის სტატუსის გავრცელების შესაძლებლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელისათვის კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს გაცემა თავისი ბუნებით არის კომპენსაციური ხასიათის ერთჯერადი სავალდებულო გადახდა, ის არ უკავშირდება შრომის ანაზღაურებას, ინიშნება მუშაკის სურვილის გარეშე დათხოვნის შემთხვევაში და მიზნად ისახავს დაწესებულების ლიკვიდაციის ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით მუშაკის დანაკარგის ანაზღაურებას, მისი ოდენობის განსაზღვრა, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მუშაკის თანამდებობრივი სარგოდან ხდება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა მოსარჩელე სუბიექტთა სტატუსი და ემსჯელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურების საფუძველის არსებობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 109-ე მუხლის მოქმედების არაერთჯერადი შეჩერება (13.07.2000 წ., 13.12.2000 წ., 15.02.02 წ., 29.01.03 წ., 31.12.03 წ., 29.12.04 წ. კანონები) ასევე არ ქმნიდა ერთჯერადი გასასვლელი დახმარების უფლების დაკარგვის საფუძველს. ნორმის შეჩერებით ადგილი ჰქონდა აღიარებული უფლების რეალიზაციის ხელშეშლას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05 წ. გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ უმუშევარის სტატუსის განსაზღვრა-მონესრიგებას და სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარებას, არამედ სამუშაოდან დათხოვნის დროიდან კუთვნილი კომპენსაციის, გამოსასვლელი დახმარების მიღების უფლებასაც. საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05 წ. გადაწყვეტილებით ნორმის მოქმედების შემაჩერებელი საკანონმდებლო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის ერთერთ ძირითად საფუძველს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ აქტი უსამართლოდ აჭიანურებდა უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ ერთჯერადი გასასვლელი დახმარება არ არის მოცული ხელფასის ცნებით, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 134¹ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება კანონით განსაზღვრულ კომპენსაციაზე, გარკვევას საჭიროებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელები სამსახურიდან საქართველოს თავდაცვის მი-

ნისტრის 31.12.04 ნ. ბრძანებით გათავისუფლდნენ მიმდინარე რეორგანიზაციის გამო, სარჩელი აღძრულია 28.12.07 ნ., შესაბამისად დაცულია კანონმდებლობით (სკ-ის 129-ე მუხ.) განსაზღვრული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა.

ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 109-ე მუხლი მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების დროს მოქმედი რედაქციით (19.03.99 ნ. კანონი) და ამჟამად მოქმედი რედაქციით (23.12.05 ნ. კანონი) ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ოდენობას არ უკავშირებს სამსახურობის სტაჟს და ადგენს დაწესებულების ლიკვიდაციის გამო ან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან გათავისუფლებისას მოხელისათვის კომპენსაციის სახით 2 თვის თანამდებობრივი სარგოს მიცემას, შესაბამისად, დადგენას საჭიროებს აგრეთვე თითოეული მოსარჩელის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის საგანი ეხება მხოლოდ იძულებით განაცდურს. აღნიშნულიდან გამომდინარე გარკვევას საჭიროებს საკითხი იმის შესახებ თუ რამდენი თვის თანამდებობრივი სარგოს შეადგენს გასასვლელი დახმარება, რომელსაც მოითხოვენ კასატორები, მოიცავს თუ არა მოთხოვნის საფუძველად მითითებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის საფინანსო განყოფილების უფროსის ცნობაში ასახული თანხები თანამდებობრივ სარგოს, თუ მასთან ერთად აგრეთვე სხვა დანამატებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივი, არსებობს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის აბსოლუტური საფუძველი. შესაბამისად სახეზეა საკასაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების, სსკ-ის 412.2 მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, 412 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ფ-ას, ნ. მ-ის, ლ. ა-ას, მ. კ-ის, ე. დ-ას, რ. ი-ის, ლ. ა-ის, ნ. ა-ას, ლ. რ-ას, მ. რ-ის, ჟ. ბ-ის, დ. გ-ის, ლ. ი-ის, ზ. ძ-ას, ა. ო-ის, გ. თ-ას, ი. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.12.10 ნ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

ბანჩინება

№ბს-1490-1472(კ-11)

30 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

15.11.10 ნ. გ. ს-ამ, შ. ხ-ამ, კ. ხ-ამ და სხვებმა (8 პირი) სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოპასუხისათვის დავალიანების გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

მოსარჩელები წლების განმავლობაში მუშაობდნენ საქართველოს სპეცკავშირის სამსახურის რესპუბლიკური კვანძის სამტრედიის რეგიონალურ განყოფილებაში, სპეცკავშირის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების საფუძველზე 2007 წლის 20 დეკემბრიდან მოსარჩელები გათავისუფლდნენ სამსახურიდან, მაგრამ არ მიუღიათ შრომის ანაზღაურების თანხები, ასევე არ მომხდარა მათ მიმართ საბოლოო ანგარიშსწორება.

მოსარჩელეთა წარმომადგენელმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი ხელფასისა და დაწესებულების ლიკვიდაციის შედეგად მათი გათავისუფლების გამო 2 თვის თანამდებობრივი სარგოს დაანგარიშებისა და გადახდის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.02.11წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 08.11.07წ. №655 განკარგულების საფუძველზე საქართველოს მთავრობის 10.09.04წ. №77 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სპეციალური კავშირის სამსახური და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა უზრუნველყო ხსენებული განკარგულების შესასრულებლად კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. საქართველოს მთავრობის 08.11.07წ. №655 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.07წ. №1-1/2015 ბრძანებით შეიქმნა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სპეციალური კავშირის სამსახურის სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც მუშაობა არ დაუსრულებია.

საქალაქო სასამართლომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი 14.01.11წ. №1466 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე დადგინდად მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატის ბუღალტერიას მოსარჩელების მიმართ ძველი სახელფასო დავალიანების შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვება. ამასთან, მოსარჩელებს არ წარუდგენიათ უტყუარი მტკიცებულება მათი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე, საქმეში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ოთხი მოსარჩელის შრომის ნიგნაკების ასლები, რომლებითაც დასტურდებოდა მხოლოდ აღნიშნული პირების სამსახურიდან გათავისუფლება სპეცკავშირის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, ხოლო დანარჩენი მოსარჩელების მიმართ არანაირი მტკიცებულება არ მოიპოვებოდა, რომლებითაც დადასტურდებოდა მათი შრომითი ურთიერთობა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სპეცკავშირის სამსახურთან.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ.ს-ამ და სხვებმა, რომლებმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.02.11წ. გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.06.11წ. საოქმო განჩინებით აპელანტ გ. ც-ის წარმომადგენლის - ი. ნ-ას შუამდგომლობა სარჩელის გახმობის თაობაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.02.11წ. გადაწყვეტილება გ. ც-ის ნაწილში და ამ ნაწილში სარჩელი დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.06.11წ. გადაწყვეტილებით ბ. ბ-ის, ვ. ს-ას, ო. გ-ის, შ. ხ-ას, დ. ც-ის, კ. ხ-ას, გ. ს-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.02.11წ. გადაწყვეტილება ბ. ბ-ის, ვ. ს-ას, ო. გ-ის, შ. ხ-ას, დ. ც-ის, კ. ხ-ას, გ. ს-ას 1997-1998-1999 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სასარჩელო მოთხოვნა 1997-1998-1999 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაეკისრა კ. ხ-ას სასარგებლოდ 821.68 ლარის, ო. გ-ის სასარგებლოდ - 848.78 ლარის, დ. ც-ის სასარგებლოდ - 1275.25 ლარის, ვ. ს-ას სასარგებლოდ - 797.53 ლარის, ბ. ბ-ის სასარგებლოდ - 832.83 ლარის, შ. ხ-ას სასარგებლოდ - 853.48 ლარისა და გ. ს-ას სასარგებლოდ - 1714.09 ლარის ანაზღაურება; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.02.11წ. გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა დაწესებულების ლიკვიდაციის შედეგად განთავისუფლების გამო ორი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების ნაწილში არ გაიზიარა ამ მიმართებით მტკიცებულებათა არარსებობის გამო. სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სპეცკავშირის სამსახურის 26.02.08წ. ცნობის საფუძველზე დადგინდა, რომ სამინისტროს სპეციალური კავშირის სამსახურის სამტრედიის რეგიონალური განყოფილების ფელდეგერების მიმართ არსებობდა დავალიანება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე, 134-ე მუხლებსა და „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 30.06.11წ. გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 17.03.99წ. №138 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სპეციალური კავშირის სამსახურის დებულების თანახმად, სპეცკავშირს აქვს უფლება დამოუკიდებლად განახორციელოს სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო პასუხს არ აგებს სპეცკავშირის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა გამო, ხოლო სპეცკავშირი პასუხს არ აგებს სამინისტროს მიერ ნაკისრი ვალდებულებების გამო, მისი ქონება წარმოიქმნება საკუთარი შემოსავლებიდან, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხს სპეცკავშირი წყვეტს დამოუკიდებლად. ამდენად, კასატორის მითითებით, სპეცკავშირი არ წარმოადგენდა დაწესებულებას, რომელიც ფინანსდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან, შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნა სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და განხილულ იქნა მხარეთა დასწრებით.

მოწინააღმდეგე მხარემ არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 407.2 მუხლის შესაბამისად, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა შესახებ კასატორს არ წამოუყენებია საკასაციო პრეტენზია. კერძოდ, საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელები მუშაობდნენ საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალური კავშირის სამსახურში, რომელიც ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მთავრობის 08.11.076. №655 განკარგულებით, ამავდროულად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაევალა უზრუნველყო ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.076. №1-1/2012 ბრძანებით, შეიქმნა სპეცკავშირის სალიკვიდაციო კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლებით. სპეცკავშირის სამსახურის ლიკვიდაციის გამო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.076. №1-1/2012 ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან. სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე მოპასუხის მიერ წარმოდგენილი სპეცკავშირის სამსახურის 26.02.086. ცნობების თანახმად, საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სპეციალური კავშირის სამსახურის სამტრედიის რეგიონული განყოფილების თანამშრომლების მიმართ სამსახურს ერიცხებოდა 1997-1999 წლების სახელფასო დავალიანებები, კერძოდ, კ. ხ-ას მიმართ – 821,68 ლარი, ო. გ-ის მიმართ – 848,78 ლარი, დ. ც-ის მიმართ – 1275,25 ლარი, ვ. ს-ას მიმართ – 797,53 ლარი, ბ. ბ-ის მიმართ – 832,83 ლარი, შ. ხ-ას მიმართ – 853,48 ლარი, გ. ს-ას მიმართ – 1714,09 ლარი. მოსარჩელებმა დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნით 11.10.106. მიმართეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მაგრამ პასუხი არ მიუღიათ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელეთა მიმართ არსებული სახელფასო დავალიანებების ანაზღაურება უნდა დაეკისროს მოპასუხეს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. კასატორი სადავოდ არ ხდის მოსარჩელეთა მიმართ დავალიანების არსებობის ფაქტს, იგი არ იზიარებს აღნიშნული დავალიანების ანაზღაურების მისთვის დაკისრებას იმ საფუძველით, რომ სალიკვიდაციო კომისიას არ დაუსრულებია მუშაობა, ამასთან, სპეცკავშირი არ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო არ წარმოადგენდა ლიკვიდირებული სამსახურის უფლებამონაცვლეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო სამართლის, ისევე როგორც კერძო სამართლის სუბიექტების ლიკვიდაცია არის მისი არსებობის, საქმიანობის, ფუნქციონირების შეწყვეტის სამართლებრივი ფორმა, დაკვირვება. ლიკვიდაცია არის სამსახურიდან მოხელის განთავისუფლების პირობა, ამასთან ამ უკანასკნელს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ლიკვიდაციის პროცესი მოიცავს ლიკვიდირებული დაწესებულების ქონების რეალიზაციის, კრედიტორების დაკმაყოფილების, დარჩენილი ქონების შესაბამისი ორგანოსათვის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურებს, რომელთა განხორციელების მიზნითაც იქმნება სალიკვიდაციო კომისია და აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად იგი ასრულებს მუშაობას. მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის, რომ სპეცკავშირის ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულია, რამდენადაც საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგინდა სამსახურის ლიკვიდაცია, ლიკვიდაციის შედეგად მოსარჩელები გათავისუფლდნენ სამსახურიდან, სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება დაევალა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია და განისაზღვრა მისი შემადგენლობა. ლიკვიდაციის პროცესის დაუსრულებლობა დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი არ წარმოადგენს, ვინაიდან ლიკვიდაციის პროცესი და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება მოიცავს კრედიტორული დავალიანებების, მათ შორის სახელფასო დავალიანებების ანაზღაურების პროცესს და სწორედ სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ ასრულებს სალიკვიდაციო კომისია მუშაობას. იგივე წესია დადგენილი კერძო სამართლის სუბიექტების მიმართ, კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ უფლებამოსილი პირი/პირები იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ლიკვიდაციის პროცესის გონივრულ ვადაში დაუსრულებლობა ვერ იქნება მიჩნეული სახელფასო დავალიანებების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად.

დაუსაბუთებელია აგრეთვე კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლიკვიდირებული სამსახურის უფლებამონაცვლის სპეციალური აქტით განუსაზღვრელობის გამო არ არსებობს მოპასუხისათვის დავალიანების ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. საქართველოს პრეზიდენტის 07.05.046. ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 04.01.026. №1 ბრძანებულება „საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს დებულებისა და სტრუქტურის შესახებ“, ამასთანავე საქართველოს

მთავრობის 10.09.04წ. №77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულება სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროს განაკუთვნებს ელექტრონულ კომუნიკაციებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ფოსტას (2.1 მუხ.). აღნიშნული სფეროს სამართავად, მისი სრულყოფისა და ფუნქციონირების კოორდინაციისათვის სამინისტროში შეიქმნა კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი (მე-4 მუხ., მე-9 მუხ. „გ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 08.11.07წ. №655 განკარგულება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.12.07წ. №1-1/2012 ბრძანება, რომელთა საფუძველზეც ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა სპეცკავშირის სალიკვიდაციო კომისია, ძალაშია და არ გაუქმებულა. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ ლიკვიდაცია არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ პროცესი მიმართული ლიკვიდირებული სუბიექტის ვალდებულების შესრულებისაკენ. ვალდებულებაში პირთა შეცვლის დროს იცვლება სუბიექტური შემადგენლობა, ხოლო სისტემური კავშირი უფლებამოსილებასა და ვალდებულებას შორის ნარჩუნდება. აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი არსით წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან შტოს, აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის ერთიანობა ორგანულად გადადის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემის ერთიანობაში. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სახით მოქმედებს და ხელმძღვანელობს საქმიანობის გარკვეულ სფეროს, მიუხედავად ამისა, სამინისტრო არ არის წმინდა დარგობრივი ორგანო, პრობლემათა ზრდის კვალდაკვალ იგი იმთავითვე თავისი დარგის კოორდინატორის როლში გვევლინება და ფაქტიურად დარგთაშორისი რაკურსით მოქმედებს. აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტები ახორციელებენ სახელმწიფო მმართველობას დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ინოვაციის შედეგად ორგანოს გაუქმების მიუხედავად სახელმწიფო ინარჩუნებს სახელმწიფო ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებლობას. შესაბამისად მას უნარჩუნდება არა მხოლოდ შესრულების, არამედ უზრუნველყოფის პასუხისმგებლობაც. სახელმწიფო ორგანოთა შექმნა, მათ შორის ფუნქციების განაწილება წარმოადგენს ხელისუფლების დისკრეციის სფეროს, ორგანოთა გაუქმება, ინოვაციური სიახლეები არ იწვევენ სახელმწიფო ფუნქციების და ამოცანების მთლიანად გაუქმებას, შესაბამისად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაუქმებას.

საფუძველს მოკლებულია აგრეთვე დავალიანების ანაზღაურებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ სპეცკავშირი არ ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მინისტრთა კაბინეტის 21.02.1995წ. დადგენილებით დამტკიცებული კავშირგაბმულობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საფელდეგერო სამსახურის სამმართველოს დებულების თანახმად სამმართველო იყო იურიდიული პირი, ჰქონდა დამოუკიდებელი ბალანსი, ამასთანავე მისი შენახვა ძირითადად ხდებოდა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, სამმართველოს ქვედანაყოფების დაფინანსება რესპუბლიკურ ცენტრებში ხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით (5.1 პუნქტი). საქართველოს პრეზიდენტის 17.03.1997წ. №138 ბრძანებულებით დამტკიცებული სპეციალური კავშირის დებულების თანახმად, სამსახური დამოუკიდებლად ახორციელებდა სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობას, ჰქონდა დამოუკიდებელი ბალანსი და კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს არ ეკისრებოდა პასუხისმგებლობა სპეცკავშირის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისათვის (1.3 მუხ.). ამასთანავე, სპეცკავშირი ექვემდებარებოდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს (1.4 მუხ.), სპეცკავშირის ქონება წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას და გადაცემული ჰქონდა მას ფლობისა და ოპერატიული მართვის უფლებით. სპეცკავშირის სამსახური, საქართველოს პრეზიდენტის 06.02.1998წ. №68 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს დებულების (1.4 მუხ.) თანახმად, წარმოადგენდა სახელმწიფო საქვეუწყებო საწარმოო დაწესებულებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული შრომის ნიგნაკების მიხედვით, 1995 წელს სპეცკავშირის რესპუბლიკური სამმართველო გარდაიქმნა სახაზინო საწარმოდ. აღნიშნული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს შექმნას ითვალისწინებდა „სამეწარმეო საქმიანობის საფუძველების შესახებ“ 25.07.1991წ. კანონი, ხოლო შემდგომ 1995 წლის 1-ლი მარტიდან ამოქმედებული „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონში 19.02.99წ. შეტანილი ცვლილებების შედეგად გაუქმდა სახაზინო საწარმოს, როგორც საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ამდენად, მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანებების წარმოშობის დროისათვის (1997-1999წ.წ.) სპეცკავშირი ფუნქციონირებდა როგორც სახაზინო საწარმო. ხსენებული საკანონმდებლო აქტების თანახმად, სახაზინო საწარმოები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებდნენ თავისი განცალკევებული ქონებით, თუ კრედიტორი ვერ დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნებს საწარმოს ქონებიდან, მისი მოთხოვნები კმაყოფილდებოდა შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელეთა მიმართ არსებული დავალიანების ანაზღაურება უნდა დაეკისროს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომელსაც გადაეცა სპეცკავშირის ქონება ლიკვიდაციის შედეგად და დაევალა სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მოთხოვნას სამსახურთან გათავისუფლების გამო ორის თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების შესახებ, აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ფიზიკურ პირებს საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, რის გამოც საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოთხოვნის ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ კანონის სწორად გამოყენებისა და განმარტების შედეგად არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო საქ-

მეზე და არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა ა ზ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.06.11წ. გადაწყვეტილება;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

ბანჩინება

№ბს-304-300(კ-12)

12 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: პ. ლ-ი

მოპასუხე: საქართველოს კონტროლის პალატა

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული – ქმედების განხორციელება.

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანების – 822.94 ლარის ანაზღაურება

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა

სამართლებრივი: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37.1 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლები.

მოპასუხის შესაბამისი: სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფაქტობრივი: მოპასუხის მითითებით, სახელფასო დავალიანების თაობაზე გაცემული ცნობა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათისაა და იგი მოწმობს არა მოპასუხის მიერ დავალიანების აღიარებას, არამედ იმ ფაქტს, თუ რა ოდენობას შეადგენს თანხა, რომელიც მოსარჩელეს არ მიუღია. ვალის აღიარებას, დავალიანების ანაზღაურების თაობაზე დაპირებას ადგილი არ ჰქონია.

სარჩელი აღძრულია 2011 წელს, ხოლო სადავოა 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება, რის გამოც მოთხოვნა ხანდაზმულია, ხოლო რაც შეეხება 2003 წლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხს, აღნიშნული უნდა დაეკისროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვინაიდან, იგი წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს საქართველოს კონტროლის პალატასთან ერთად.

მოპასუხის განმარტებით, პრემიისა და სამკურნალო დახმარების ანაზღაურების მოთხოვნა წარმოშობილია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისგან. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახეებისაგან, კერძოდ, პრემიისაგან და სამკურნალო დახმარებისაგან, რაც ხელფასზე დანამატია და მათი ანაზღაურება დაკავშირებულია დროში გარკვეულ პერიოდთან, რის გამოც მათ მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მიმართ პრემიისა და სამკურნალო დახმარების დავალიანების ნაწილში კანონით დადგენილი გასაჩივრების სამწლიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყო იმ პერიოდიდან, როცა მან განახორციელა ისეთი მოქმედება, რომლის საფუძველზე უნდა მიეღო პრემია და სამკურნალო დახმარება.

სამართლებრივი: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. „მ“, სამოქალაქო კოდექსის 121-ე, 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები.

საქმის გარემოებები: პ. ლ-ი 1993 წლიდან 2011 წლის აპრილის თვემდე მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში, სხვადასხვა თანამდებობაზე. მუშაობის პერიოდში მის მიმართ წარმოიქმნა სახელფასო დავალიანება, რაც მოპასუხეს დღემდე არ გაუსტუმრებია.

რაიონული /საქალაქო/ სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე პ. ლ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე – საქართველოს კონტროლის პალატას პ. ლ-ის სასარგებლოდ დაეკისრა – 1998-1999-2000 წლებისა და 2003 წლის ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების – 822,94 ლარის ანაზღაურება.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის №334/04 ცნობით დადგენილია, რომ პ. ლ-ის 1998-1999-2000-2003 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანება შეადგენს – 992,30 ლარს, ხელზე ასაღები – 822,94 ლარს, მათ შორის: 1998 წლის მე-12 თვის ხელფასი დარიცხული – 79,0 ლარს, ხელზე გასაცემი – 60,92 ლარს; 1998 წლის მე-12 თვის დახმარება დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 93,10 ლარს, 1998 წლის მე-12 თვის პრემია – დარიცხული 10,80 ლარს, ხელზე გასაცემი – 8,41 ლარს; 1999 წლის მე-11 თვის ხელფასი დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 70,40 ლარს, 1999 წლის მე-11 თვის დახმარება დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 93,10 ლარს, 1999 წლის ხელფასი მე-12 თვის დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 72,90 ლარს, 1999 წლის პრემია მე-12 თვის დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 74,10 ლარს, 2000 წლის მე-4 თვის ხელფასი დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 74,48 ლარს, 2000 წლის ხელფასი მე-5 თვის დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 74,48 ლარს, 2000 წლის მე-6 თვის დახმარება დარიცხული – 47,50 ლარს, ხელზე გასაცემი – 46,55 ლარს, 2000 წლის პრემია მე-6 თვის დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 74,58 ლარს, 2003 წლის ხელფასი მე-11 თვის დარიცხული – 95,00 ლარს, ხელზე გასაცემი 75,92 ლარს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოპასუხემ სადავოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ საქმეში წარმოდგენილი სახელფასო დავალიანების ცნობა არის ინფორმაციული ხასიათის და არა აღიარება სახელფასო დავალიანების თაობაზე და ამდენად, ეს მტკიცებულება ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სადავო ასევე მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ვადა /ხანდაზმულობა/, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან სარჩელი აღძრულია 2011 წელს, ხოლო სარჩელით მოთხოვნილია 1998-2002 წლების სახელფასო დავალიანება, მათ შორის, პრემიაც და დახმარებაც.

სასამართლოს დასკვნები:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ხოლო სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, დაწესებულება, რომელშიც მუშაობს თანამშრომელი, თვითონ არის პასუხისმგებელი ხელფასის ანაზღაურებაზე. ამავე კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილია, რომ მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, სანარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს. აღნიშნული საკითხი ასევე მოწესრიგებულია ამჟამად მოქმედი შრომის კოდექსითაც.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება ხელფასის, პრემიისა და დახმარების დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, (1997 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედებული რედაქცია) ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან, სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხოლო ამ მუხლის პირველ პუნქტში 1998 წლის 20 თებერვლის №1248-II საქართველოს კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. ამავე კანონში 2005 წლის 23 დეკემბრის №2470-რს კანონით შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების შედეგად 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

ამასთან, ამავე კანონის 134-ე მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებულებიდან კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ნორმით რეგლამენტირებული იყო საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება, თუმცა, სპეციალური დათქმის მიხედვით, იგი არ მოიცავდა საჯარო მოსამსახურისათვის განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულებასაც. სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა და სწორედ ამ კანონის 37-ე მუხლით დაეკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულება გასცეს შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეზე, რათა მან შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს ანაზღაურება, სწორედ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს

(ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს დაფინანსების შემცირების საფუძველი.

ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოქმედების განხორციელებლობა – ხელფასის თანხის გაუქმლობა, პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, მიიღოს კუთვნილი შრომის გასამრჯელო. სასამართლოს დასკვნით, საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-14, 37-ე, 38-ე და 134¹ მუხლები, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-16 და 96-ე მუხლები (ძველი რედაქციით), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33¹ მუხლები. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

აპელანტი: საქართველოს კონტროლის პალატა

წარმომადგენელი: ს. ჩ-ე

მოპასუხე: პ. ლ-ი

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: სახელფასო დავალიანება წარმოშვა 1998-2003 წლებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, რის გამოც არ მოხდა კონტროლის პალატის შენახვის ხარჯებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაცული მუხლების სრულყოფილი დაფინანსება.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებას და დაფინანსების სხვა წყარო არ გააჩნია. შესაბამისად მოსარჩელის დავალიანების გადახდა სასამართლომ უნდა დააკისროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც გამოდის სახელმწიფოს სახელით და რომელიც წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს კონტროლის პალატასთან ერთად სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად.

სამართლებრივი: მოთხოვნა 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულია, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2011 წელს.

1998-2003 წლების პრემიისა და დახმარების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლება წარმოშობილია პერიოდულად შესრულებული ვალდებულებიდან გამომდინარე. ვინაიდან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახეებისაგან, კერძოდ, პრემიისაგან და დახმარებისაგან რადგან მათი ანაზღაურება დაკავშირებულია დროში გარკვეულ პერიოდთან, ხელფასზე დანამატს წარმოადგენს პრემია და დახმარება და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, ვინაიდან „ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან სამი წელია“, ხოლო ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით „ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

საქართველოს კონტროლის პალატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგაზიარების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონებებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემონგებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს

შრომის გასამრჯელო. მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. ამ კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან განთავისუფლებისას) დანაწესის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას პრემიისა და მატერიალური დახმარების დავალიანების მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესზე, რომლის 37.1 მუხლით (1997 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედებული რედაქცია) ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხოლო ამ მუხლის 1-ლ პუნქტში 1998 წლის 20 თებერვლის №1248-II საქართველოს კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.

პრემია და მატერიალური დახმარება წარმოადგენს სადავო პერიოდისათვის მოქმედი კანონით გათვალისწინებულ იმ დანამატს, რომელიც თანამდებობრივ სარგოსთან ერთად შეადგენს ხელფასის შინაარსს, ანუ ზემოაღნიშნული კომპონენტები წარმოადგენს არა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, არამედ შედის მოსამსახურის ხელფასის ცნებაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც გამოდის სახელმწიფოს სახელით, წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს კონტროლის პალატასთან ერთად და სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად მისი სოლიდარული ვალდებულება წარმოშობილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად, რადგან მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს კონტროლის პალატასთან და არა ფინანსთა სამინისტროსთან. ფინანსთა სამინისტროს უფლება-მოვალეობანი საბიუჯეტო პროცესის მიმართ თავისთავად არ წარმოშობს მის ვალდებულებას აანაზღაუროს მოსარჩელის დავალიანება.

კასატორი: საქართველოს კონტროლის პალატა

მონინალმდგევე მხარე: პ. ლ-ი

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის მოტივით.

პროცესუალური: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები.

სამართლებრივი: კასატორის განმარტებით, პრემია და მატერიალური დახმარება წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის, მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს და ამავდროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამდენად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პრემია და მატერიალური დახმარება არ არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი, ვინაიდან აღნიშნული მუხლით არ არის რეგლამენტირებული საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურება.

ამასთან, კასატორის განმარტებით, ხელფასის მოთხოვნის უფლებაზე, როგორც სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე, ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობა, რომლის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს, ხოლო მოსამსახურეზე კომპენსაციის გაცემის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, კი ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ვადა კი აითვლება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

კასატორმა ასევე მიუთითა საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სამკურნალო ხარჯები მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად. კასატორის განმარტებით, საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის ცნობაში მითითებული დახმარება წარმოადგენს სწორედ სამკურნალო დახმარებას, რის გამოც იგი მიჩნეულ უნდა იქნეს ხანდაზმულად არ უნდა აუნაზღაურდეს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური ნინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნია, რომ კასატორის საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემქომედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი: საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 12 ივნისის გაჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის ცნობით დადგენილია, რომ პ. ლ-ზე წინა წლებში წარმოქმნილი დარიცხული შრომის ანაზღაურება შეადგენს 992,30 ლარს, ხელზე მისაღები დავალიანება შეადგენს 822,94 ლარს, მათ შორის: 1998 წლის დეკემბრის თვის ხელფასი – 60,92 ლარს, დეკემბრის თვის დახმარება – 93,10 ლარს, დეკემბრის თვის პრემია – 8,41 ლარს, 1999 წლის ნოემბრის თვის ხელფასი – 70,40 ლარს, ნოემბრის თვის დახმარება – 93,10 ლარს, დეკემბრის თვის ხელფასი – 72,90 ლარს, დეკემბრის თვის პრემია – 74,10 ლარს, 2000 წლის აპრილის ხელფასი – 74,10 ლარს, მაისის თვის ხელფასი – 87,48 ლარს, ივნისის თვის დახმარება – 46,55 ლარს, ივნისის თვის პრემია – 74,58 ლარს, 2003 წლის ნოემბრის თვის ხელფასი – 75,92 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს კონტროლის პალატასთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ პრემია და მატერიალური დახმარება არ შედის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ კომპონენტებში და განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლი ადგენს შრომითი გასამრჯელოს /ხელფასის/ ცნებას და განსაზღვრავს მის შემადგენლობას. კონკრეტულად,

ხელფასი მოიცავს:

ა) თანამდებობრივ სარგოს;

ბ) პრემიას;

გ) და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს;

იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული.

უდავოა, რომ პ. ლ-ს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლეოდა ხელფასი, პრემია და დახმარება, რაც ეს შესულია საქართველოს კონტროლის პალატის ოფიციალურ გაანგარიშებაში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან კასატორის – საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ პ. ლ-ისათვის მიცემული დახმარება წარმოადგენდა სამკურნალო ხარჯებს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლის შესაბამისად, ხელფასთან და პრემიასთან ერთად, ასევე კანონიერია საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის ცნობაში მითითებული დახმარების თანხის ანაზღაურებაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების არასწორ დადგენასთან და კანონის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის იურიდიულად დასაბუთებული და არ გამომდინარეობს განხილული ნორმების ნამდვილი შინაარსიდან და მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ნამდვილი მიზნიდან; შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობას ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად შეუფარდეს და განმარტეს სამართლის

ნორმა, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით არ არსებობს კასაციის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, კასატორს სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 თებერვლის განჩინება;
3. საქართველოს კონტროლის პალატას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-202-200(კ-12)

19 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე: ჯ. დ-ძე

მოპასუხე: საქართველოს კონტროლის პალატა

სარჩელის სახე: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული – ქმედების განხორციელება.

სარჩელის საგანი: სახელფასო დავალიანების – 765,94 ლარის ანაზღაურება

სარჩელის საფუძველი:

ფაქტობრივი: საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა

სამართლებრივი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1, 317.1 მუხლები.

მოპასუხის შესაგებელი: სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ფაქტობრივი: მოპასუხის მითითებით, სარჩელი აღძრულია 2011 წელს, ხოლო სადავოა 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება, რის გამოც მოთხოვნა ხანდაზმულია, ხოლო რაც შეეხება 2003 წლის სახელფასო დავალიანების ანაზღაურების საკითხს, აღნიშნული უნდა დაეკისროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვინაიდან, იგი წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს საქართველოს კონტროლის პალატასთან ერთად.

მოპასუხის განმარტებით, პრემიისა და სამკურნალო დახმარების ანაზღაურების მოთხოვნა წარმოშობილია პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისგან. ამასთან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახეებისაგან, კერძოდ, პრემიისაგან და სამკურნალო დახმარებისაგან, რაც ხელფასზე დანამატია და მათი ანაზღაურება დაკავშირებულია დროში გარკვეულ პერიოდთან, რის გამოც მათ მიმართ უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

მოსარჩელის მიმართ პრემიისა და სამკურნალო დახმარების დავალიანების ნაწილში კანონით დადგენილი გასაჩივრების სამწლიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს იმ პერიოდთან, როცა მან განახორციელა ისეთი მოქმედება, რომლის საფუძველზე უნდა მიეღო პრემია და სამკურნალო დახმარება.

სამართლებრივი: სამოქალაქო კოდექსის, 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები.

საქმის გარემოებები: ჯ. დ-ძე 1992 წლიდან 2008 წლის იანვრამდე მუშაობდა საქართველოს კონტროლის პალატაში, სხვადასხვა თანამდებობაზე. მუშაობის პერიოდში მის მიმართ წარმოიქმნა სახელფასო დავალიანება, რაც მოპასუხეს დღემდე არ გაუსტუმრებია.

რაიონული/საქალაქო/სასამართლოს გადაწყვეტილება/სარეზოლუციო/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ჯ. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე – საქართველოს კონტრო-

ლის პალატას ჯ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა – 1998-1999-2000 წლებისა და 2003 წლის ხელზე გასაცემი სახელფასო დავალიანების – 765,94 ლარის ანაზღაურება.

სასამართლოს მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტები:

საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 13 ივლისს №214/04 ცნობით დადგენილია, რომ ჯ. დ-ის 1998-1999-2000-2003 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანება შეადგენს – 975,57 ლარს, ხელზე ასაღები – 765,94 ლარს, მათ შორის: 1998 წლის მე-11 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 92,15 ლარს; 1998 წლის მე-12 თვის დარიცხული პრემია – 13,07 ლარს, ხელზე გასაცემი – 10,21 ლარს, 1998 წლის მე-12 თვის დარიცხული პრემია – 10,80 ლარს; 1999 წლის მე-11 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 89,37 ლარს, 1999 წლის მე-12 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 91,50 ლარს, 1999 წლის მე-12 თვის დარიცხული პრემია – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 72,56 ლარს, 2000 წლის მე-4 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 92,15 ლარს, 2000 წლის ხელფასი მე-5 თვის დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 92,15 ლარს, 2000 წლის მე-6 თვის დახმარება დარიცხული – 57,50 ლარს, ხელზე გასაცემი – 56,35 ლარს, 2000 წლის პრემია მე-6 თვის დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 89,70 ლარს, 2003 წლის ხელფასი მე-11 თვის დარიცხული – 100,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 79,80 ლარს.

სასამართლოს მიერ სადავოდ მიჩნეული ფაქტები:

მოპასუხემ სადავოდ მიიჩნია ის ფაქტი, რომ საქმეში წარმოდგენილი სახელფასო დავალიანების ცნობა არის ინფორმაციული ხასიათის და არა აღიარება სახელფასო დავალიანების თაობაზე და ამდენად, ეს მტკიცებულება ვერ გახდება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სადავო ასევე მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი ვადა /ხანდაზმულობა/, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან სარჩელი აღძრულია 2011 წელს, ხოლო სარჩელით მოთხოვნილია 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანება, მათ შორის, პრემიაც და დახმარებაც.

სასამართლოს დასკვნები:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). ხოლო სადავო ურთიერთობის დროს მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, დაწესებულება, რომელშიც მუშაობს თანამშრომელი, თვითონ არის პასუხისმგებელი ხელფასის ანაზღაურებაზე. ამავე კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილია, რომ მუშას ან მოსამსახურეს, მისი დათხოვნისას, საწარმოსაგან, დაწესებულებისაგან, ორგანიზაციისაგან კუთვნილი მთელი თანხა ეძლევა დათხოვნის დღეს. აღნიშნული საკითხი ასევე მოწესრიგებულია ამჟამად მოქმედი შრომის კოდექსითაც.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება ხელფასის, პრემიისა და დახმარების დავალიანების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, (1997 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედებული რედაქცია) ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან, სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხოლო ამ მუხლის პირველ პუნქტში 1998 წლის 20 თებერვლის №1248-II საქართველოს კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს. ამავე კანონში 2005 წლის 23 დეკემბერს №2470-რს კანონით შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების შედეგად 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან განთავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი). მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

ამასთან, ამავე კანონის 134¹ მუხლის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებულებიდან კუთვნილი თანხის გაცემა უნდა განხორციელდეს დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ნორმით რეგლამენტირებული იყო საჯარო მოსამსახურეებზე წინა წლებში წარმოქმნილი სახელფასო დავალიანების ანაზღაურების ვალდებულება, თუმცა, სპეციალური დათქმის მიხედვით, იგი არ მოიცავდა საჯარო მოსამსახურისათვის განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულებასაც. სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მოწესრიგებულია საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა და სწორედ ამ კანონის 37-ე მუხლით დაეკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულება გასცეს შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეზე, რათა მან შესრულებული სამუშაოსათვის მიიღოს ანაზღაურება, სწორედ ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი და საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს დაფინანსების შემცირების საფუძველი.

ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოქმედების განხორციელებლობა – ხელფასის თანხის გაუცემლობა, პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს

აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, მიიღოს კუთვნილი შრომის გასამრჯელო. სასამართლოს დასკვნით, საქმეზე გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლი, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

სამართლებრივი შეფასება /კვალიფიკაცია/:

საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6, მე-14, 37-ე, 38-ე და 134¹ მუხლები, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-16 და 96-ე მუხლები (ძველი რედაქციით), საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე და 33¹ მუხლები. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

აპელანტი: საქართველოს კონტროლის პალატა

წარმომადგენელი: ს. ჩ-ძე

მოპასუხე: ჯ. დ-ძე

აპელაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელაციის მოტივები.

ფაქტობრივი: სახელფასო დავალიანება წარმოიშვა 1998-2003 წლებში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, რის გამოც არ მოხდა კონტროლის პალატის შენახვის ხარჯებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული დაცული მუხლების სრულყოფილი დაფინანსება.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა წარმოადგენს საბიუჯეტო დაწესებულებას და დაფინანსების სხვა წყარო არ გააჩნია. შესაბამისად მოსარჩელის დავალიანების გადახდა სასამართლომ უნდა დააკისროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც გამოდის სახელმწიფოს სახელით და რომელიც წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს კონტროლის პალატასთან ერთად სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად.

სამართლებრივი: მოთხოვნა 1998-2003 წლების სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ხანდაზმულია, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2011 წელს.

1998-2003 წლების პრემიისა და დახმარების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის უფლება წარმოშობილია პერიოდულად შესრულებული ვალდებულებიდან გამომდინარე. ვინაიდან, ხელფასი განსხვავდება უზრუნველყოფის სახეებისაგან, კერძოდ, პრემიისაგან და დახმარებისაგან რადგან მათი ანაზღაურება დაკავშირებულია დროში გარკვეულ პერიოდთან, ხელფასზე დანამატს წარმოადგენს პრემია და დახმარება და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, ვინაიდან „ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან სამი წელია“, ხოლო ამავე კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით „ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.“

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება /სარეზოლუციო/:

საქართველოს კონტროლის პალატის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

აპელაციის მოტივების არგუმენტების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემონგებისას, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები, რისი გათვალისწინებითაც არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების გაზიარების თაობაზე სასამართლოს მსჯელობა:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის გასამრჯელო. მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში. ამავე მუხლის მე-4 პუნ-

ქტის თანახმად, მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს მოსამსახურეთა შრომითი გასამრჯელოს (ხელფასის) და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა გარანტიების დაფინანსების შემცირების საფუძველი. ამ კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან განთავისუფლებისას) დანაწესის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეებზე დაწესებული კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა განხორციელდება დაცულ მუხლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად.

პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას პრემიისა და მატერიალური დახმარების დავალიანების მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დანაწესზე, რომლის 37.1 მუხლით (1997 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედებული რედაქცია) ამ კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსამსახურეს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი), ხოლო ამ მუხლის პირველ პუნქტში 1998 წლის 20 თებერვლის №1248-II საქართველოს კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას, საჯარო სამსახურში წელთა ნამსახურობისათვის დაწესებულ და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებს.

პრემია და მატერიალური დახმარება წარმოადგენს სადავო პერიოდისათვის მოქმედი კანონით გათვალისწინებულ იმ დანამატს, რომელიც თანამდებობრივ სარგოსთან ერთად შეადგენს ხელფასის შინაარსს, ანუ ზემოაღნიშნული კომპონენტები წარმოადგენს არა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, არამედ შედის მოსამსახურის ხელფასის ცნებაში.

ამდენად, სააპელაციო პალატა მართებულად მიიჩნევს, სახელფასო დავალიანებასთან ერთად ხელფასში შემავალი პრემიისა და მატერიალური დახმარების ანაზღაურების ვალდებულების მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც გამოდის სახელმწიფოს სახელით, წარმოადგენს სოლიდარულ მოვალეს კონტროლის პალატასთან ერთად და სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად მისი სოლიდარული ვალდებულება წარმოშობილია აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად, რადგან მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს კონტროლის პალატასთან და არა ფინანსთა სამინისტროსთან. ფინანსთა სამინისტროს უფლება-მოვალეობანი საბიუჯეტო პროცესის მიმართ თავისთავად არ წარმოშობს მის ვალდებულებას აანაზღაუროს მოსარჩელის დავალიანება.

კასატორი: საქართველოს კონტროლის პალატა

მონინალმდებელი მხარე: ჯ. დ-ძის

კასაციის საგანი და მოცულობა /ფარგლები/

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის მოტივით.

პროცესუალური: კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 129-ე და 130-ე მუხლები.

სამართლებრივი: კასატორის განმარტებით, პრემია და მატერიალური დახმარება წარმოადგენს მოსამსახურის უზრუნველყოფის, მოსამსახურის მიერ მისაღები კომპენსაციის სახეს და ამავედროულად პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. ამდენად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პრემია და მატერიალური დახმარება არ არის ხელფასის შემადგენელი კომპონენტი, ვინაიდან აღნიშნული მუხლით არ არის რეგლამენტირებული საჯარო მოსამსახურისათვის კომპენსაციის ანაზღაურება.

ამასთან, კასატორის განმარტებით, ხელფასის მოთხოვნის უფლებაზე, როგორც სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე, ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობა, რომლის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს, ხოლო მოსამსახურეზე კომპენსაციის გაცემის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის მიმართ, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების მიმართ, ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის 129.2 მუხლით გათვალისწინებული სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, ამავე კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, კი ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ვადა კი აითვლება სასამართლოში სარჩელის წარდგენის თარიღიდან უკუსვლით.

კასატორმა ასევე მიუთითა საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სამკურნალო ხარჯები მიჩნეულ იქნა ხანდაზმულად. კასატორის განმარტებით, საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 21 ნოემბრის ცნობაში მითითებული დახმარება წარმოადგენს სწორედ სამკურნალო დახმარებას, რის გამოც იგი მიჩნეულ უნდა იქნეს ხანდაზმულად და არ უნდა აუნაზღაურდეს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრები: (სასკ 34.3 მ.)

საკასაციო სასამართლომ კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით მიიჩნია, რომ კასატორის საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებებს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34.3 მუხლით, კერძოდ „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლის თაობაზე. სააპელაციო სასამართლოს საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

სამოტივაციო ნაწილი:

სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი: საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის გაჩინებით საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განჩინება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად განმარტა იგი, სრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სათანადო შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო საჩივარში მითითებულ საპროცესო დარღვევებს ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 13 ივლისის №214/04 ცნობით დადგენილია, რომ ჯ. დ-ძის 1998-1999-2000-2003 წლების დარიცხული სახელფასო დავალიანება შეადგენს – 975,57 ლარს, ხელზე ასაღები – 765,94 ლარს, მათ შორის: 1998 წლის მე-11 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 92,15 ლარს; 1998 წლის მე-12 თვის დარიცხული პრემია – 13,07 ლარს, ხელზე გასაცემი – 10,21 ლარს, 1998 წლის მე-12 თვის დარიცხული პრემია – 10,80 ლარს; 1999 წლის მე-11 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 89,37 ლარს, 1999 წლის მე-12 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 91,50 ლარს, 1999 წლის მე-12 თვის დარიცხული პრემია – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 72,56 ლარს, 2000 წლის მე-4 თვის ხელფასი დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 92,15 ლარს, 2000 წლის ხელფასი მე-5 თვის დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 92,15 ლარს, 2000 წლის მე-6 თვის დახმარება დარიცხული – 57,50 ლარს, ხელზე გასაცემი – 56,35 ლარს, 2000 წლის პრემია მე-6 თვის დარიცხული – 115,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 89,70 ლარს, 2003 წლის ხელფასი მე-11 თვის დარიცხული – 100,00 ლარს, ხელზე გასაცემი – 79,80 ლარს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელე შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა ადმინისტრაციულ ორგანოსთან – საქართველოს კონტროლის პალატასთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ პრემია და მატერიალური დახმარება არ შედის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37.1 მუხლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ კომპონენტებში და განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 37.1 მუხლი ადგენს შრომითი გასამრჯელოს /ხელფასის/ ცნებას და განსაზღვრავს მის შემადგენლობას. კონკრეტულად,

ხელფასი მოიცავს:

ა) თანამდებობრივ სარგოს;

ბ) პრემიას;

გ) და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს;

იმავე პუნქტის მესამე წინადადების მიხედვით, დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დანახმარებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით განმარტავს, რომ თანამდებობრივი სარგოს გარდა, შრომით გასამრჯელოს (ხელფასს) მიეკუთვნება ასევე პრემია და ის დანამატები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული.

უდავოა, რომ ჯ. დ-ძეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლეოდა ხელფასი, პრემია და დახმარება, რაკი ეს შესულია საქართველოს კონტროლის პალატის ოფიციალურ გაანგარიშებაში.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი ნორმის შემცველი 134¹ მუხლის (ანგარიშსწორების წესი სამსახურიდან გათავისუფლებისას) თანახმად, 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის (გარდა ამ კანონით განსაზღვრული კომპენსაციისა) გაცემა უნდა განხორციელდეს წინა წლებში წარმოქმნილი საბიუჯეტო დავალიანების დაფარვის წესის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო მოსამსახურეზე წინა წლებში წარმოშობილი დავალიანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან კასატორის – საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ ჯ. დ-ძისათვის მიცემული დახმარება წარმოადგენდა სამკურნალო ხარჯებს, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134¹ მუხლის შესაბამისად, ხელფასთან და პრემიასთან ერთად, ასევე კანონიერია საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის 13 ივლისის №214/04 ცნობაში მითითებული დახმარების თანხის ანაზღაურებაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული არგუმენტები სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტების არასწორ დადგენასთან და კანონის არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის იურიდიულად დასაბუთებული და არ გამომდინარეობს განხილული ნორმების ნამდვილი შინაარსიდან და მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ნამდვილი მიზნიდან; შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობას ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად შეუფარდეს და განმარტეს სამართლის ნორმა, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით არ არსებობს კასაციის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს მითითებით, კასატორს სსსკ-ის 53.2. მუხლის საფუძველზე უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით 100 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 372-ე, 410-ე მუხლებით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა:

1. საქართველოს კონტროლის პალატის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის განჩინება;
3. საქართველოს კონტროლის პალატას დაეკისროს სასამართლო ხარჯების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.